ცისკარი
1852
N5 2023

 პოეზია
ნინო მოდრეკილაძე
ნათია ჯაპანაძე

პროზა
ნათია როსტიაშვილი
ბესო ხვედელიძე

თარგმანი
ალესანდრო ბარიკო

ნათია როსტიაშვილი

№5//2023

ლიტერატურული – საზოგადოებრივი
ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
ამირან გომართელი

პასუხისმგებელი რედაქტორი
თამარ გელიტაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
მარინე სიყმაშვილი

დიზაინი
ირაკლი უშვერიძე

ჟურნალი გამოდის
საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის
სამინისტროს ხელშეწყობით

საქართველოს
კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის
სამინისტრო

ciskari1852@gmail.com
https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/2

სარჩევი

პოეზია

ნინო მოდრეკილაძე 3

ნათია კაპანაძე 8

პროზა

ნათია როსტიაშვილი 13
ფუტკარი ბარამბოს ტოტზე

ბესო ხვედელიძე 18
GOA მშვიდობისა!

ახალი თარგმანი

ალესანდრო ბარიკო 32
უსისხლოდ
იტალიურიდან თარგმნა
მაია ჯავახიძემ

ევროპული აზრის გზაჯვარედინებზე

გეორგ ზიმელი 60
მეტროპოლისი და სულიერი ცხოვრება
ინგლისურიდან თარგმნა
ქეთი ჯიშიაშვილმა

მაკა ჯოხაძე 72
როცა მკვლელობას გამარჯვება ჰქვია

ლია კუხიანიძე 82
ნაციონალური იდენტობის საფუძველი

პაატა ჩხეიძე 84
კონსერვატული კრედო და როჯერ სკრუტონი ერის შესახებ

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ;
გთხოვთ, მასალების ელვერსია გადმოგზავნოთ ვორდის ფაილით;
ჟურნალის ყოველი ნომრის ელვერსია მომდევნო ნომრის გამოსვლისთანავე განთავსდება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელში“ – https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/2

ნინო მოდრეკილაძე

ის ქალი

ღმერთს მზე შემოაკლდა თიხაში,
და სულიც ზარმაცად შთამბერა,
ის ქალი... იმ ქალმა... იმ ქალში...
უმიზნოდ მაბრუნეს ქარებმა.
და ისე ჯიუტად... როგორმე...
ჩუმი სიყვარულით მიყვარდა,
ყველა, ვინც არ მომყვა ბოლომდე,
მე მაინც ვერ დავთმე, ღვთის მადლმა...
ეს გული, ურჩი და თავკერძა...
ეს მამხელს, როცა გზას გავცქერი...
არავინ გამოჩნდა, გამცეს ხმა,
მარტია... თოვლით და ნამქერით.
ღმერთს მზე შემოაკლდა თიხაში,
და სულიც ზარმაცად შთამბერა,
ის ქალი... იმ ქალმა... იმ ქალში...
უმიზნოდ მაბრუნეს ქარებმა.

ამ ქაოსამდე

როცა წვიმა ბოლო აკორდია,
რომ საკუთარ ნაჭუჭს შეეზარდო,
ამოელესო,
ემბრიონივით მოიკუნტო,

დაკარგო ყველა შეძენილი უნარი,
დაივიწყო ყველა სიტყვა,
რაც კი უთქვამთ
და რაც შენ გითქვამს.
აღარც მადლობა,
აღარც ბოდიში...
არც ადამიანის სუნი,
არც ტყუილის გემო...
არავითარი სენსო-მოტორიკა.
არც სინათლე,
არც ხმაური,
აქაურობის აღარაფერი.
მხოლოდ დაბადებამდელი ლივლივი...
დაღლილი დედის ჩამოჯდომა
მამის მუხლებზე...
მუცელზე ჩვილი ფეხუცების მოზაიკები...
მათი თვალები – გაოცებული ვიზიტორები...
– მესმის შენი ხმა, მამა...
დედიკოს მიეფერე,
რომ თანდაყოლილი სიყვარულით დავიბადო...
რა მიღმიერი სიმსუბუქეა.
რა საჭირო.
მრგვალი ოკეანის მოქცევამდე...
ამ ქაოსამდე.

სიტყვა

სიტყვამაც რა ქნას,
მოხვიეს ხელი,
დაუფიქრებლად გამოიქნიეს.
მე ვერ შევძელი აცილება,
და გული უმალ შევაგებე...
რადგან ვფიქრობდი,
სიტყვაა ის, რაც
ხელს ჩაგკიდებს და
თან გაგიყოლებს...
ხელს ჩაგკიდებს და
აგატარებს ცის საფეხურებს,
რომ მზეზე მეტად
გაუნათო,
მეტად დაათბო,
ვისაც სჭირდები.
რა ქნას სიტყვამაც,
გამეტებით თუკი მესროლეს,
მოხერხებულად,
მოსწრებულად,

მიზანში სროლით...
იქნება რა გზა გაიარა,
ვიდრე მომკლავდა...
მან მაპატიოს,
ჩემს გამო თუ იუხერხულა...

გაცრეცილი დღიურიდან

თვალდახუჭული ხომ ვერ ვიცხოვრებ...
მხოლოდ იქ გხედავ...
როგორ მოდიხარ და
რჩები ჩემთან.
მხოლოდ იქ გხედავ,
რომ მაშველებ სუნთქვაზე სუნთქვას
და მაწვდი
მუდამ დაბნეულ ხელებს,
ჩემს სხეულზე
ვერც ერთხელ რომ
გზა ვერ გაიგნეს...
ვერ დასრიალდნენ
ლავიწების მყინვარებიდან...
ისხდნენ ყვრიმალთან დამშეული ბელურებივით.
თბილი თითების მარგალიტი ყელთან შეწყდა და
გულიდან თეთრი ტკივილები ამოყვავილდნენ.
იცის ცხოვრებამ...
ცინიკოსმა,
როდის საით გადაგვისროლოს...
რომ მარტოობას შეგვახორცოს.
ასე ცალ-ცალკე
მიმოგვხარჯოს...
უერთმანეთოდ.
თვალდახუჭული ხომ ვერ ვიცხოვრებ...

წვიმაში ვალსი

ჭადრები – მოხუცი შტრაუსები...
ქარებს ხმაშეწყობით რომ ევნებიან,
მაიძულებენ,
მოგიბრუნდე,
მკერდზე მოგეყრდნო,
და ჩემს ვალსებში შემოგიტყუო...
პირველი კოცნის ერთგულებამდე
გავყვეთ სველ ხეებს...
და ქუჩის ბოლოს წამოვკრიფოთ
ოქროს ფოთლები –
შემოდგომის ავლადიდება –

ზოგი უფრო მოყვითალო,
ბაჯაღლოში ამოვლებული,
დამწიფებული ტკივილებით
ხიდან მომწყდარი...
ზოგიც მომწვანო,
მოწითალო...
ნაადრევად ქარს აყოლილი...
ჭადრის ფოთლები მისახსოვრე
ბეჭდების ნაცვლად,
ხელს ნუ გამიშვებ,
ჩავიცეკვოთ სველი გამზირი
უასაკო გარიჟრაჟამდე...
ხვალ რომ
ილო ფოტოგრაფმა
გამოფინოს ჩვენი
სურათი
და მიაწეროს:
„სიყვარული.
წვიმაში ვალსი“...

ვინ გაპატიებს

„შემრცხვა, როდესაც გავაანალიზე, რომ
ცხოვრება კოსტუმირებული კარნავალია
და მე მას რეალური სახით ვესწრებოდი...“
/ფრანც კაფკა/

ვინ გაპატიებს, ბავშვი იყო
მთელი ცხოვრება,
ხშირად ტიროდე უარაფროდ,
მიზეზგაშვებით.
მზის არილზე ეთამამო გაჩხინკული,
კნაჭა გოგოს
ჩრდილების თეატრს...

ხელისგულებზე დაუფინო
სული გზაზე ადევნებულებს...
რომ ქარები ამოგიქროლონ,
ერთი შებერვით დაგამსგავსონ
გაშიშვლებულ ბაბუაწვერას...
ვინ გაპატიებს
კარნავალზე უნიღბოდ მისვლას...
რევერანსებით
მუხლისთავებს გადაიყვლეფენ,
შეგიქებენ გამბედაობას,
ქარბუქების მზერით დაჭერას,

ტკივილების უხმოდ ატანას,
მარტოცალობის სიდიადეს,
შეგაქებენ უსიცოცხლო,
მშრალი სიტყვებით,
მაგრამ ზურგში ათას მახვილს
უმალ ჩაგცემენ...

ვინ გაპატიებს
ჭრილობების ღიმილით შეკვრას,
გადაბინტვას ჟანგისფერ დარდის,
ამოზიდვას საკუთარი გვემის
კვალდაკვალ...
არწაქცევას,

შენად დარჩენას,
რომ შერჩე დღეებს,
რომ შერჩე დღეებს,
როგორც დიდი თიბვისას ხვატში
ცელს გამომსხლტალი თეთრი გვირილა...

ვინ გაპატიებს, ჩემო გოგო,
ვინ გაპატიებს...

ნათია
კაპანაძე

ოდა ბებიას

როცა სახლიდან გამოსული სამკერვალოში
მიდიოდი, რომ შეგესწავლა რამე ხელობა
ბაბუ გზის პირას, ჩამონგრეულ ბაღთან გელოდა,
სხვა რა გინდოდა ამ სამყაროში?!
დაიმორცხვებდი, თავდახრილი ღიმილს მალავდი,
ის როგორც სიტყვა „სიყვარული“, ისე გიმზერდა,
სათქმელს ვერა და ვერ ამბობდა, მხოლოდ გიწერდა,
რადგან იცოდა, უნებლიეთ აუკრძალავდი...
შენ მიდიოდი, თან გრძნობდი, რომ უკან იმედად
გამოგყვებოდა და უჩინარ ქსელებს აბამდი,
და იწყებოდა ნაბიჯ-ნაბიჯ თქვენი ამბავი,
რადგან უყვარდი და გიყვარდა რადგან იმდენად.
ის სამუდამოდ დაიცდიდა, რათა სახლამდეც
გულდამშვიდებულს მიეყვანე, რათა ოცნებას
ფრთები შეესხა, დაგეგმავდა ფიქრში ცხოვრებას,
მისი გრძნობები მიუშვებდა, ალბათ, სადამდეც.
ასე ხდებოდა ყოველ დილით, ხდებოდა დიდხანს
არ ჰქონდა ამინდს მნიშვნელობა, არც სხვა არაფერს,
ბოლოს გაბედა გაემხილა ის, რაც აწამებს,
მიუახლოვდა კიდევ უფრო საკუთარ მიზანს
და მერე იყო ბედნიერი დღეები, წლები,
ჰყავდი და გყავდა, სხვა არაფერს არ ჰქონდა აზრი,
სანამ არ გქონდა გულში რამის შიში და ბრაზი,
მერე კი წასვლით გამოწვეულ დარდებს უძლებდი.
უძლებდი და თან შიში გქონდა ვერდაბრუნების.
ომი ხომ სხვაა, ომში ხშირად დაიკარგები,

რადგან, როგორც ღმერთს, ომსაც უნდა მხოლოდ კარგები
თავისთვის და შენც მოლოდინით განადგურდები.
და სანამ დარდებს უმკლავდები, გრძნობ რომ ცხოვრება
სხვანაირია, შეიცვალა ირგვლივ ყოველი
და სხვას არაფერს არ განიცდი, აღარც მოელი,
წამი, რომელიც სამუდამოდ გემახსოვრება.
და იცვლის ფორმას შენი ტანი, სახე, თვალები...
სადაც მიდიხარ ყველგან გრძნობ, რომ თითქოს სახლში ხარ,
არც არაფერი გეჩვენება უკვე საშიშად,
გგონია, აწი მთელ სამყაროს გაუმკლავდები.
სულ უფრო მეტად ნელი გახდი, სულ უფრო მეტად
გიჭირს ნაბიჯის გადადგმა და მალე იღლები,
მაგრამ, რას იზამ, მოსასწრები გაქვს, თან იმდენი,
შენ უნდა იყო, უნდა იდგე როგორმე მედგრად.
რომ დაბრუნებულს ისე დახვდე, როგორც დაგტოვა,
სულ უფრო მეტი სიხარულით, მეტი ღიმილით,
არ დაგეკარგოს აწყვეტილი ყელზე ღილივით
ის სიყვარული, რადგან ისიც შენებრ მარტოა.
მის დაბრუნებას ბევრი მოჰყვა უძილო ღამე,
კოშმარები და შფოთვის ბევრი მძიმე საათი,
ამ პერიოდს შენ არ იხსენებ, რადგან ათასი
გზა გაიარეთ მისასვლელად თქვენს ნიშნულამდე.
და მერე უკვე გრძელდებოდა ცხოვრება ფინთად,
მოგონებებს კი, რა თქმა უნდა, ვერასდროს წაშლი,
ექუფრებოდა ბაბუს სახე როდესაც წამში
ეჩვენებოდა ყველაფერი მდორედ და ბინდად.
შენ კი სახლიდან წასასვლელი კარი ჩარაზე,
მომრავლდა მერე სიყვარული, წყალობა (და ვით),
მათ ჩაესმოდათ ისე ტკბილად, გალობასავით,
რომ მღეროდი და აძინებდი იავნანაზე.
დაიზრდებიან! შენ კი უფრო პატარავდები,
გაკლდება ძალა, თვალიც ვეღარ გიჭრის იმდენად,
მაგრამ საერთოდ აღარავინ არ გყავს იმედად,
მანაც დაგტოვა უდროოდ და შენც დამთავრდები.
თუმცა არავის ტვირთი არ ხარ, თავად მიხედავ
საკუთარ თავს და საბოლოო ამოსუნთქვამდე
გინდა ამბობდე მის სახელს და სურვილს უთქვამდე
მათზე, ვინც ახლა თვალწინ გყავს და ანაზდად ხედავ.
„ბევრს მოვესწარი, ეს საკმარზე ბევრად მეტია“, –
ამბობდი, მერე ცრემლებს მალავდი,
თითქოს სიცოცხლეს რამეს პარავდი,
რაც მან ვერაფრით ვერ დაიტია.
შენ არ იცოდი, მაგრამ იქნებ გულში ფიქრობდი,
დაგივიწყებდნენ და არ ჰქონდა აზრი არაფერს,
არც შენს სიყვარულს, არც სიმღერებს ირგვლივ განაფენს,
მე სასთუმალთან გეჯექი და ფიქრებს გიფრთხობდი!

●

შენ ცოცხლობ...
იბრძვი...
წვალობ
და
ცდილობ,
ეს ჩამოშლილი
იმედი
შეკრა.
გაყინულ
ხელებს
ცრემლებით
ილღობ
და უჩინარი
დღეების
წყება,
როგორც
ნიშნული
შეწყვეტილ
ფიქრის
ნაპერწკალივით
გაქრება შენგან,
რადგან
არაფერს
ითმენს
ვინც მიდის,
ყველაფერს
ითმენს,
რომელიც
რჩება!
ქრება
სიცოცხლის
ყველა
ნიშანი
გამოყოლილი
ხელის
გულიდან.
ეს
ძალიან ცუდს
უნდა
ნიშნავდეს,
უნდა
ამოხტეს
გული
ბუდიდან.
და ბუდეებში

ობლად
დარჩენილ
ჩიტებს
მოჰქონდეთ
შენთან
ამბები,
გაიზრდები და
ველარ
გიშველის
ველარც ნუგეში,
ველარც
აბები.
ათასგზის
უკვე
ნაცად
ხერხებით
თავის
დაძვრენას
რომ ველარ
შეძლებ,
მერე
იწყება
შეფერხებები
და
ცოტა მერე
ბრძოლასაც
შეწყვეტ.

მწირი

განუყოფელი ნაწილი ვარ ამ მიწის, ამ ცის. ოდეს მარტო ვარ,
უმიზნოდ ვუმზერ გამუდმებით ღამის ქარაფებს,
ოი, რომ ისე გავეცლები ამ წუთისოფელს, შენ აღარ მოხვალ
და ჩემს სასახლეს ველარავინ მოავარაყებს –
მინდვრის ყვავილით. ბოლოს ზეცას როდის ახედე?
დავალ ამ მთებზე, მივუყვები მუდამ აღმართებს,
და მინდა ამ მთის გრილი სიო შენს თმას არხევდეს,
აღარასოდეს გათენდეს ან სულ არ დაღამდეს.
ვიხსენებ: წვიმა... მატარებლის მომცრო სადგური...
მოგონებაა გამუდმებით, გულს რომ გამოხრავს
დე იყოს ჩემი ბოლო სიტყვა, როგორც დასტური,
მე წავედი და განგეშორე, მაგრამ მახსოვხარ!

●

სანამ წვიმს და ცას გული უელავს
და ამინდებში ქაოსი სახლობს,
შევაღებ სახლის ძველისძველ ოთახს
და დედაჩემის ნაქონ ძველ პალტოს,
ვით გადარჩენის ერთადერთ იმედს,
ტანზე მოვირგებ და გული ოხრავს,
რომ ამ პალტოში გალია მთელი
თავის ცხოვრება, რაც გზა იარა
ეტყობა ობლად გაცრეცილ სარჩულს
და ჩამოხეულ უბეს მთლიანად...

●

ჩემს ფეხქვეშ მიწა აღარ არის, სივრცის მილმა ვარ,
მილმა ამბების და გარედან ჩემს თავს შევყურებ,
ჩემ გარდა, ჩემი არსებობა ყველამ იწამა,
ალბათ, ცხოვრება დალაგდება ან თავს ვიტყუებ...
ის გზა, რომელსაც დავადექი, არ დასრულდება,
თუ არ მოვძებნი გზაგასაყარს და გეზს შევიცვლი,
რაც ჩემგან დარჩა მალე ისიც განადგურდება
და დავიწყებას მიეცემა, თუმცა შენ იცი...
გამხმარ ფოთლების ხმოვანება წამართმევს სმენას,
გონებაში კი მდუმარება დაისადგურებს,
და თუ წავედი ნუ ეცდები ჩემს გადარჩენას –
როგორმე გავცდე ამქვეყნიურ ყოფის სადგურებს...

ნათია როსტიაშვილი

ფუტკარი ბარამბოს ტოტზე

სიჩუმის ეს ხორკლიანი სახეობა ბავშვობიდან მძულს.

თითქოს ხმას არავინ იღებს, მაგრამ მხარზე თითის წვერებით შეხება, ამოსუნთქვა, შემჭკნარ ყვავილს უცებ ჩამომძვრალი ფურცელი რაღაც მოგუდულ, ხორკლიან რხევებს აჩენს ჰაერში, ყურის აპკზე მაწვება და მტკენს.

ყველა, ვინც ოთახშია, თაიგულებს შორის უადგილოდ გამოჩხერილ ბარამბოს ტოტს მისჩერებია გაოცებული. რომც არ დამენახა, ვინ მოიტანა, მაინც მივხვდებოდი. მარტო დოდიკოს შეუძლია მკვდარი მეგობრისთვის სოფლიდან ქალაქში ბარამბოს ტოტი ჩამოიტანოს, ზედ ფურცლის ნაგლეჯი მიამაგროს ტექსტით „ყველაზე ძვირფას ნაზის!!!“ და შავ არშიამოვლებულ გვირგვინებს შორის კმაყოფილმა „დააადგილოს“.

ნაზის გაცემულ რჩევებში ბარამბოს „ლუმინალის“ ადგილი ეკავა. კუჭი გაწუხებს? – ბარამბო უებარია! ნევროზი გიშლის ნერვებს? – აჰ, რა თქმა უნდა, ბარამბო! ჰიპერტონია? ასთმა? რევმატიზმი? – ბარამბო, ბარამბოოო!

დოდიკო, ამ შავი შალით შეფუთული ჭაღარა თავით, ისეთ ბავშვურად გულუბრყვილო აზრებს დაატარებს, არ გამიკვირდება, სადღაც იმის იმედიც ჰქონდეს, რომ ყოვლისშემძლე ბარამბოს ადამიანის სიკვდილისგან განკურნებაც შეუძლია.

ტოტს ვაკვირდები. არ მეჩვენება, ბარამბოს ფოთოლზე ფუტკარი ზის და თავს ირწევს არხეინად, თავის წვლილი შეაქვს ამ მოგუდული სიჩუმის ქსოვაში. თითქოს წარსულიდან ნაზის არაერთხელ ნათქვამი ფრაზის ვიბრაციაც გამოიხმო და რიტმში აიყოლია: „ბა-რამ... ბო-სი... გი-ჟემ... დე-უყ... ვართ-ფუტ... კრე-ებს“.

ფუტკარი ირწევა, ბარამბოს ფოთოლს მტვერივით სცვივა სურნელი, წრეზე მოსიარულე ხალხი მანტრასავით იმეორებს: „ვიზიარებ, ვიზიარებ, ვიზიარებ...“ ეს ყველაფერი ნელ-ნელა მაჰიპნოზებს, სიმშვიდისკენ მექაჩება. სიმშვიდის იმ უიშვიათეს სახეობაში მითრევს, რომელიც სრულიად ულოგიკოდ მოდის ზუსტად მაშინ, როცა ყველაზე ცუდად ხარ.

ბიოლოგიის მასწავლებლისთვის ერთგვარი პროფესიული ჩვევა იყო – ნაზისთვის ყველა და ყველაფერი სახეობებად იყოფოდა. ეს ჩვევა მეც გადმომდო. მე და ლუკას ოდესმე შვილი თუ გვეყოლება, სიკვდილის წინ მოვიხმობ და საგვარეულო ბეჭდის ნაცვლად, ადამიანებისა და შეგრძნებების სახეობებად დახარისხების ბაჯაღლო ნიჭს გადავცემ.

●

– დედი, შენი ცოლი ძალიან იშვიათი სახეობის ადამიანია, – ლუკას უთხრა ერთხელ ნაზიმ, – ძალიან უნდა გაუფრთხილდე, ძალიან! ჩათვალე „წითელი წიგნის“ მცველი ხარ და გევალება.

– აუუუუუ!.. – „უ“ უსაშველოდ გაწელა ლუკამ, – რა „წითელი წიგნის მცველი“, რეებს იგონებ, ქალო?!

თვითონ არასდროს უთქვამს, მაგრამ, ვგრძნობდი, შვილისგან ნათქვამი „ქალო“ ძალიან სწყინდა. ეს თითქოს უწყინარი მიმართვა რაღაც ძალიან სათუთს უჭკნობდა გულის ქოთანში.

ადამიანი თავის სახელს ასე ჰგავდეს, სხვა არც არავინ ვიცი. რაღაცნაირი საფრთხილო იყო, მსხვრევადი, მაგრამ, რაკი ღმერთმა მის შესაქმნელ მასალად შუშა კი არა, ხორცი ჩაიფიქრა, როგორღაც გადაურჩა ნამცეცებად ჩამოშლას. ნუ, აქამდე გადაურჩა, თორემ ახლა...

●

დოდიკო ამოწითლებული თვალებით მომიჯდა გვერდით. თავზე მოხვეული შავი შარფი შეისწორა და ჩამჩურჩულა:

– ხომ იცი, დედასავით გყავდა ცხონებული... რამდენჯერ უთქვამს ჩემთვის: „დოდიკო, ქალიშვილი შევიძინე! დრო რომ მომივა, ვიცი, ცრემლით დამშვიდობებას არ დამამადლის!“

იქნებ ოდესმე რამე ამდაგვარი მართლაც უთხრა ნაზიმ, მაგრამ მე მაინც მგონია, ჩემი უხმო, უცრემლო ჭირისუფლობით გულნატკენმა დოდიკომ ძალა მოიკრიფა, საკუთარ თავში ეშმაკობის ძლივს შესამჩნევი სულ პაწაწინა ნამცეცები წამოფხიკა, შეაკონწიწა და გამოგონილი ტექსტით მიმანიშნა, რომ დროა, რამე დავატირო დედამთილს, რომელიც დედაც იყო ჩემთვის, მეგობარიც, მაგრამ, რა ვქნა, არ შემიძლია. თითქოს ჩემი ქცევის მართვის პულტი მე არ მეკუთვნის, სადღაც გდია ელემენტდამჯდარი და დოდიკო ხან ერთ ღილაკს დააწვება, ხან მეორეს... ვერაფერი.

●

მე და ლუკა რომ დავქორწინდით, პირველი, ვინც მოსალოცად მოვიდა, დოდიკო იყო. გავაღეთ კარი და დგას ზღურბლთან ფუმფულა, წითელლოყება, გულწრფელი სიხარულით გაბადრული დოდიკო. ხელში თავისი ბოსტნის ქლიავით, ბადრიჯნით, კიტრითა და კარტოფილით გამოტენილი დიდი შავი ჩანთა უჭირავს და, რაც მთავარია, ამ ჩანთის გაქლეტილ სახელურზე, თეთრი, კარგად გახამებული უგრძესი მაქმანი აქვს ბაფთად გამონასკვული.

– წუხელ მომაფიქრდა. შენახული მქონდა – ახალგაზრდობის დროინდელი. გავრეცხე, „კრახმალში“ ამოვავლე, გავაკოხტავე. ასე გაბაფთული ჩანთა ხომ უფრო საზეიმოა, არა? ხომ უფრო ეტყობა, რომ საქორწინო საჩუქარია?! – რიტორიკულად გვკითხა საკუთარი იდეით ბავშვივით აღფრთოვანებულმა და მერეღა შემოვიდა, მოგვილოცა.

დღემდე მახსოვს ნაზის უცნაური რეაქცია: ბავშვობის მეგობრის დანახვაზე თვალები კი გაუბრწყინდა, მაგრამ კი არ მიეგება, უკან დაიხია, თვალები დახუჭა და იდგა ეგრე, სუნთქვაშეკრული.

საღამოს, ძილისწინა რიტუალს – ქოთნის ყვავილებთან ლაპარაკს რომ

მორჩა, დამიძახა.

– დეა, მოდი. ვიცი, გაინტერესებს... ემოცია, დოდიკოს დანახვისას რომ გამიჩნდა, ისეთი იშვიათი სახეობისაა, როგორც, მაგალითად, ცეროიდ ცაცტი ჯგუფის ერთი კაქტუსი. კაქტუსის ეს სახეობა მთელ წელში მხოლოდ ერთი ღამით იშლება. თუ ვერ მიუსწარი და დატკბი, მორჩა! დილისთვის უკვე დამჭკნარი დაგხვდება. ჰოდა, მინდოდა, ჩანთაზე მაქმანგამობაბთული, ბედნიერი დოდიკოს დანახვით გაჩენილი ემოციისთვის ჩამევლო, ჩემში შემეკავებინა, გამეხანგრძლივებინა, ბოლომდე შემეგრძნო. ეგეთი კადრი მეტჯერ ხომ აღარასდროს განმეორდება, არა?

●

მოგუდული სიჩუმისგან ჩამოქსოვილი ჰაერის ფარდა უცებ აფრიალდა, გამოვფხიზლდი. ვხედავ, ლუკა დგას ოთახის ზღურბლთან. თვალები აქვს დაჭყეტილი და ისეთი არაბუნებრივად თეთრი ფერი ადევს, რა დროს ესაა, მაგრამ გონებაში უნებურად ვაგებ წინადადებას: „და ჰა, განეძარცვა მას ყოველი ფერი ძეხორციელისა.“

შენელებულ კადრად ვხედავ – ლუკამ ხალხი მისწი-მოსწია, თან თვალს არ მაცილებს, მოიწევს დაფეთებული და უცებ მივხვდი, მე კი არა, ნაზის ფეხებთან მიწვენილ ბარამბოს ტოტს მისჩერებია. ფუტკარი დაინახა და მექანიკურად გამოექანა, რომ აუქშიოს. ნაზის ალერგია ჰქონდა ფუტკრის ნაკბენზე და საკუთარი ცხოვრების ყველაზე დიდ ტრაგედიად ოჯახის დანგრევა კი არა, ეს ალერგიულობა მიაჩნდა, რაკი ბუნებაზე ყურებამდე შეყვარებულ ბიოლოგს არ შეეძლო, როგორც თვითონ იტყოდა, „ამ გამრჯე მწერებს ჯეროვნად მოსიყვარულებოდა“.

ლუკას თვალებს ვუქაჩავ, ნაზიზე ვანიშნებ. ისიც მიქაჩავს და ფუტკარზე მანიშნებს. ვცდილობ, თვალებითვე ვუთხრა, რომ ლუკ! აღარაა ადამიანი ცოცხალი, ფუტკრის ნაკბენი ნაზის უკვე აღარ გაუსივდება, დამშვიდდი! თან ფუტკარმაც, არა მგონია, იმ მკვდარი ქალის კბენა იკადროს, მოსწავლეებთან ლამის დედაშვილური სიყვარულით რომ საუბრობდა მის მოდგმაზე.

ლუკამ ყველაფერი გაიგო და აყვირებული თვალები უცებ ჩაიჩუმა. თითქოს მხოლოდ ახლა, ამ წამს, ნაზის სახლში ყოფნის ამ ბოლო წუთებშიღა მიხვდა, რომ მორჩა, დასრულდა დედამისი, აღარაა...

●

ნაზი ჩემი და ლუკას დამრიგებელი იყო სკოლაში. ერთხელ გავბედე და ვუთხარი: მას, მიყვარს, მცენარეებზე რომ გვიყვებით, თითქოს თქვენი მოყოლილი მცენარეები უფრო ჯადოსნურები არიან, ვიდრე ჩვენი დანახულები-მეთქი და ისე გაუხარდა! იმის მერე სულ ცდილობდა, „მწიკვი“ ჯადოქრობა ყოველ გაკვეთილში გამოერია. გაკვეთილის ახსნის მანერაც კი შეეცვალა. ერთხელ, მაგალითად, ისეთი ფრაზა თქვა, ისეთი თეატრალურობა ჩააქსოვა, მთელ კლასს გაეცინა, ლუკასაც, მაგრამ, რაკი ნაზი ახსნისას მხოლოდ მე მიყურებდა და მე კიდევ არც გამღიმებია, დანარჩენების გა- თუ ჩა-ცინება არ შეუნიშნავს (მადლობა ღმერთს!). ფრაზა კი ასეთი იყო:

– ...და ეს სიცოცხლით სავსე თესლი უცებ ჰოოოპ! – ამოღვივდება, სასწაულებრივად ამოყოფს თავს შავი მიწიდან. პატარა, თავწვეტა გნომივით!

ახლა ვფიქრობ, ამ „თავწვეტა გნომივით“-ზე რანაირად არ გამეცინა, მაინც რანაირი უგერგილო ბავშვი ვიყავი?

მერე, უკვე რძალი რომ დამერქვა, სიცხიანი ვიწექი ნაზის ტახტზე და ვთხოვე, ყველაზე ჯადოსნურ მცენარეზე მომიყევი-მეთქი რამე.

– ოჰ, დეა, რომ იცოდე, როგორი ჯადოსნური მცენარეა მისი უდიდებულესობა ნეპენტესი! ბერძნულიდან ითარგმნება, როგორც „არავითარი მწუხარება“ („ნე“ – არავითარი, „პენტჰოს“ – მწუხარება). დოქის ფორმა აქვს და ამ „დოქში“ ეშმაკურად იზიდავს ცოცხალ ორგანიზმებს, შიგ გამოკეტავს და მათით იკვებება. ასეთია

ნეპენტესის ბუნება, მაგრამ, თუ იცი, რა ქნა ერთმა საოცარმა სახეობამ? – ვერ გამოიცნობ! უარი თქვა ცოცხალი ორგანიზმით კვებაზე და ფოთლებიჭამიად გადაიქცა! წარმოგიდგენია? ხომაა წარმოუდგენელი ჯადოქრობა?!

არადა, ნეპენტესზე მეტი ჯადოქრობა თვითონ აქვს ჩადენილი. საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, კვამლი ხორცად როგორ გადააქცია.

●

მშობელთა კრება იწყებოდა. საკლასო ოთახთან ჩემი კლასელების გაპრანჭული, მზამზარეული ბედნიერებისგან ცხოვრებააფუებული დედები იდგნენ. დავინახე, როგორ ფეხათრევით, კვამლივით ზანტად მიიზლაზნებოდა მათკენ ნახევრად გამჭვირველე, ნახევრად ნაცრისფერი ბებიაჩემი. ღია კარში ისე შეცურდა, ვერავინ შეამჩნია. მახსოვს გავიფიქრე, რომ ასე ლანდივით გალეულ ადამიანს, არც ჩაკეტილ კარში გაუჭირდებოდა გავლა.

კრებაზე კვამლად შევიდა და იქიდან ადამიანად გამოვიდა.

– ბები... მადლობაო, იმან... ნაზიმ, – იქვე ჩამჩურჩულა თვალებგაბრწყინებულმა, – მადლობას გიხდით კარგი შვილიშვილის გაზრდისთვისო!

ასეთი ბედნიერი მეტჯერ აღარც მინახავს ბებიაჩემი.

კი, ნაზი ჯადოქარი იყო. მასწავლებლის ის იშვიათი, ჯადოსნური სახეობა, რომელმაც გარიყული, ჩაკეტილობის გამო ოროსანი (ვიცოდი და მოყოლას ვერ ვბედავდი) ბავშვი საუკეთესო მოსწავლედ აქცია! ყოველდღე, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, დამსვამდა ცარიელ კლასში, ამოალაგებდა სახლში გამომცხვარ კექსს, ქილით – მურაბას და „მაიძულებდა“ ერთად გვეჭამა, გველაპარაკა, გვეცინა. ხან ლუკასაც შემოიყვანდა ხოლმე და მთხოვდა: „დეა, მგონი ლუკა მათემატიკაში ვერ გაერკვა, მიდი, აუხსენი, რაა. შენსავით კარგად ვერავინ გაიგებდა ახალ მასალას.“

ნელ-ნელა, გაკვეთილების მთელი კლასის წინაშე მოყოლაც გავბედე, მასწავლებლებმაც ამაძრეს თავიანთი მოწებებული ვირტუალური იარლიყები, „თვალებიანი კუნძი“ და „უსიცოცხლო“. ბავშვებსაც გაუჩნდათ ჩემთან დამეგობრების სურვილი. ჩემმა აქამდე ვერაფრით გაღვივებულმა თავდაჯერებულობის თესლმა ერთმანეთის მიყოლებით ამოყარა ნედლი ყლორტები. უკვე აღარ ვფიქრობდი, რომ, რაკი დედამ ღრმა ბავშვობაში მიმატოვა, რაკი გრაფაში „მამის სამუშაო სტაჟი“ რეალურად მხოლოდ „ლოთობა“ შეიძლებოდა ჩაწერილიყო, რახან ქრონიკულად გადაქლეტილი ფეხსაცმლით დავდიოდი და ბებიაჩემი კიდე კვამლს ჰგავდა, არ ვიყავი ღირსი, ადამიანები თანასწორივით მომქცეოდნენ.

ნაზისთან სკოლის დამთავრების მერეც ვმეგობრობდი. ამ სახლში ამოვდიოდი ხოლმე სტუმრად, ამ მისაღებ ოთახში ვსხდებოდით. ახლა რომ წევს, ზუსტად აქ, ოთახის შუაგულში, კუბოს ნაცვლად ხის მრგვალი მაგიდა იდგა. როცა გამხმარი ყვავილების ჩაის ვსვამდით, კედლის იმ სარკეში ვიყურებოდი, ახლა ჩემ ზუგსუკან, თეთრი ნაჭერი რომ აქვს ჩამოფარებული, ვიღიმოდი და მიკვირდა: აი, რანაირად ვჩანდი ნაზის სარკეში გაცილებით უფრო ლამაზი, ვიდრე ჩემი სახლისაში? მერე და მერე, მე და ლუკა რომ დავახლოვდით, ამ სარკეში ჩახედვა აღარ მჭირდებოდა თავის გასამხნევებლად, ჩემი სათქმელი ლუკამ გადაიბარა: „რა ლამაზი ხარ, დეა!“ ახლა ვერ ვიხსენებ, ნეტა, მაგ პერიოდში როგორ მიმართავდა დედამისს, მაშინაც „ქალო“-თი?

პირდაპირ არასდროს უთქვამს, მაგრამ სულ ვგრძნობდი: ლუკას ნათქვამი „ქალო“ რომ ხიჭვივით ჩაესობოდა, იმ ხიჭვის ამოღება ჩემს ნათქვამ „დედას“ შეეძლო, მაგრამ ნაზიმაც იცოდა და მეც, რომ ძნელი იყო ჩემთვის, ლამის შეუძლებელიც – სათქმელი სიტყვისთვის ამ მარტივად დასალაგებელი ასოთაშეთანხმების ფორმა მიმეცა.

●

ხალხმა საათზე დახედვას მოუხშირა, თვალს ჩემკენ აპარებენ. როგორც ჩანს, უკვე დროა...

სიჩუმის ეს საზიზღარი, დამხორკლავი სახეობა ახლა, ნაზის სახლში ყოფნის ბოლო წუთებში, კიდევ უფრო აუტანელი გახდა. არ ვინძრევი, მაგრამ ამ სიჩუმის დაშვებით თუ ხელშეწყობით, თითქოს უკვე რაღაც უპატიებელს ვაკეთებ. თითქოს ჩემზეა დამოკიდებული, სიჩუმის ეს საძაგელი სახეობა აქ, პირდაპირ ჩემ ცხვირწინ, ჭერის ყველა კუთხიდან გადმობიბინდება, ამ დღის სამყოფი მოგონების ყველა მტკაველს ხვიარასავით მოედება, ყველა ნივთს გადაუვლის, ფანჯრიდან გადაეფინება და მთელ სამყაროს დაფარავს, თუ ძირ-ფესვიანად ამოვძირკვავ აქ და ახლა და დინოზავრივით სამუდამოდ გადაშენდება.

ღმერთო, რატომ გამჭვირვალეს არ ხდი მგლოვიარე ადამიანის ხორცს, რომ გული და გონება გამოუჩნდეს? რატომ სჭირდება ხალხს, ხელი ჩაიყო სულში, თავი ამოიტრიალო და სანახაობა აჩვენო, შენი მკვდრის სიყვარული დაუმტკიცო? იქნებ იმიტომ, რომ სინამდვილეში მგლოვიარესაც აწუხებს ეს სიმუნჯე და ასე ეხმარები, ხალხის „შიშით“ მაინც ამოიღოს ხმა, შიგნიდან ტკივილი ამოიწუროს, უკან ჩაბრუნებული ემოციისგან გათავისუფლდეს?

ალბათ, ნევროზის ახალი სახეობაა: ენას ვერ ვამოძრავებ და თვალებს ვერ ვაჩერებ, სწრაფ-სწრაფად დახტიან ერთი გვირგვინის წარწერიდან მეორეზე:

„უსაყვარლეს ნაზი მასწავლებელს მოსწავლეებისგან“.

„თანამშრომლებისგან“.

„მეზობლებისგან“.

„ყველაზე ძვირფას ნაზის!!!“

გამომშრალ ტუჩებს ძლივს ვახლეჩ ერთმანეთს. თითქოს ხორბალს ეკალი არ აქვს, არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ პირში მოგროვილი ხორბლის მარცვლისოდენა ასოები ენაზე მჩხვლეტენ, ვერ ვალაგებ საჭირო მწყობრში.

დოდიკო ზის ჩემ პირდაპირ. ნაზის აქეთ – მე, ნაზის იქით – დოდიკო და თვალებით ისეთ იმპულსებს მიგზავნის, გამომშრალ ტუჩებზე ნესტს მიბრუნებს, ენის ნარ-ეკალს უცებ-უცებ კაფავს და სიტყვის ხორბალიც ღვივდება.

– მადლობა ყველაფრისთვის, შეხვედრამდე, დე!

რაღაცნაირი, ხიჭვებიანი ხმით ვამბობ და, რომ ნამდვილად ვთქვი, ამას დოდიკოს თვალები მარწმუნებს. დოდიკოს თვალებიდან წამით, სულ ერთი წამით ნაზი მიყურებს ისეთი სიყვარულით, სიყვარულის ისეთი იშვიათი სახეობით, რომ ღრიალი მინდა. ვღრიალებ კიდეც, ოღონდ, ვერასდროს ვერავისთან შევძლებ ვაღიარო, ვერ შევძლებ ავხსნა, რომ ეს ღრიალი სიხარულისაა; რომ, დიახ! მე ის ჯადოსნური ნეპენტესი ვარ, უარს ვამბობ მწუხარების აღქმაზე! ჩემს თავში, როგორც დოქში, მკვდარი სხეულის დარდს კი არა, სიყვარულს ვიტოვებ საკვებად, იმ სიხარულის ფოთლებს, რომლებიც ამ ორი ასო-ბგერის თქმამ დაბადა ჩვენთვის – ცოცხალი და მკვდარი ადამიანისთვის ერთდროულად; რომ ეს კიდევ უფრო იშვიათი სახეობის სიხარულია, ვიდრე მთელ წელს მხოლოდ ერთი ღამით გაყვავილებული კაქტუსის საკრალურობა.

„ადამიანი ერთხელ იბადება და ერთხელ კვდება,“ – ნაზი ამბობდა ხოლმე, მაგრამ, მე მაინც მგონია, რომ ნაზის სახეობის ადამიანი „მრავალწლოვანი მცენარეა“. ოდესმე სხვა ფორმით, სხვა სახით, სხვა განზომილების მორგებით აუცილებლად ამოღვივდება, სასწაულებრივად ამოყოფს თავს შავი მიწიდან პატარა, თავწვეტა გნომივით და მხოლოდ ბარამბოს ტოტზე დარწეული ფუტკრის სმენისთვის სამყოფ სიხშირეზე იტყვის:

– ჰოოოპ!

ბესო ხვედელიძე

GOA მშვიდობისა!

სახმელეთო ბეწვისხიდი
ნეპალიდან გოამდე უვნებლად ჩაღწევის მსურველთათვის
(გაგრძელება)

შუაღამის ამჟამინდელ გორახპურში ტაქსის მძღოლმა შეგვაფხიზლა. აღარსად იყო ის პატივცემული ინდუსი-მედიუმი, ხოლო ეს ქალაქი კი, ამ ყიამეთში ძალიან სახიფათოდ, ლამის 90-იანებისდროინდელი გროზნოს გარეუბანივით შემოგვციმციმებდა.

– ტიპ-ტიპ! – მანქანიდან გადავედით თუ არა, მძღოლმა ჩვენკენ სლიკინა ხელისგული მოაშვირა და უცნაური ვიტვიტი იწყო.

– რა ჭირი და ოხრობა უნდა, რაიმონდ? – გადმომხედა მკაცრწარბიანმა ალექსამ. – ფული ხომ მივე წინასწარ?

– ტიპ-ტიპ! – არ ცხრებოდა მძღოლი.

– ვიცით, ბაბა, რომ კაი ტიპები ვართ!.. – დაანახა ალექსამ მძღოლს ხელისგული. – აბა, სულ მწვანეზე გევლოს, ბუდულაი!

– სად ნახე გზაში შუქნიშანი, ალექს?! – უკვე მე წაველაზღანდარესავით ალექსას.

– ტიპ-ტიპ! – ისევ ტიპტიპებდა ტაქსის მძღოლი.

– რამე ხომ არ დაგვრჩა მანქანაში, კახაბერ? – ივარაუდა ალექსამ და ავტომანქანასთან მიბრუნებულმა მისი უკანა კარი გამოაღო. თან ტელეფონზე შუქი აანთო და უკანა სალონში ნახევარი ტანით შესულმა, იქაურობის თვალიერება დაიწყო.

– ტიპ-ტიპ! – კიდევ უფრო ხმამაღლა აყვირდა მძღოლი.

– ე, ბინოკლი დარჩენია ძია-მედიუმს, ვასკეს! – სალონიდან უკუსვლით და იქიდან მართლა იმ ულვაშა-მედიუმის ბინოკლით გამოძვრა ალექსა.

– ტიპ-ტიპ! – უკვე ნერვებს ღუნავდა ტაქსის მძღოლი.

– გაატანე! იპოვოს პატრონი და დაუბრუნოს! – ვურჩიე მე და ალექსამაც ტაქსისტს მაშინვე ულვაშა-მედიუმის ბინოკლი დაუდო ხელისგულზე. ეს იყო და, მძღოლმაც მაშინვე მომუწა პირი.

– დაქოქე და შენ იცი, აბა! თუ კაი ტიპი ხარ, იპოვე ის კაცი, რო წაიღე ტვინი ამ შენი ტიპობით!.. არ გვინდა ჩვენ სხვისი ბინოკლი! აქედან ჩემს ცოლს საქართველოში მაგით მაინც ვერ დავინახავ. ასტროლოგებიც არ ვართ, რაჯუ! – დამოძღვრით აუხსნა ალექსამ მძღოლს ქართულად. მძღოლმაც, ვითომც ყველაფერი გაიგო და შეისმინა, უმალ მორჩილად მოქოქა მანქანა და იმ სხვისბინოკლიანად მიეფარა თვალს.

– იგრძენი რამე? – მომიტრიალდა ალექსა და მივხვდი, რომ უკვე იმ ულვაშა-მედიუმის მანქანის სალონში ჩატარებულ უცნაურ სეანსზე მეკითხებოდა. მე მაშინვე საკუთარ სხეულს მივაყურადე, თუმცა განსაკუთრებული ვერაფერი გავიგონე და მხრები ავიჩეჩე.

– რავი. მგონი, ყველა ორგანო ადგილზე მაქვს... ჩემგან არაფერი წაუღია! – მოვისინჯე ჯიბე-სხეული ღიმილით. – ისე, მართლა საერთოდ არაფერი არ მახსოვს, ალექს... დაიწყო თუ არა ჯადობაზობა, მე მაშინვე მივითიშე!

– როგორ დაიწყო, ეგ ხომ გახსოვს, ასლანჩიკ? – ცბიერად მოწკურა მზერა ალექსამ. – აბა, მე კი ვარ წკრიალად, ისეთი დიდი შაბათობა ჩამიტარა ჯიგარმა.

– რაო, რა მინდაო ჯამში?

– შენ რომ მიითიშე, კობი, ეგ უცებ მართლა ჩემ შიგნით გაიჩითა... ვა, მე ვთქვი – მე რა ვაკეთო, ვიდრე ეს ჩემში პოლს მორეცხავს, ფანჯრებს დაწმენდს და ჭუჭყიან ფარდებს შეცვლის...

– სიგარეტი მოგეწია ფანჯარაში!

– უარესი ვქენი, თეიმურაზ!..

– ფეხზე გაახდევინე, რომ შემოვიდა?

– გასვეცკებული ქართველი გორსალა კი არ ვარ, ჭიჭიკო!

– აბა?

– რა და, ხომ დავინახე, რაც ქნა ჩემში შემოსვლამდე?.. სახის მიმიკა და ტექნიკა ანუ!.. დავიხსომე და მეც ზუსტად იგივე შევასრულე სახით და უცებ... როგორც ის ჩემში, მე იმ მედიუმ-ულვაშაში აღმოვჩნდი ზუსტად, ვაცლავ!

– ვახ!.. მერე არ დაგიხვდნენ ინდური ტაშფანდურით?

– როგორი უცნაური ყოფილა ისე, ფაბიან... ყველა ადამიანმა ხომ კარგად კი არა, ზეპირად იცის საკუთარი სხეული? სად რა როგორი აქვს – მაგაზე ვამბობ, და უცებ ბრახ და – თავს ამოყოფ სხვისაში, ლუდვიგ!.. და მე ამ ჩემს თავს ვუყურებდი გარედან და ვაკონტროლებდი! რა სიმპო ვყოფილვარ! პირველად ვნახე ჩემი თავი გარედან! სარკეში ხომ პირიქით ჩანს ყველაფერი, თენგიზ?

– მაგრა მოუხეხიხარ იმ დამლაგებელს, ალექს! რა ენერგიებზე ხარ? მატარებელში ზედა თაროზე დაწვები, იცოდე!

– ჯიბეებში მძიმე ქვებიც უნდა ჩავილაგო, რომ არ ავფრინდე ემანდ უცებ, სულ ზევით და მაღლა... მაგრამ ეს ბინოკლი როდისღა დარჩა მანქანაში, რასულ?

– მოიხსენი, ალბათ, ის კაცი რო იყავი და შენს თავს ამოტრიალებული ბინოკლითაც შეხედე!..

– მერე?

– და მერე ძირს დაგივარდა, იმ მიმოხვეულებში! – დავუსვი დიაგნოზად ვარიანტი.

– მგონი, მართლა ეგრე იყო, ჯუმბერ! – წავიდა ფიქრებში ალექსა.

– ანუ შემთხვევით მოგიტეხავს იმ პატიოსანი მედიუმისთვის ბინოკლი, ალექს!

– ხომ დავუბრუნე, სალმან?! – გაბრაზდა უცებ საკუთარ თავზე ალექსა. – თან პაპიროსიც მოვწიე იმის პირით, მალხაზ!

– გაიქცეოდა, აბა, სად წავიდოდა, რო დაუბრუნდებოდა საკუთარ თავს! – ვანუგეშე მე თვალისპაჭუნით და ისიც უმალ მოხასიათდა. – კაი გაგიბუღია მისი ოთხოთახიანი!

– დადის, ალბათ ახლა ვარაუდით, ბურნუთ! სახლში მივა მწარედ დაბო-

ლილი და ბინოკლდაკარგული! ეს რა უბედურება ჩამიდენია, მე უპატრონოს...

– შეიძლება არც შეუშვან სახლში! – დავუშვი ასეთი ვერსიაც.

– სამაგიეროდ, ტაქსისტი უფრო ადვილად იპოვის, მანფრედ! დაუბრუნებს ბინოკლსა...

– დაგრეხს თოკსა-ბაწარსა...

– რას გაუმარჯოს, ანუ, შავლეგ? – ლამის ყველა უჯრედით ბრწყინავდა ალექსა.

ქალაქი გორახპური ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ორი მდინარის – რაპტისა და როჰანის შორის მდებარეობს, რომლებიც, თავის მხრივ, წმინდა მდინარე განგის ღვიძლი შენაკადებია. ქალაქის ჩრდილოეთით ჰიმალაის მთებია ასვეტილი. ბუდიზმის დამაარსებელმა გაუტამა ბუდამ სწორედ გორახპურის მახლობლად, რაპტისა და როჰანის შესართავთან გაიხადა, განაგდო და უარყო თავისი სამეფო სამოსი.

*გორახპურს გორახპური ასკეტი გურუსა და წმინდანის გორახნათის პატივსაცემად ეწოდა, რომელმაც ამ მიდამოებში თავის დროზე დიდი პოპულარიზაცია გაუწია ჰათჰა-იოგას. გორახნათის ტაძარი, სადაც ის სწავლობდა, ქალაქის მთავარი ღირსშესანიშნაობაა (მისი ცხოვრების ზუსტი წლები უცნობია. მიახლოებით მე-12 საუკუნე). გორახპური, როგორც მისი *სამადჰის* ადგილი, მომლოცველთა მნიშვნელოვან რაოდენობას იზიდავს. ასევე გორახპურთან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ცნობილი მისტიკოსი პოეტი და წმინდანი კაბირი, რომლის სამარხიც ასევე უმნიშვნელოვანეს ადგილად ითვლება.*

მეცხრამეტე საუკუნის დასწყისში გორახპური ბრიტანეთის ადმინისტრაციის უშუალო კონტროლის ქვეშ მოექცა. სწორედ ეს ქალაქი იყო 1857 წლის დიდი ამბოხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი და მოგვიანებით მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

მატარებლის ვაგზალი, სადამდეც იმ ტაქსი-მანქანამ მიგვიყვანა, წუმპე-ტალახითა და ლბილი ტლაპოთი იყო ალყაშემორტყმული.

– ბაქანზე გავიდეთ, ჯურხა... – დაიწყო შემოვლა ალექსამ.

ბაქანზე მიწოლილ უსახლკაროებს შორის ქუჩის ძაღლები ეყარნენ უხვად. აქა-იქიდან მძინარეთა ხვრენა და ძილიანი ოხვრა-ბოდვა ისმოდა. ჩვენი დასაჯდომი კი არა, დასადგომიც არსად ჩანდა.

– აქ არაა, მგონი, ჩვენი ადგილი! – ვთქვი მე და გარეთ გამოვბრუნდი.

ვაგზლის შენობის გარშემო თავშეყრილი ადგილობრივები პირდაპირ ტალახში ისხდნენ თუ იწვნენ. ზოგი ქუჩის ძაღლებთან ერთად ჭამდა და სვამდა. ღობესთან მიმდგარი კაცები სიმღერით შარდავდნენ. იქვე ქალებიც ჩაცუცქულიყვნენ. ჭუჭყისა და სიდამპლის ყროლს ჰაერში მოტივტივე სურნელებს შორის აშკარად წინა პოზიციები ეჭირა.

– ეს რა ჯოჯოხეთში ვართ, ჩაკ? – უცხოდ შეიშმუშნა ალექსა და ტყლაპოში არეულად ჩაყრილ ქვებზე ხტუნვით გაუყვა გზას. მეც ხტუნვით მივყევი უკან.

– არ აცურდე, ხირჩლა! – მომესმა წინიდან მისი ჩახრინწული ბარიტონი.

ვაგზლის ტერიტორიას გამოცდენილებმა გადარჩენის ნიშნად ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით.

– ახალ საით? – გავიხედე იქვე ჩარიგებული ჭუჭყიანი კაფეებისკენ.

– ხალხიც უფრო მუქია, თუ უკვე ძაან ღამეა, ლომერ??? – ყვირილით შემეკითხა ალექსა და შევამჩნიე, რომ ჩვენ გარშემო შავმა ხალხმა იწყო თავმოყრა – თეთრ თვალისგუგებს სახიფათოდ აჭყიტებდნენ მუქი ფერის ქალები, ბავშვები, მოხუცები, კაცები.

– მგონი, სხვა პლანეტაზე მოვხვდით, ალექს! – დავიძაბე მე.

– აქეთ არ შეგვჭამონ და შეგვათოხლაონ, რომანოზ! – ფრთხილად მიმოიხედა ალექსამ და თვალით კაფეებისკენ გასასვლელს დაუწყო ძებნა.

ვიდრე ეს ყველაფერი სხვანაირ და

ჩვენთვის მიუღებელ გაგრძელებას ნახავდა, უცებ გავიკვლიეთ გზა ადგილობრივ ჩამოხეულებში და ტალახში მიმოფანტულ ქვებზე ხტომით მივაღწიეთ პირველივე კაფემდე.

– რა უნდოდათ? – შვებით ამოვიქშინე მე და შევამჩნიე, რომ ჩვენ დანახვაზე იქაც ადგილობრივებმა იწყეს ჯგუფად თავმოყრა.

– თუ თი! – მხოლოდ ეს უთხრა დახლიდარს ალექსამ და ისიც მყის დაფაცურდა, სუფრა უცებ გააწყო უცხო სანოვაგით და, რომ არ შეგვეჩერებინა, ალბათ, კიდევ მიამატებდა ნაირ-ნაირებს.

– ალო, ვარსქენ! – წარბშეკვრით შეუტია დახლიდარს ალექსამ. – ჩვენ მხოლოდ ორი ჩაი გვინდოდა?.. ეს რა ქორწილის სუფრა გაგვიშალე..?!

– ااا, ჩაი? – მოწყენილად ჩამოყარა ფრთებივით მხრები დახლიდარმა. – მე სულ სხვა რამე მომესმა...

ხელის ჩაქნევით გაგვეცინა.

– იყოს ხო!.. ოღონდ მეტი აღარ გინდა!.. რა ამბავია? ჯვარს კი არ ვიწერთ ამ ღამეს, მერი?!

სუფრაზე ადგილი აღარ იყო. საბოლოოდ, ყველაფერში გადავიხადეთ 15 დოლარამდე ექვივალენტის ინდური რუპია და, რაც კი საკვები დაგვრჩა სუფრაზე, გარშემო შეყრილთ ჩამოვურიგეთ. ამ პროცესს ალექსა ხელმძღვანელობდა:

– აგერ!.. მოდი, პატარა გოგო, აქეთ! ეს შენ საჩუქრად – ჭეშმარიტი ინდური დედლის სამი ცივად მოხარშული კვერცხი!..

– ნამასკარ! – აუბრწყინდა თვალები პატარა გოგონას.

– გამოუშვი შემდეგი, ანტონ!

მე მოხარშული ბრინჯით სავსე თეფში ვაახლე ხელდახელ.

– აგერ, ბაბუ! როგორ გავხარ გადამწვარ ტახამატას – ეს ბრინჯი შენ! კბილი ამას არ უნდა, პროტეზი და გაცხელება!

– ნამასკარ!

– შემდეგი მოვიდეს, ბორია!

მე ალექსას ბოსტნეულის მომოების შეუჭმელი და ხელუხლებელი ლანგარი მივაწოდე.

– აბა, ვეგეტარიანული მომო! წონაში ვისაც სურს დაკლება და მნიშვნელოვნად ამსუბუქება – არიქათ, დამესიეთ!

– ნამასკარ! ნამასკარ! ნამასკარ! – ისმოდა აქეთ-იქიდან იქაური სამადლობელი სიტყვა.

ინდოეთი ძალიან იაფია. ასეთი ქალაქები ხომ – საერთოდ.

გარშემო მყოფმა ხალხმა, მთელი სუფრა რომ დავუნაწილეთ, ჭამის შემდეგ ჩვენზე ხელის შეხებაც მოინდომა – მორიდებით და ფრთხილად გვადებდნენ ხელისგულს და შენახები ხელი მაშინვე უსწრაფესად მიჰქონდათ უკან.

– რას გვემაიმუნებიან, დრაჟენ?

– ალბათ, პირველად ნახეს ასე ახლოდან თეთრები!.. არ გახსოვს ნეპალური ქორწილი? ნეფე-პატარძალი ყველას რო ეკიდა და მთელი ქორწილის ხალხი ჩვენთან იღებდა ფოტოებს?

– რამე კვერცხობა არ გადაგვდონ, ნოდარ!

– აქ უფრო მიაქვთ, ვიდრე მოაქვთ, წესით!..

– ეგ როგორ?

– იმუხტებიან! თეთრობა ამათთვის მაღალი საფეხურია, სხვა კლასია, სასურველი და საოცნებო რამეა...

– ცხონებული მაიკლ ჯექსონიც ეგრე არ იყო?

ამ დროს დახლიდარიც მოგვეახლა და ბუზშესეულ სუფრას ხელი აუქნია.

– ისე, ბუზი აქ მაგარი პიროვნებაა, ნიკალაი! – დაიცვა ბუზი ალექსამ.

– ვინ თქვა?.. სად წაიკითხე?

– აქ ხომ ყველაფერი პირიქითაა...

– ვინ პიროვნებაა?

– ვინაა და – მწმენდავი და დამლაგებელი! ანუ იქ ჯდება, სადაც ბევრი ჭუჭყია და თან მიაქვს ის ჭუჭყი, ანუ წმინდავს რა...

– ახურებ ახლა!..

– მოდი, გავმაზოთ!

– მაშინ – კოღოც!

– რა კოღო?

– რა და, კოღოს ხომ ტკბილი სისხლი უყვარს?

– მერე?

– და ვისაც კბენს, იმას წმენდს შაქ-

რიანი სისხლისგან..!

– ეუჰ!

– რა გამოდის?

– ანუ არ მოვკლათ კოღოც, პაატა!

●

წმინდა ქალაქ ვარანასიში მატარებლით ადრიანად ჩავედით. აზიურად აჭრელებულ ბაქანზე მდებარე სალაროში პირველი კლასის ბილეთები ვიყიდეთ – ისევ მატარებლის, ოღონდ ამჯერად ინდოეთის ერთ-ერთ უზარმაზარ ქალაქ მუმბაიმდე. ის შემდეგ საღამოს გადიოდა, ანუ დროც თავზე უხვად საყრელი და ბარგიც სასწრაფოდ დასაბინავებელი გვქონდა... ამხელა ზურგჩანთებით ქალაქის ქუჩებში აშკარად ვერ ვივლიდით.

– სასტუმრო გვინდა, ვილენ! – იაზრა ალექსამ.

– ელვის სისწრაფით გავარკვევ! – უცებ გავძვერი იქაურ მოტო-რიქშათა მძღოლებში. იქვე ვიღაც ქერა გერმანელი ჭაბუკი არკვევდა ზუსტად იმავეს.

– სასტუმროს ვეძებთ, ამიგო! – გადავულაპარაკე ახლოს მისულმა.

– მე უკვე ვიპოვე! – შემომღიმა გერმანელმა. – ერთად წავიდეთ! რამდენი ხართ?

– ორნი.

– ზუსტად სამი კაცის ადგილი აქვს!

– სასტუმრო სადღაა?

– აქვეა. განგის პირას!.. კრემაციებთან. „ელვის“!

– მე ბესარიონი მქვია, ჩემი ძმა!

– სასტუმროს ქვია ეგრე... „ელვის“!

უკან გამძვრალმა ალექსამდე მალევე მივაღწიე. მას უკვე ხროვად ესივნენ მოვაჭრე ბავშვები: ზოგი ბანანის ასხმულას სთავაზობდა, ზოგიც – ჭრელა-ჭრულა მძივს უტრიალებდა ცხვირის წინ.

– ელვის სისწრაფით მოვედი, ელვის! ავიკრიფეთ!

– რაო, პრესლიკ?

– სასტუმროს ქვია „ელვის“! მოტორიქშა გერმანელმა ჭაბუკმა იქირავა სახელად... აი, ეგ უკვე აღარ ვიცი!

განგისპირა სასტუმრო „ელვისი“ ოთხსართულიანია და ქალაქის ჭრელ ჯურღმულებშია ჩაკარგული. ჩვენით მას ვერაფრით მივაგნებდით. სასტუმროს სახურავზე გადამწვანებული ტერასაა, სადაც ინდური სამზარეულოა განთავსებული. იქ მოხუცი ჰინდუ ბაბუ დაბაჩუნობს და ამზადებს მსოფლიოში საუკეთესო ბაჯის, რომელიც რაღაცით და ძალიან ჩვენებურ საცივს წააგავს.

– ბაჟეა რა, გევორქ!.. ხედიც ნორმალურია!..

– ჩავიდეთ მერე... განგის პირას გავისეირნოთ.

ბარგი უკვე ნომერში იყო დაბინავებული. იქვე ალექსა ვიღაც იმწამს გაცნობილ ჰინდუ-ბიჭთან ერთად გაშპა ტერასიდან.

– მოვალ ოც წუთში, ჟორა!

– საით?

– აქაურ ინდიკა-რთველს და სატივა-ვენახებს დავხედავ! დამელოდე, რა! მივალ-მოვალ!.. მოპედით გამიყვანს-მომიყვანს ჯიბესავსეს!

– წადი შენი..!

– ბაჟე მოი, ფრიდონჩიკ! ბაბუს მოუყევი იქამდე ჩვენი ქვეყნის საგმირო და უქარქაშო ამბები დიდგორ-შამქორზე!

ბაბუსთან არ გამისაუბრია. ტერასაზე განგის მხრიდან სიო უბერავდა. კუთხეში ორნი ისხდნენ. პაპიროსით მივუახლოვდი და ცეცხლი ვთხოვე. სლავები აღმოჩნდნენ.

– ვმოგზაურობთ აზიაში. მე ანტონი ვარ! ეს პაშაა! პირველადაა აქეთ. კი ხედავ, როგორი დაძაბულიცაა...

– რითი?

– ამდენნაირი ინდოეთით და აქაური ქაოსით!

– უნდა გაუძლო! – დავამშვიდე მე და აკვამლებული პაპიროსი გადავაწოდე. – ადრე თუ გვიან გაგიღებს კარიბჭეს და მაგრად ჩაგიხუტებს! აგერ, მე ერთი ძმაკაცი მახლავს საქართველოდან... ეგეც ეგრე იყო სულ თავიდან... უდაძაბულესი და დაკომპლექსებული ქართველი! სულ – *ეს არ შეიძლება და რას იტყვის ხალხი*-თ აღვსილი და შებოჭილი პიროვნება! ახლა კიდევ...

●

ინდოეთში გზად თუ შავი ძაღლი შემოგხვდა – კაის ნიშანია, ასე ამბობენ აქაურები. ეს ოთხფეხა ცხოველი სწორედ რომ ცალკე თემაა ინდუისტურ სამყაროში. აქაურმა სიმწვანემ და სიმშვიდემ ისინი უთვინიერეს, თან მოაზროვნე არსებებად აქცია და თითქოს ყოფიერების ახალ საფეხურზე აიყვანა. ქუჩის ძაღლებზე ვყვები, ამჯერად – ნებისმიერ ფერისაზე. ყეფა და მსგავსი ტვინის ჩაგვრები მათ არ იციან მაინცდამაინც: კუდისქნევის გრადუსითაც კი შეიძლება მიხვდეს ადამიანი, რომ მათი სახით მან ინდოეთში უერთგულესი მეგობრები გაიჩინა.

ძაღლებიდან ზოგიერთმა განსაკუთრებული მოჩვევა და აკიდება იცის, თუმცა დისტანციასაც პატიოსნად იცავს და ფეხებში არ გებღლარძუნება. ის ერთგვარი სტალკერ-გზამკვლევია, რომელიც აპრეხილი კუდის ოდნავი ქნევით მიგიძღვის წინ, თითქოსდა კუდის წვერით იჭერდეს შენი სურვილების ტალღათა სიხშირეს. სადაც უნდა მიდიოდეთ, ყველგან ხალისით წარგიძღვება, გაჩერებულს დაგელოდება, უკანაც გამოგაცილებს, აი, დილას კი, კარის ზღურბლზე დაგიხვდება გაღიმებული, ანუ კუდაქიცინებული. დიდი მჭამელებიც არ არიან მაინცდამაინც. უფრო ზუსტად, რასაც გადაუგდებ, უდანაკარგოდ ითვისებს, იქნება ეს ვაშლი, ბანანი, მანგო, ბრინჯი თუ სხვა ბოსტნეულის ნარჩენი.

აქ ასეთ ძაღლებზე ამბობენ, მათში პირველი აქაური ჰიპების სულები სახლობენო. საინტერესოა, შავ ძაღლებში რა ტიპის ჰიპები არიან რეინკარნირებულები.

სწორედ ასეთი, შავი ფერის ძაღლი დაგვხვდა დილით კარის ტილოზე მიწოლილი.

– ვა, ჯეკა! – გასძახა ალექსამ და ფეხის ჭვინტით წაეთამაშა. – აქ საიდან მოხვდი, შე დალოცვილო, შენა?

– უცებ არ გიპასუხოს!.. – მეცინება მე და ტელეფონს ჩავცქერი.

მილენა მწერს ემოციურ და უკაპასეს წერილს (მილენა ჩემი პირველი მეუღლეა), შემდეგი დასაწყისით:

„იცი, შენს შვილს ჩანთაში რა ვუპოვე?!“

ჩვენ საერთო შვილს ჟირინოლა ჰქვია, უკვე 22 წლისაა და ბევრჯერ ვმდგარვართ ყირაზე ერთად. წერილის კითხვა რომ დავიწყე, ათასმა ეჭვმა გამკრა: ტაბლეტები, ბაიანი, წამალი, თურქეთის ვიზა, ჩხერა, ვაი და ვუი! უცებ დავღონდი და ერთბაშად დაუძლურებულმა მივწერე – ეგეთი რა ჯანდაბა და ჭირი უპოვე-მეთქი?

იქიდან პასუხი მალევე მოდის:

– არა! ის თუ იცი, რომ შენი ქალიშვილი სიგარეტს ეწევა?

მსოფლიო ღმერთებო, თქვენი სახელების ჭირიმეების სადღეგრძელო უნდა შევსვა სკამზე ასვლით და ჩამოხტომით! უცებვე მომეშვა და გამეშვა ყველა უნაირო დარდი და ეჭვი. ეუჰ, ეს რა გაუბედია-მეთქი? დავაწიწკნი თმას და წარბ-წამწამს ღერა-ღერა-მეთქი! სიგარეტის მოწევა ჩემმა პირმშომ როგორ გაბედა-მეთქი...

იქიდან პასუხად საეჭვო დუმილია.

– დავაწექით, ბუტროს-ბუტროს? – აწრიალებულია ალექსა.

– საით?

– მივგანგოთ!.. თითი მაინც ჩავყო ვერცხლის წმინდა მდინარეში!..

– მოიცა, გზას ჩავხედო...

– აგერ, ჯეკსონა გაგვიყვანს განგამდე! – უკრავს თვალს ალექსა ისევ ზღურბლზე ფეხებაპლაკულად მიწოლილ ძაღლს და მასაც თითქოს ესმის (ესმის რომელია), ფეხზე სხარტად ხტება, ტანს იბერტყავს და კიბის უჯრედისკენ მიცუნცულებს.

– ნავიგატორიც თავისით მოვიდა! – ვამბობ მე და კარს ვკეტავ. – ვნახოთ აბა, სად მიგვიყვანს ოთხფეხი ჯიგარი.

– მივეცი უკვე პროგრამა, ჩარლი!

– შეასრულებს? – გავყურებ ეჭვის თვალით იქვე მომლოდინედ მდგომ შავ ჯეკას.

●

ქალაქი ვარანასი (ბენარესი) ინდუსებისთვის მიახლოებით და ემოციურად იგივეა, რაც ვატიკანი – კათოლიკეების-

*თვის ან თუნდაც მცხეთა – ქართველთათვის. თავად ინდოელები ვარანასის *ინდოეთის მისტიკურ დედაქალაქს* ეძახიან. ის 5 ათასი წლის წინაა დაარსებული და, ინდოეთის უძველეს ქალაქად მიიჩნევა. უხსოვარ დროს, ანუ წინა წელთაღრიცხვისდროინდელ მსოფლიოში, ის მეცნიერებისა და კულტურის უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა. დღეს ის ღია ცის ქვეშ გაშლილ ლამის ხანძარმოდებულ ქალაქ-კრემატორიუმადაა ქცეული. ვარანასიში, განგისპირას, ადამიანებს სიკვდილთან აქვთ ყოველდღიური, ცეცხლოვანი აუდიენცია.*

*ინდუისტური რწმენის თანახმად, ვარანასიში სიკვდილი და კრემაცია, ასე ვთქვათ, ხსნის, ანუ მოქშას ადვილად მიღწევაში ეხმარება ადამიანს. ამიტომაა, მთელი ქვეყნიდან ყოველდღიურად უწყვეტ ნაკადად რომ მოედინებიან აქეთ ღრმად მოხუცებული და სიკვდილის პირას მყოფი სნეული ინდუსები. ისინი სპეციალურ სასტუმროებში, ე.წ. *ხსნის სახლებში* ელოდებიან მიწიერი ყოფის დასასრულს. ყველას, ვინც სიკვდილის სუნთქვას გრძნობს სიახლოვეში, უპრობლემოდ შეუძლია აქ ჩამოსვლა და ორი კვირა უფასოდ დარჩენა. წესების თანახმად, ორი კვირის შემდეგ თუ იქ მყოფი ადამიანი კვლავაც ცოცხალია, მას ან შინისკენ აბრუნებენ, ანდა სოლიდურ თანხას ახდევინებენ.*

განგი ვარანასიში (ბენარესი) მუდამ მშვიდზე მშვიდი და საგანგაშოდ ფართოა – აი, მეორე ნაპირი ადგილებში სულ რომ არ ილანდება, მიახლოებით ისეთი სიგანის. მის მდოგვისფერ ზედაპირზე დილიდან საღამომდე გრძელი ნავები დასრიალებენ. მოყვითალო თოლიებიც უხვადაა ირგვლივ. სანაპიროს მთელი ზოლი მიცვალებულთა საკრემაციო რიტუალებს უჭირავთ.

ცეცხლი უკიდია ვარანასის განგისპირეთს: ბითუმად იწვებიან და კვამლად უერთდებიან ვარანასის ზეცას პატივცემულ თუ ნაკლებადპატივცემულ გვამთა ჰინდუ-სულები. ნავებიდან ყველას მზერა აალებული ნაპირისკენაა მიპყრობილი.

– ეს უკვე მსოფლიოში ყველაზე დიდი ხანძარია, ტარას! – ნავის ბოლოში ფეხზე დგას ალექსა და ცეცხლმოდებულ სანაპირო ზოლს ტელეფონის კამერით იღებს.

ირგვლივაც ნავებია. ძირითადად ტურისტებიანი, თუმცა არიან სხვა დანიშნულებისაც. ყოველ ასეთ ნავს თითო მენავე მართავს ორი გრძელი ნიჩბით. ნავები სხვადასხვა სიგრძისაა: მინიმუმ რვაკაციანი, უფრო მეტიანებიც. როგორც ვხედავ, ამ ჩვენს რვაკაციან ნავში მხოლოდ მე და ალექსა ვართ გაშხლართულები (მენავეს თუ არ ჩავთვლით), სხვა ნავები მეტნაკლებად გადავსებულია. აგერ ერთში თორმეტსულიანი ინდუსი ოჯახობა წამოსულა ექსკურსიაზე: მთელი ოთხი თაობა აქაა. აქეთ რვა ევროპელი ქერა გოგო ქათქათებს, ბზინავს და დე-ვიტამინს იღებს უხვად, უფრო იქითა ნავზე სულაც ინდური სუფრაა გაშლილი და მიდის მხიარულება სიმღერის თანხლებით.

– შეგარგოთ! შეგარგოთ! – ერთ ამბავშია ალექსა და ასეც მივსრიალებთ ალმოდებული სანაპიროს გასწვრივ.

უცებ მოპირდაპირე მხრიდან ნელა მომავალ გრძელ ნავს ვხედავ, სადაც საერთოდაც ინდური სკოლის გაკვეთილი ტარდება.

ნავის კიჩოსთან გადაშლილი მომცრო წიგნით მარცხენა ხელში ულვაშა მასწავლებელი დგას და მარჯვენა ხელის არტისტული მოძრაობით გაკვეთილს ხსნის. ერთნაირ სასკოლო ფორმაში გამოწყობილი მოწაფეები ორ მწკრივად სხედან – არიან ორი-ექვსი-თვრამეტნი, ასე 12-13 წლისანი. ნავის ბოლოში მენავე ზის, ნიჩბები მიშვებული აქვს და ნავიც ძალიან დუნედ მოზოზინებს.

– ე, ეს ნახე რა ინდური ცირკია, კურტ! – ამჩნევს მოახლოებულ გაკვეთილიან ნავს ალექსაც.

– რელიგიის გაკვეთილი ბუნებაში!

– ეს მასწავლებელი თან სკოლის დირექტორიც იქნება, ტობიას! ნახე, რა ღირსეული კაცია!

გაკვეთილიანი ნავი ლამის უკვე ჩვენ

პარალელურადაა. უცებ მოწაფეებიდან ერთ-ერთი, კრიალათვალებიანი ბიჭი ჩვენკენ მალულად იყურება, ყელს ორი თითით, ხვეწნით იჯიჯგნის და მეორე ხელის ორ თითს ტუჩებზე იდებს.

– რა კაი გემოვნება ჰქონია, ჯიგარს?! – ალექსა პასუხად ჯიბიდან ჰაშიშის ყავისფერ ბურთულას იღებს.

– მისცემ პასს, რუბენ? – მთავაზობს იქვე.

– მე ვერ ვარ ეგეთი სნაიპერი, ალექს!

– ნუ მაწბილებ, ნური!

– მიდი, შენ!..

– მე კიდევ... – იწყებს ალექსა პათეტიკურ გამოსვლას. – ბავშვობიდან სალუქვაძე-ლოსაბერიძის სკოლის გამგრძელებელი ჩუბინი-ქერუბიმი ვიყავი და მუდამ ვიქნები, ლეონსიო!

– არ შეგვარცხვინო და ამხელა თავი არ მომჭრა, მაშ!

გაკვეთილიანი ნავი უკვე ჩვენ გასწვრივაა – იქნება ჩვენ შორის დისტანცია ასე ოციოდე მეტრამდე. ალექსა ემზადება. მასწავლებელს ისევ წიგნი აქვს მომარჯვებული და ვერაფერს ხედავს. უცებ ალექსა სხარტად იქნევს მუშტს და მოწაფე-ბიჭუნას პლასტელინოვანი ჰაშიშის უზუსტეს პასს უგდებს გამოწვდილ მუჭში. ბიჭუნა ბურთულას სასწრაფოდ გულისჯიბეში ინახავს.

– როგორი სამქულიანი იყო, გენა? – შემომცქერის თვალებგაბრწყინებული ალექსა.

მე ისევ ნავს გავცქერი. ბიჭუნას კლასელები წვავენ – მისკენ ტრიალდებიან და ქირქილებენ. ნავზე ჩოჩქოლია. ხმაურზე მასწავლებელი გაკვეთილს წყვეტს და უმალ ერკვევა სიტუაციაში: ნავის შუაში გასული ჰაშიშიან ბიჭუნას თავზე ადგება, ზემოდან მკაცრი სახით დასცქერის და თითისქნევით რაღაც მკაცრ ნოტაციას უკითხავს. ბიჭუნა პასუხად ჯიბიდან ალექსას ნასროლ ბურთულას იღებს და მასწავლებელს დამნაშავის სახით უწვდის. ულვაშა მასწავლებელი ბიჭუნას ბურთულას ართმევს და თავის ადგილს უბრუნდება, თან ბურთულას ათვალიერებს, ყნოსავს. მერე ჩვენი ნავისკენ იყურება, ბურთულას გაღიმებული კოცნის, ჯიბეში იდებს და ხელს მადლობის ნიშნად გვიქნევს.

გაკვეთილიანი ნავი ნელა გვშორდება. ჩვენკენ ბავშების სახეებია. ულვაშა მასწავლებელი ისევ გაკვეთილის ახსნას განაგრძობს გადაშლილი წიგნით ხელში.

– რა მაგარი საჩუქარი გავუკეთეთ, მარიუშ!..

– მთელი ცხოვრება რო ემახსოვრება!

– თან ორივეს! აქ ფოტო უნდა გადავიღოთ აუცილებლად! – ამზადებს ალექსა ტელეფონს ფოტოსთვის.

– მიაჭირე!

●

მატარებლის ვაგონში ვაი-ვაგლახით შევძვერით. ნახევრადღია პლაკატი იყო – კარისგარეშე კუპეებით. კიდევ კაი დაბლითა ადგილები გვერგო, თორემ ისე რა აძვრებოდა ზემოთ... თავზე ორივე მხარეს სამ-სამი დასაწოლი თარო გვეკიდა.

– ეტაპით გადავყავართ სამოთხეში! – დადო ალექსამ ვარაუდი და ვიღაც თეთრკანიანი ჯეელი მოიჯინა გვერდით. – ეს ნახე რას მეკითხება? – გამომხედა მერე მე.

უცნობს შევხედე. ნორმალურად, სამოგზაუროდ ეცვა და ხელში პატარა ბლოკნოტი ეჭირა. წვერი – გაშვებული. ასაკით – ჩვენხელა.

– მითხარი, სად ჩამოვიდეო... გადამეკიდა, ფრუნზიკ! ეგრე დავდივარო. ყოველდღე ვინმეს გზას ვეკითხები და იმას მივყვებიო.

– ვინაა?

– ვივა არხენტინა!

– შენც იპოვი ხოლმე!.. – ავიქნიე ხელი.

– ძმებო, იქნებ დამეხმაროთ! კაი ხალხი ჩანხართ... გაგაგებინებთ, რაც მინდა. ფულს არ გთხოვთ. – გადმოვიდა დამტვრეულ ინგლისურზე არგენტინელი.

– შენი სახელი, ჯეიმსბონდ?

– ხორხე!

– ვაა!! – გაუხარდა ალექსას. – ერთნი ვყოფილვართ თითქმის! შენ – ხორხე, ხოლო ჩვენ საერთოდაც ხეორხიიდან ვართ...

– ტურიზმის ეგეთი, იშვიათი ფორმაა! – დაიწყო ახსნა არგენტინელმა. – გუშინ, გარეთ ვიღაც შვედ ქალს ვკითხე და იმან: მუმბაის მატარებელს გაჰყევიო!.. ანუ, ვინც საით მიგითითებს, იქით მიდიხარ... მერე ისევ კითხულობ მიმართულებას და ეგრე... ახლა თქვენ გეკითხებით: რა ვქნა? საით გავუყვე?

ალექსას გადავხედე.

– მართლა ეგრე დადის!

– როგორ ეგრე?

– უთხარი – სად ჩავიდეს!

– არ ვიცი აქაური ქალაქების სახელები, ტოლიკ!

– რამენაირად უთხარი... როგორც შეძლებ! ვერ ხედავ, რა სხვანაირ გზაზე დგას?

მატარებელმა აქ შეთქმულივით დაიკივლა.

– აქედან მეოთხე გაჩერებაზე ჩადი, აარონ! – ალექსამ ოთხი თითი აჩვენა.

არგენტინელმა მადლიერად გაგვიღიმა, თავი მოწიწებით დაგვიკრა და კორიდორში გაძვრა.

– რა უცნაური ხალხი მოძრაობს, სევა!.. ყველას მაგარი გარეკილი აქვს! ისე, ალბათ, არის რაღაც მუღამი ამაში!.. ახლა ეს მეოთხე გაჩერებაზე ჩავა სადღაც, ინდურ გაუგებრობაში. მერე რა უნდა ქნას?

– იქაც იპოვის გზას... მეთოდს ხომ მიხვდი? უბრალოდ, იკითხე გზა!

– ჩვენს გზას გაუმარჯოს, ირონიონ! აუ, ეს რა იზმენა კუპეა. – ალექსამ მაშინვე ხელით მოსინჯა გისოსები ფანჯარაზე და მერე თავი ცნობისმოყვარედ გვერდითა კუპეში გაჰყო. – სულ ერთი პონტია! ყველგან ციხეა!

– აბა, პირველი კლასიო! – ჩავხედე მე ბილეთებს.

– ეგრე ვუთხარი – კლას უან! თუ თიქეთ!

– ალბათ, მეოთხე უნდა გეთქვა! აქ ხომ ყველაფერი უკუღმართადაა.

ჩვენი ღია კუპე მალევე შეივსო. ზემო თაროებზე სულ სამ-სამად განთავსდა ხალხი. ჩვენ გვერდით ოთხი ერთნაირსათვალიანი და ერთნაირად თეთრპერანგა ინდუსი ყმაწვილი დაჯდა. იქნებოდნენ ასე ოცი-ოცდაორის. ჭკვიანი და წარჩინებული სტუდენტების იერზე იდგნენ.

– ამათ, ალბათ, ჭადრაკი იციან მაგრად, ტიგრან! – გადმომიჩურჩულა ალექსამ.

– ისე, თუ დაკვირვებიხარ, მოჭადრაკეები ძირითადად უვიდო ხალხი რომაა...

– გახსოვს, ჩვენ ადრე ქალები სულ ჩემპიონები გვყავდა ჭადრაკში?.. ნონა, მაია!

ინდუსებმა ბოლო სიტყვის გაგონებაზე ერთდროულად გახედეს ალექსას.

– ჩიბურდა-ნიძე! – ღიმილით აუხსნა თავის ჭკუით ალექსამ და ჩემ წინ, ფანჯარასთან მოკალათდა.

– მოკლედ, ოთხ დღეში მუმბაიში ვართ. – სევდიანი სახით ავხედე გისოსებს.

– აქ ძილი და სიზმარი არ გინდა, ჯალალ?.. – დაამატა ალექსამ.

ჭადრაკის მაგივრად ბიჭებმა კარტი გააძრეს და რაღაც უცნაურობის თამაშს შეუდგნენ. ხუთ-ხუთი დაირიგეს და შებერეს: წრეზეც უკუღმა ჩამოდიოდნენ. კაი ხანს ვაკვირდებოდი. თამაშის ლოგიკა მინდოდა ამომეცნო. იმავე დღეში იყო ალექსაც.

– ერთი სპორტული ბრიჯი არ ვიცი, რეი! – დაიწყო ალექსამ. – პრეფერანსი გინდა, კინგი, ჩეხური და ისე დურაკა. ჯოკერი, ისეც და იაპონურიც, პოკერი, ბურა, სეკა... ტუალეტობანაც კი ვიცი, მაგრამ აქ რა გაგება და პოლიტიკაა – ვერაფრით მივხვდი...

●

იმ დღემ კარტის თამაშის ყურებაში ჩაიარა. არც იწერდნენ რამეს, არც ითვლიდნენ – ჭრიდნენ-მიჰქონდათ, თან კარტი თამაშიდან არ გადიოდა, არადა, წესით, რამენაირად ხომ უნდა დასრულებულიყო თამაში... ალბათ, ვიღაც უნდა დარჩენილიყო რაღაც მომენტში

კარტის გარეშე. მიახლოებით ნახევარ საათში ეგრეც მოხდა. სანამ დაღამდა, კაი ოთხჯერ და ოთჯერ ოთხჯერაც გაჩერდა მატარებელი. დერეფანში ხალხის მიმოსვლა არ შეწყვეტილა. რამდენჯერმე ავტომატიანმა სამხედროებმაც ჩაიარეს, ცერად გადმოგვხედეს და სულ ეგ იყო.

– სტუდენტები ვართ! ისტორიის ფაკულტეტზე ვსწავლობთ მუმბაის უნივერსიტეტში! – გაგვეცნო ერთ-ერთი სათვალიანი ყმაწვილი ინგლისურად. – ინდოეთის მისტიკური დედაქალაქი ვარანასი ვნახეთ და დავათვალიერეთ! ექსკურსიაზე ვიყავით, ასე ვთქვათ!.. და თქვენ?

– ჩვენ საქართველოდან ვართ. ეროვნებით ქართველები. ნეპალი მოვინახულეთ და ახლა გოასკენ მივემგზავრებით!

– ოოო! გოა – ეს ინდოეთის მუდმივი მზე და დევიტამინია! – გაუხარდათ დანარჩენ სტუდენტებს.

სტუდენტებიდან სამნი მუმბაელები აღმოჩნდნენ, მეოთხე – ქაშმირიდან იყო.

ქაშმირის ხსენებაზე ალექსამ უმალ ცქვიტა ყური.

– ვა. ლედ ზეპელინ? შიგ ქაშმირიდან ხარ, ბონზო?

– შრინაგარიდან. ქაშმირის დედაქალაქიდან, ანუ. კაია ჩვენკენაც... ტბებიანი ქალაქი გვაქვს. მთები... ჰიმალაები!

– თქვენამდეც მოვალთ! – ალექსამ შეთქმულივით ჩამიკრა თვალი. – შენი სახელი, ჩემი ძმა...

– მუდი.

– ჩემი – ალექსი! სასიამოვნოა ფრიად! საქართველოდან!

– საქართველო? – წავიდნენ ფიქრებში ბიჭებში ერთად. – ვიცით. გაგვიგია. ადრე საბჭოთა კავშირში იყავით, ხომ?

– მთელი სამოცდაათი წელი! – დავეთანხმე მე.

– ახლა ცალკე ვართ, რაჯუებო! – ასწია ხელები გამარჯვების ნიშნად ალექსამ.

სტუდენტებმა იქვე გაარკვიეს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა და სადღაც ქედმაღლური სიცილიც კი წასკდათ.

– მაგდენი ჩემს უბანში ვართ, მუმბაიში, მეგობარო! – დაადო ალექსას ხელი მუხლისთავზე ერთ-ერთმა.

იქვე გაგვარკვიეს, რომ მუმბაის ცენტრალურ ვაგზალზე არაფერი გვესაქმებოდა, ანუ ბოლოსწინა გაჩერებაზე უნდა ჩავსულიყავით.

– მხოლოდ ქალაქ მუმბაიში ოცდაექვსი მილიონია მოსახლეობა! დაიკარგებით და დაიტანჯებით, სანამ მიხვდებით მარჯვნივ-მარცხნივ საითაა! – დაგვიწყო ახსნა ერთ-ერთმა. – თქვენ აუცილებლად გარეუბან ტანაში უნდა ჩამოხვიდეთ. მე გეტყვით სადაც... იქ სადმე, ახლოს, სასტუმროს ნახავთ და სწორედ ტანას სადგურიდან გადის გოასკენ მატარებელი ყოველ მეორე დილას.

გზად ბევრჯერ შეიცვალა ზემო თაროების შემადგენლობა. ძირითადად, სულ ჭრელა-ჭრელა ხალხი გვასხდა თავზე. კაი მტანჯველი სამი დღე კი გავატარეთ ასე ჩაშპროტებულებმა. მეორე დღეს სტუდენტებს კარტის თამაშში ავყევით. ალექსამ უცებ დაიმეგობრა ყველა – და „მჯერა-არმჯერა“ ასწავლა.

– თუ მოახერხებთ, ქაშმირში, შრინაგარში ჩამოდით! ზეცაშია მთელი ქაშმირი! – დაგვპატიჟა ქაშმირელმა.

– არაა ისე ცუდი აზრი, ზუზუ! – გადმომხედა ალექსამ.

თავი თანხმობით დავუქნიე.

– რამდენი ხანი უნდა პირველ ჯერზე მაგ შენი ზეციური შტატის გაცნობას? – შეუჩნდა ალექსა ქაშმირელ მუდის.

– პირველ ჯერზე ოცი დღე სრულიად საკმარისია! თან, თუ კაი გიდს ნახავთ, ხომ საერთოდ...

– და შენ რას მიკეთებ მაგ დროს?

– მე მუმბაიში ვსწავლობ, ისტორიის ფაკულტეტზე.

– მერე დამსახურებული არდადეგები არ გეკუთვნის, ზაურ?

– როგორ არა... ზაფხულში. მთელი სამი თვე.

– სეზონი ხომ არაა მაგ დროს ქაშმირში? წვიმა-ჭყაპი-მუსონები-მიწისძვრა-მეწყერი-მიტინგები...

– პირიქით! ზაფხული ყველაზე კაი დროა... +25-30 ტემპერატურა. მე ქალაქის ცენტრში ვცხოვრობ. ცხრაოთახიანი და ორსართულიანი სახლი მაქვს.

– საღოლ შენ, გუსტავ!

– დედა მყავს მოხუცი და ინვალიდი... მაინც ჩემთან დაგტოვებთ. ყველაფერს განახებთ. თან...

– თან?..

– ჩემგან ფეხით ოცი წუთის სავალზეა ის, რაც თქვენ გაინტერესებთ...

– ე, ამან რა იცის, ჩვენ რა გვაინტერესებს, უშანგ? – გადმომეკითხა ალექსა ქართულად.

– ალბათ, უბნის ბარიგა ცხოვრობს მეზობლად. – ჩამეცინა მე.

– რაა ოცი წუთის სავალზე მაინც, ჯონ-პოლ? – მიუტრიალდა ისევ ქაშმირელს ალექსა.

– რა და – თქვენი ღმერთის საფლავი.

კუპეში სიჩუმე ჩამოვარდა.

– რაი? – შეეკითხა ალექსა მუდის გაკვირვებით.

– დიახ. თქვენი ღმერთის საფლავი!.. ერთ-ერთ სახლშია დაკრძალული...

– ამას ვიღაცებში ვერევით, ასიანი, ტიხონ!

– ჩვენ ქრისტიანები ვართ, მუდი! – მომინდა უხერხულობა განმემუხტა.

– ქრისტ-ქრისტ! ჟესუს ქრისტ! – გაუხარდა ქაშმირელ მუდის.

ალექსა თვალებდაჭყეტილი შემომაცქერდა. არც მე დამიკლია.

– ურევს ეს რაღაცას ასიანი, ტომაშ!

– ვინ ღმერთის? – უკვე მე გადავედი შეტევაზე და მუდისკენ გადავიხარე.

– ძალიან ადრე... ორი ათასი წლის წინ, ალბათ... ის კიდევ ერთხელ დაბრუნდა ჩვენთან... ზეცაში...

– სადა?

– ქაშმირს ზეცას ეძახიან მოფერებით ჩვენკენ.

– მერე-მერე? – ინტერესში ჩავარდა ალექსა.

– მერე დედასთან ერთად დაბრუნდა შორიდან, სადაც დასაჯეს და ეგონათ, რომ მოკლეს, მაგრამ ის ოთხდღიან *სამადჰიში* იყო, აღდგა და გადარჩა. დედა-მარიამმა ვერ გაუძლო მოგზაურობას და დღევანდელი პაკისტანის საზღვართან მიიცვალა. იქვე დაკრძალეს... მარი ჰქვია იმ დასახლებას იმის მერე და მის საფლავს განსკუთრებით უვლიან ადგილობრივები. დიდი გრძნეული წინასწარმეტყველის დედა იყო ბოლოს და ბოლოს... ინტერნეტში წერია ყველაფერი. თავისუფალია წვდომა. აკრიფეთ – ჯიზას ინ ქაშმირ! იუზ ასაფ!

უცნაურად მონუსხულებმა და დადუმებულებმა მობილურებში ერთდროულად ჩავრგეთ თავი.

იმ სამ დღეში, რაც მატარებელში გავატარეთ, ქაშმირულ ღმრთიულ ლეგენდასთან ერთად, კიდევ ბევრი ხუჭუჭი და დაუჯერებელი ამბავი მოვისმინეთ.

აქ ყველა ერთმანეთს უცვლის და უზიარებს თავისი პირადი აზიური ბიოგრაფიის არცთუ მომცრო ნაგლეჯს. ინდოეთის მატარებელი მართლაც წრფელი თუ გაზვიადებული თავგადასავლების ხმაურიანი სკაა.

●

სწორედ ამ განზრახვით შემოჯდა მესამე დღეს ვიღაც თვალებაბრწყინებული ფრანგი ჩვენი ხალხმრავალი, საერთო კუპის მესამე ქანდარაზე და ისეთი ისტორია დადო, ასე მეგონა – მატარებელი აურევდა და კურსს შეიცვლიდა...

– მე, ანტუან ჟილე ინდოეთის ჰიმალაებში მოგზაურობისას ჩემივე ნებასურვილით მოვხვდი ჰიმალაელ შამანთა ერთ-ერთ სოფელში. – ასე დაიწყო ფრანგმა თხრობა.

– ისე საიდანა ხარ, ტონი? – აქტიურობით გამოირჩა ისევ ალექსა.

– პარიზიდან.

– საღოლ, ტოშა! – დაუკრა ტაში ალექსამ.

– რას ვყვებოდი?..

– შამანებიო!

– ანუ, იქაური თამაშის წესებით, იმ სოფელში გატარებულმა ცხრა დღემ, რომ არ ველოდი, ისე თავდაყირა დააყენა ყველაფერი ჩემში, ანუ მკვეთრი მენტალური გადახრები გამოიწვია...

– მოიცა-მოიცა... – შეაყოვნა ფრანგი ისევ ალექსამ. – აბა, ეგ წესიერად ახსენი? გადახრები – ეგ რა კინოა, ანტუან?

– გადახრაში ამ შემთხვევაში შინაგან გადატრიალებას და ცვლილებას ვგულისხმობ!..

– უყურე შენ!

– ისეთი რამე ვნახე, რომ, ფაქტობრივად, ყველა ჩემი იქამდელი კომპლექსი თუ შეხედულება დამენგრა... სამყაროს აღქმის რაკურსი შემეცვალა! ჯერ არც კი ვიცი, ეს აშკარად დაუჯერებელ ინფორმაციას რა ვუყო. ასე დავჯდე და ვინმეს პირადად მოვუყვე – მეცოტავება. ვინმე ეგოისტი ვიყო და მარკეტინგულად შევხედო საკითხს, მე ვიცი, რასაც ვიზამდი, მაგრამ არ ვარ მე ის კაცი...

– არ გვინდა ლირიკა! – არ ცხრებოდა ალექსა. – შენ მოყევი და ჩემი ძმა წიგნს დაწერს!

– მოკლედ, ეს ერთგვარი, ცხრადღიანი შამანური ტურია, რომელიც მანალიში (მხარეა ჩრდ. ინდოეთში) უსაქმოდ ყოფნისას, ინტერნეტში ბოდიალისას, მისამართზე „Samanization.net.in-ზე“ ვიპოვე.

– მოიცა-მოიცა! ჩავიწერო! – დაფაცურდა ალექსა და კალამ-ფურცელი მოიხელთა.

– ტურს მე ვეძახი, თორემ ეს განმარტოების იქაური ფორმაა და ცხრა დღის განმავლობაში იმ უცნაური წესებით ცხოვრებაა, რითაც ცხოვრობს ეს ჯადოსნური, შამანური სოფელი.

– წესები! – ჩაინიშნა ალექსამ კალმით.

– თანხის გადახდა ტურის დამჯავშნავს არ უწევს. რასაც დატოვებ – დატოვებ... ანუ რამდენსაც გაიმეტებ. წმინდა დონაცია! შეიძლება ეს მუჭა ბრინჯი იყოს, ან სულაც – მილიონი დოლარი!

– ვა, ეგ რა კაი რამე მოუფიქრებიათ, არზნევ! – გადმომხედა ალექსამ. – ჩვენც ხომ არ შეგვეტანა საბუთები? მუჭა-ნახევარა ხალხი ვართ მაინც!

– რა წესებია ეგეთი? – ვეღარ მოვითმინე მე.

– მაცალეთ!

– რამხელა შესავალია, ანთიმოზ? – მოუსვენრად წრიალებდა ალექსა.

– მოკლედ, პირველი, რასაც იქიდან ითხოვენ ისაა, რომ აუცილებლად მამაკაცი უნდა იყო. რაღაც პრიმიტიული ფორმის შევსების (სახელ-გვარი, დაბადების თარიღი, მოქალაქეობა, პროფესია, ელ-ფოსტა, ტელეფონი და ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულება) და უკან გადაგზავნის შემდეგ, რამდენიმე დღეში მოგდის პასუხი.

– საღოლ! – ამოასლოკინა ალექსამ.

– მეც უცებ შევავსე და უკან გავუშვი.

– რაო, რა თქვეს მერე?

– სამ დღეში დამიდასტურეს, ანუ თანხმობა მოვიდა ელფოსტაზე და მეც ჩავეწყვე-ჩავლაგდი.

– მომილოცავს, ბრო!

– საფრანეთში დაბრუნება მაინც ორ კვირაში მიწევდა, ანუ ამ ვადებში თავისუფლად ვეტეოდი. მარშრუტი იმდღესვე გავარკვიე: რუტნას ავტოსადგურიდან მიკრობუსს უნდა გავყოლოდი ქვემო-სოფლამდე, რომელსაც ნალიკა ერქვა. მერე ადგილობრივიანი მოტოციკლეტით კიდევ უფრო ზემოთ უნდა ავსულიყავი, დრუდემდე. ესეც რაღაც მოდაბო სოფელივით იყო... და მერე კიდევ უფრო ზემოთ – უკვე დანიშნულების ადგილამდე ფეხით.

– კაი მიმოხვეულები მოგიწევდა! – ჩავერთე მე.

– ერთი-ორჯერ კინაღამ ხრამში გადავვარდით!

– უფალს ყვარებიხარ, ანტიპო! – გამოისახა პირჯვარი ალექსამ.

– მოკლედ, დიდ ჯაყჯაყში მოვყევი, ძმებო! რვა საათი მოუნდა ჯამში ავტობუსი ნალიკამდე ასვლას. იქიდან შავტუხა ადგილობრივმა მომისვა მოტოციკლეტის საზურგეზე და კაი ხანს მატარა მიხვეულ-მოხვეულებიან და უფსკრულებიან აღმართში. ისეთი მახტუნავა ვიწრო ბილიკზე, ტვინის და ნაწლავების შერყევა ერთდროულად მივიღე, მგონი... ბოლოს, პატარა ჩქერთან დამტოვა და დამტვრეული ინგლი-

სურით კეთილი გზა მისურვა.

– მიაღწიე შენით? – დავინტერესდი მე.

– კი მოვკვდი კინაღამ, იქამდე!.. სოფელში ძლივს აღწეულს, პირველი, რაც მის გადაღობილ შესასვლელში მომთხოვეს, სწორედ ჩემი საერთაშრისო პასპორტი იყო. თავიდან, ყოველ ფურცელს მზის შუქზე გახედეს, ყურადღებით დააკვირდნენ. მერე თავფურცლიდან სწორედ ჩემი დაბადების თარიღი ამოიწერეს, ციფრებს შორის პლიუსები ჩასვეს, შეკრიბეს და მალევე დავინახე, თუ როგორი კმაყოფილების ტალღამ გადაურბინათ სახეზე შედეგის მიღების შემდეგ.

– ახლაღა ვხვდები, რომ ინტერნეტით მოსული დადებითი პასუხი – ჩემი დაბადების თარიღის ბრალია. 1978 წელს ვარ დაბადებული. 3 დეკემბერს.

ამ ფორმის შევსებისას არაფერი ვიცოდი შამანური, ენერგეტიკული ნუმეროლოგიის და მისი მაგიური ძალის შესახებ.

1+9+7+8+3+1+2=31=3+1=4.

ციფრი 4 შამანურ ნუმეროლოგიაში, ანუ მათი თამაშის წესების მიხედვით, შავი შამანის ნუმეროლოგიური ციფრია. ადამიანებს (ნეიტრალებს) – 3, 6 და 8 შეესაბამებათ. 1, 2, 5 და 7 – ენერგო-დემონებისაა, ხოლო 9 – თეთრი შამანების იშვიათი ციფრია. როგორც მერე მივხვდი, ნუმეროლოგიურად *ადამიანებს* და *დემონებს* შამანურ ტურში არ ღებულობენ და მათ, როგორც წესი, წერილობითი უარი მოსდით ელფოსტით. იქ მხოლოდ შავი ან თეთრი შამანურ-ნუმეროლოგიური მონაცემების სჭირდებათ და ჩემი იქ მოხვედრაც სწორედ ჩემმა დაბადების დღემ განაპირობა.

ასე რომ, თქვენი დაბადების თარიღის ნუმეროლოგიური გამოთვლის მერე 4 ან 9 თუ არ მიიღეთ, ტყუილად ნუ გაირჯებით – შანსი არაა დადებითი პასუხი მოგივიდეთ, ანუ იქ ვერაფრით მოხვდებით.

– უიშვიათესი ინფოა, დურსუნ! – მირტყამს მუხლისთავზე ხელს ალექსა და საკუთარ ფეხს ისვრის წინ. – იცოდი?

– საიდან აბა? – ვიწურავ მხრებს.

– დახვედრის და რეგისტრაციის მერე, ჩამომართვეს ზედმეტი ნივთები – ფოტოაპარატი, კამერა, კალამი, ბლოკნოტი, საათი, ტელეფონი, მძივები... ყველაფერი შემნახველ სეიფში გამოკეტეს. დამიტოვეს მხოლოდ ტანსაცმელი, პირსახოცი და კბილის ჩოთქი... და მწვანეში ჩაფლულ, ჰიმალაების ფერდობზე შეფენილ სოფელში ერთ-ერთ ბამბუკის ბუნგალოში მიმიჩინეს ადგილი.

– ძაან მაგარ რამეს ყვები, სერობ!

– იქ ბიშნუ და ბიშნა დამხვდნენ. ახალშეუღლებული იქაური წყვილი. ბიშნუ ამ ცხრა დღის განმავლობაში ყოველ დილით მიდიოდა სათევზაოდ და ცოლის სურვილებს ასრულებდა. უფრო გასაგები რომ იყოს, კიდევ უფრო შორიდან მოვუვლი: აქ ოჯახური ურთიერთობის ჩვენგან განსხვავებული ფორმებია.

– ეგ როგორ აბა?

– როგორ და... ცოლს იქ ორი ქმარი ყავს ხოლმე...

– ეუფ!.. – აღმომხდა მე.

– რა გვერჩი, ფრანცუზიკ? – ამყვა ემოციებში ალექსა.

– აქედან ერთი – აქაური და მუდმივია, როგორც ბიშნუ, ხოლო მეორე – დროებითი, ჩემნაირი, ანუ ცხრა დღით ჩასახლებული უცხოელი. – არ ცხრებოდა ანტუანი.

– ტუზი დასცემია! – გადმომილაპარაკა ალექსამ იოლი შურით.

– ადგილობრივი ქმარი ამ ცხრა დღის განმავლობაში ყოველდღე თევზაობს და სამი დაჭერილი თევზით ბრუნდება ხოლმე სახლში... ცოლი და მე ამ თევზებს ვწვავდით და სამივე ერთად ვსადილობდით. თევზის შეწვა კი ვიცი – თევზის რესტორნის სამზარეულოში ვმუშაობდი ადრე ჩემკენ... და ღამით, ასევე ერთად, ერთი განიერი საბნის ქვეშ ჩახუტებულებს გვეძინა... ბიშნა შუაში გვეწვა ხოლმე. ძილამდე იქ ამბები იყო – მტრისას!

– უ, შე ოხერო, შენა!.. და რეზინა და თავის დაცვა?

– რა ვიცოდი?.. არ მქონდა! არავის არაფერი უთქვამს წინასწარ...

– მალადეც! – გამომხედა ალექსამ და თვალი ჩამიკრა.

– შამანთა სოფელში, სულ რამდენიმე ოჯახია, რომელიც ჩემნაირ უცხოელს იღებს ოჯახის ცხრადღიან წევრად. ცოლი ქმარს ყოველ დილით ფურცელზე დაწერილ სურვილს ატანს და ბიშნუსაც ის პირველ დაჭერილ თევზთან მიაქვს. სურვილები ძალიან მარტივია. ცხრა დღის შემდეგ თევზი კარგავს სურვილების შესრულების მაგიურ ძალას. სწორედ ჩემი იქ ყოფნისას გაჩნდაღარიბულ ბუნგალოში პირველი სხვანაირი ნივთები: მაცივარი, ტელევიზორი, აბაჟური, ფარდები, ნოხი კედელზე, დასაჯდომი ბალიშები, ტორშერები, ჩასაწოლი ჯაკუზი და ჭურჭელი. მე იმ ცხრა დღის მანძილზე ეზოდან გასვლის უფლება არ მქონდა და სოფელსაც არ შევხებივარ. არც ხმის ამოღების უფლება მქონდა და ცოლ-ქმრისთვისაც არ შემიხედავს თვალებში. პედანტური სიზუსტით ვასრულებდი წესებს: არანაირი ჟესტიკულაცია, ხმა და კრინტი. ბიშნუ რომ სათევზაოდ მიდიოდა, მე ეზოში გავდიოდი და წითელი ლეღვის ძირას ფეხს ვირთხამდი. თან თვალი უნდა დამეხუჭა და დავკვირვებოდი, როგორ შემოდის ცხვირის ნესტოებიდან ჰაერი, როგორ ჩადის ყელში, ნაწილდება მთელ სხეულში.

პირველ დღეს, ლეღვის ხის ძირას იქამდე ვიჯექი თვალდახუჭული, სანამ ბიშნამ არ დამადო ყიფლიბანდზე სველი ხელისგული. მაშინვე გავიხილე და ცამდე ასვეტილ ჰიმალაებს ავხედე. მერე უკან გავიხედე. ადგილობრივ, ჭრელ ხალათში გამოხვეული ბიშნა ხელისგულებს იფშვნეტდა და კბილებს ჯიმ კერივით აქათქათებდა. მერე ოთხი წრე დამარტყა სირბილით და ჩემ წინ ლოტოსის პოზაში ჩაჯდა. მაშინ ერთმანეთს სწორედ პირველად შევხედეთ თვალებში. თვალი პირველმა მე დავახამხამე. ბიშნას გაეცინა. მერე ხელი მომკიდა, ამაყენა და სახლისკენ წამიყვანა.

ბიშნუმ თევზი გაუშვა! – მიმითითა სახლში დიდ, ფერად მატრასზე. მატრასი ძაან რბილი ჩანდა და საკმაოდ განიერი იყო.

დღეს ღამით აქ დავიძინებთ სამივე! – ისე ბრძანა, თითქოს მატრასს ჩაუთქვაო ბიშნამ და მართლაც ყოველდღე ეგრე იყო. გვეძინა ერთად...

– იფ-იფ! – ახუნტრუცდა ადგილზე ალექსა.

– მეცხრე დღის ბოლოს ქედამდე გამომაცილეს. ქედის კინკრიხოზე მდგარმა ბიშნუმ და ბიშნამ შუბლები ერთდროულად მოიჩრდილეს და გამიღიმეს.

წავედი! – ავუწიე ხელი მე.

ნამასტე! – მითხრა ცოლ-ქმარმა ერთხმად თუ ორხმად, ერთდროულად, ანუ. ჩემნაირებიც იქვე იდგნენ: ზოგი ახალჩასახლებული, ზოგიც – მერვე დღეზე ან მეოთხეზე მყოფი.

უცებ ჩამოვაბილიკე ქვემოთკენ. გზაში არაფერი. ტყიდან ხვრინვისმაგვარი ხმები ისმოდა, მაგრამ შიში საერთოდ არ იყო. კაი ხანს ვიარე. ტბისპირა სოფლამდე ტყიდან ყოვლად დაკაწრულმა და პირწმინდად ნაგვემმა გამოვაღწიე. მერე მატარებლის კივილი მომესმა და სადგურის სუნი ვიგრძენი!.. მოკლედ, აი სულ ეს იყო, რაც მინდოდა მომეყოლა და საჯაროდ გამეზიარებინა ყველასთვის!.. მეტი რა ვქნა, მეგობრებო?.. რას მირჩევთ?..

კაი ხანს არავინ ხმას არ იღებდა. ბოლოს, მიახლოებით ორმოცსულიანი საერთო კუპის საერთო დუმილის ფონზე, ალექსამ საჩვენებელი თითი ყველას დასანახად ზეაღმართა და ფრანგის პასუხად ბრძანა:

– ალბათ, მოთმინებით უნდა დაელოდო მომავალში ელექტრონულ წერილს, ანდრო, რომელიც დაიწყება სიტყვებით: *გამარჯობა, მამა!*

აღარ მახსოვს, როდის ჩამეძინა. რომ გამეღვიძა, მუმბაის გარეუბან ტანაში შედიოდა მატარებელი. უცებ ჩავლაგდით და ხმაურიანი გამომშვიდობებების თანხლებით ჩავედით ხალხმრავალ ბაქანზე.

(მეორე ნაწილის დასასრული)

ალესანდრო ბარიკო

უსისხლოდ

ალესანდრო ბარიკო (დაბ. 1958 წ.) - ცნობილი იტალიელი პროზაიკოსი, დრამატურგი, სცენარისტი, ლიტერატურული და მუსიკალური კრიტიკოსი, ფილოსოფიის დოქტორი. დამთავრებული აქვს კონსერვატორია - ფორტეპიანოს კლასით. ავტორია წერილებისა კლასიკურ მუსიკასა და კლასიკური მუსიკის მიმართებაზე თანამედროვეობასთან. ბარიკოს ლიტერატურული დებიუტი შედგა 1991 წელს რომანით - „მრისხანების ციხესიმაგრეები". მიღებული აქვს მედიჩისა (1995) და ვიარეჯოს (1993; 2021) პრემიები. ბარიკოს წიგნები საფრანგეთსა და იტალიაში ბესტსელერებად იქცა. მისი თეატრალური მონოლოგის - „1990. ლეგენდა პიანისტზე" (1994) - მიხედვით, 1998 წელს, ოსკაროსანმა რეჟისორმა, ჯუზეპე ტორნატორემ საკმაოდ წარმატებული ფილმი გადაიღო. 2008 წელს კი ალესანდრო ბარიკომ თავად გადაიღო ფილმი „21-ე ლექცია", მიძღვნილი ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიისადმი.

ნაწილი პირველი

მინდვრებით გარშემორტყმული მატო რუჟოს ძველი ფერმა ჩამავალი მზის სხივებში დაბრმავებულსა და შავ ქვაში ნაკვეთს ჰგავდა. ერთადერთი ლაქა გადაშლილ, ცარიელ ვაკეზე.

ოთხნი ძველი „მერსედესით" მოვიდნენ. გზა მოხრეშილი იყო, მშრალი, სოფლის შარაგზა. მანუელ როკამ ისინი ფერმიდან შენიშნა.

ფანჯარას მიუახლოვდა. პირველად დაინახა, როგორ აღიმართა სიმინდების თავზე მტვრის სვეტი. შემდეგ ძრავის ხმა შემოესმა. იმ მხარეში მანქანა აღარავის ჰყავდა. მანუელ როკამ ეს იცოდა. დაინახა, როგორ გამოჩნდა შორს „მერსედესი" და მერე მუხების ხეივნის უკან როგორ გაუჩინარდა. შემდეგ იქით აღარ გაუხედავს. მაგიდასთან დაბრუნდა და თავის ქალიშვილს თავზე ხელი დაადო. „ადექი", - უთხრა მას. ჯიბიდან გასაღები ამოიღო, მაგიდაზე დააგდო და ვაჟიშვილს თავის მოძრაობით რაღაც ანიშნა. „ახლავე", - უთხრა ბიჭმა. ისინი ბავშვები იყვნენ, ორი ბავშვი.

ძველი „მერსედესი" მდინარის გასაყართან ფერმისკენ მიმავალ გზას გას-

ცდა, თითქოს მას გვერდი აუქცია და ალვარესებისკენ გაემართა. ოთხი კაცი უხმოდ მგზავრობდა. მძღოლს სამხედრო ფორმის მაგვარი რამ ეცვა. მეორეს, მის გვერდით – კრემისფერი სამოსი. გაუთოვებული. ფრანგულ სიგარეტს ეწეოდა. „შეანელე“, - თქვა მან.

მანუელ როკას ესმოდა, თანდათან როგორ იკლებდა ალვარესების მიმართულებით მიმავალი მანქანის ხმა. „ჰგონიათ, გამაცურებენ?“ - გაიფიქრა მან. დაინახა, როგორ დაბრუნდა ოთახში მისი ვაჟიშვილი, ერთი თოფი ხელში ეკავა, მეორე კი იღლიაში ამოედო. „იქით მიდევი“, - უთხრა მას. შემდეგ ქალიშვილისკენ მიბრუნდა. „მოდი, ნინა. ნუ გეშინია. მოდი, ჩემთან“.

ელეგანტურად ჩაცმულმა კაცმა სიგარეტი მერსედესის საჭესთან მიაფერფლა და შემდეგ მძღოლს უთხრა, გაჩერებულიყო. „აი, აქ, ასე, გამორთე, ამის“... ხელის მუხრუჭის ხმა გაისმა, ჭაში თავისუფლად მიშვებული ჯაჭვის ხმას ჰგავდა. სულ ეს იყო. იმ არემარეში დასადგურებულ სიჩუმეს აღარაფერი არღვევდა.

„პირდაპირ მასთან უნდა წავსულიყავით, ასე აჯობებდა“, - თქვა ერთ-ერთმა იმ ორიდან, რომლებიც უკან ისხდნენ. „ახლა გასაქცევი დრო ექნება“, - თქვა ისევ მან. ხელში პისტოლეტი ეკავა. ჯერ ისევ სულ ბიჭი იყო. ტიტო ერქვა.

„არ გაიქცევა“, - თქვა ელეგანტურად ჩაცმულმა კაცმა - „გაქცევის თავი უკვე აღარ აქვს. წავედით“.

მანუელ როკამ ხილით სავსე კალათა განზე გასწია, დაიხარა, სამალავს სახურავი ახადა და შიგ ჩაიხედა. სამალავი კარგა მოზრდილი იყო, ცხოველის სოროს ჰგავდა.

– მისმინე, ნინა, ახლა ხალხი მოვა და არ მინდა, ვინმემ დაგინახოს. აქ, ქვევით უნდა დაიმალო, ყველაფერს ის აჯობებს, თუ შიგნით დაიმალები და დაელოდები, სანამ არ წავლენ. გამიგე?

– ჰო.

– ჩუმად უნდა იჯდე, აი აქ, ქვევით, სულ ესაა.

– . . .

– რაც არ უნდა მოხდეს, არ უნდა ამოხვიდე, არ უნდა გაინძრე, მხოლოდ ჩუმად უნდა იყო და დაიცადო.

– . . .

– ყველაფერი კარგად იქნება.

– ჰო.

– მისმინე. შესაძლოა, მე იმ ხალხთან ერთად წასვლამ მომიწიოს. არ გამოხვიდე, სანამ შენი ძმა არ მოგაკითხავს, გაიგე? ან სანამ თავად არ მიხვდები, რომ აქ უკვე აღარავინაა, რომ ყველაფერი დამთავრდა.

– ჰო.

– უნდა დაიცადო, სანამ აქაურობას ყველა არ გაეცლება.

– . . .

– ნუ გეშინია, ნინა, აქ უსაფრთხოდ იქნები. კარგი?

– ჰო.

– მაკოცე. გოგონამ მამას შუბლზე ტუჩები შეახო. მამამ ხელი თმაზე გადაუსვა. – ყველაფერი კარგად იქნება, ნინა.

შემდეგ შეყოვნდა, თითქოს რაღაც კიდევ უნდა ეთქვა ან გაეკეთებინა.

– ყველაფერი სხვანაირად მინდოდა ყოფილიყო.

თქვა მან.

– ყოველთვის გახსოვდეს, რომ ყველაფერი სხვანაირად მინდოდა ყოფილიყო.

გოგონა მამის თვალებში გაუცნობიერებლად რაღაცას ეძებდა, უნდოდა რამეს მიმხვდარიყო. ვერაფერი დაინახა. მამა მისკენ დაიხარა და ტუჩებზე აკოცა.

– ახლა კი მიდი, ნინა, ჩადი ქვემოთ. გოგონა ორმოში ჩახტა. მიწა მაგარი და მშრალი იყო. ის ძირს გაწვა.

– მოიცა, აი ეს აიღე. მამამ გადასაფარებელი გაუწოდა. მან ის მიწაზე დააგო და ისევ გაწვა.

გაიგო, როგორ ეუბნებოდა მამა კიდევ რაღაცას და მერე დაინახა, როგორ იხურებოდა სამალავის თავსახური. თვალები დახუჭა და ისევ გაახილა. იატაკის ფიცრებს შორის შუქი იპარებოდა. მამის ხმა გაიგო, ისევ მას ელაპარაკებოდა.

მერე იატაკზე გაჩოჩებული კალათების ხმა მოესმა. იქ, ქვემოთ, კიდევ უფრო ჩამობნელდა. მამამ რაღაც ჰკითხა. მან უპასუხა. გვერდზე იწვა. ფეხები აეკეცა და ისე მოხრილიყო, თითქოს თავის ლოგინში იწვა, თითქოს ახლა დაიძინებდა და სიზმრებსაც ნახავდა. ჩაესმა, მამა როგორ ეუბნებოდა ისევ რაღაცას, ტკბილად, იატაკისკენ დახრილი. შემდეგ სროლისა და ათას ნამსხვრევად ქცეული ფანჯრის ხმა მოესმა.

– როკა!...გარეთ გამოდი . . . სისულელე არ გააკეთო, გამოდი.

მანუელ როკამ თავის ვაჟიშვილს შეხედა. მისკენ გახოხდა, ფრთხილობდა, რომ გარედან არ შეემჩნიათ. მაგიდაზე დადებული თოფის ასაღებად წამოიწია.

– ღმერთო, მანდედან მოშორდი, წადი, ფარდულში დაიმალე. არ გამოხვიდე, შენი ხმა არავინ გაიგოს, არ გაინძრე. წაიღე თოფი და დატენილი გქონდეს.

ბავშვი გაუნძრევლად მიშტერებოდა.

– დროზე. გააკეთე რაც გითხარი.

მაგრამ ბავშვმა ნაბიჯი მისკენ გადადგა.

ნინამ გაიგო, როგორ გადაუარა ზემოთ ტყვიის სეტყვამ სახლს. იატაკის ნაპრალებიდან მტვერი და მინის ნამსხვრევები ცვიოდა. არ განძრეულა. გარედან ღრიალი შემოესმა.

– აბა, როკა, უნდა შემოვიდეთ და ისე აგიყვანოთ?. . . შენ გეუბნები, როკა, შემოვიდე?

ბავშვი ისევ ფეხზე იდგა, გარედან კარგი სამიზნე იყო. თავისი თოფი აეღო, მაგრამ ის ლულით ქვევით დახრილი ეკავა. ხელით ჩასჭიდებოდა და აქანავებდა.

– წადი აქედან — უთხრა მამამ — გაიგე? მოშორდი აქედან.

ბავშვი მას მიუახლოვდა. ფიქრობდა, ჩაიმუხლებოდა და მერე მამა მოეხვეოდა. რაღაც ამდაგვარი უნდოდა, ალბათ.

მამამ თოფი დაუმიზნა. დაბალი, მაგრამ სასტიკი ხმით უთხრა: - წადი აქედან, თორემ მე მოგკლავ.

– როკა, უკანასკნელად გაფრთხილებთ.

ნინამ ისევ გაიგო ის ხმა.

იარაღის ჯერმა სახლს ჯერ იქით და მერე აქეთ – ქანქარასავით გადაუარა, თითქოს აღარ გათავდებოდა, იქით და აქეთ – როგორც შუქურას შუქმა ბითუმივით შავ, გარინდულ ზღვას.

ნინამ თვალები დახუჭა. გადასაფარებელს ჩაეკრა და კიდევ უფრო მოიკუნტა, მუხლები ზემოთ, მკერდისკენ აიტანა. მოსწონდა ასე ყოფნა. ქვემოდან მიწას გრძნობდა, ცივს, ის იცავდა, ის არაფრით უღალატებდა. საკუთარ მოხვეულ სხეულსაც გრძნობდა, ნიჟარასავით დახვეულს, ესეც მოსწონდა; ნიჟარის არსებაც იყო და ნიჟარაც, საკუთარი თავის თავშესაფარი, ყველაფერი იყო თავისი თავისთვის, მას ვერაფერს დაუშავებდნენ, თუკი ასე დარჩებოდა.

თვალები ისევ გაახილა და გაიფიქრა, „არ გაინძრე, ახლა ბედნიერი ხარ“. მანუელ როკამ დაინახა, როგორ გაუჩინარდა მისი ვაჟიშვილი კარს უკან. შემდეგ ოდნავ წამოიწია, ზუსტად იმდენზე, რომ ფანჯრიდან გაეხედა. „კარგია“, გაიფიქრა. მერე ფანჯარასთან მივიდა, წამოდგა, სწრაფად დაუმიზნა და ისროლა. კრემისფერსამოსიანმა კაცმა შეიგინა და მიწაზე გაწვა. „ერთი ამ ნაბიჭვარს შეხედე“, თქვა მან. თავი ასწია. „შეხედე ამ ბოზს“. კიდევ ორი გასროლა გაიგო ფერმის მხრიდან. შემდეგ მანუელ როკას ხმა მოესმა.

– ჯანდაბაში წაეთრიე, სალინას.

კრემისფერსამოსიანმა კაცმა გადაიფურთხა. „იქ თავად წადი, შე ნაბიჭვარო“. მარჯვნივ თვალი შეავლო და დაინახა, როგორ იღიმებოდა ბოროტად შეშის გროვას აკრული ელ გურე. მას ანიშნა, რომ ესროლა. ელ გურე ისევ ბოროტად იღიმებოდა. მარჯვენა ხელში პატარა ავტომატი ეჭირა, მარცხენათი ჯიბეში სიგარეტს ეძებდა. სიჩქარე არ ეტყობოდა. ტანმორჩილი იყო და გამხდარი, დასვრილი ქუდი ეხურა, ფეხზე კი მთაში სასიარულო უზარმაზარი ფეხსაცმელები ეცვა. სალინასს შეხედა. სიგარეტი იპოვა. ტუჩებს შორის მოიქცია. მას ყველა ელ გურეს ეძახდა. წამოდგა და სროლა დაიწყო.

ნინამ გაიგო, როგორ გადაუარა ზე-

ვით სახლს ავტომატის ჯერმა. შემდეგ სიჩუმე ჩამოწვა. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ ერთი ჯერი, ამჯერად უფრო გრძელი. თვალები ღია ჰქონდა. იატაკის ნაპრალებს მისჩერებოდა. იქიდან ჩამოსულ შუქსა და მტვერს უყურებდა. დროგამოშვებით მოძრავ ჩრდილს ხედავდა. მამამისი იყო.

სალინასი ელ გურესთან, შეშის გროვის უკან მიცოცდა.

– ტიტოს შიგნით შესასვლელად რამდენი ხანი დასჭირდება?

ელ გურემ მხრები აიჩეჩა, ისევ იღიმებოდა. სალინასმა ფერმას შეავლო თვალი.

– ჩვენ აქედან შიგ ვერასოდეს შევალთ, ტიტო თუ მოახერხებს და შევა, თორემ ჩვენი საქმე წასულია. ელ გურემ სიგარეტს მოუკიდა. შემდეგ თქვა, რომ ბიჭი მოხერხებული იყო და რომ ამას შეძლებდა; რომ გველივით ცოცავდა და მისი იმედი უნდა ჰქონოდათ.

– ახლა კი ცოტა ავხმაურდეთ — დააყოლა ბოლოს. მანუელ როკამ წამით დაინახა შეშის უკნიდან წამოწეული ელ გურე და მიწას გაერთხა. ავტომატის ჯერმაც არ დააყოვნა, გაგრძელდა. „აქედან უნდა წავიდე“, გაიფიქრა როკამ. „ვაზნები. პირველ რიგში ვაზნები, მერე სამზარეულომდე უნდა მივცოცდე და იქიდან უკვე მინდვრებში დავეშვები. სახლის უკანაც დააყენებდნენ ვინმეს? ელ გურე სულელი არ არის, იქაც დატოვებდა ვინმეს. მაგრამ იქიდან არ ისვრიან. იქ რომ იყვნენ, გაისროდნენ. ან, იქნებ, ელ გურე არ არის აქ უფროსი. შეიძლება ის ნაძირალა სალინასია. თუ სალინასია, მაშინ შევძლებ. იმას არაფერი გაეგება. საწერ მაგიდას მიუჯექი სალინას, წერის მეტი მაინც არაფერი იცი. შენი დედაც. . . პირველ რიგში ვაზნები“. ელ გურე ისროდა.

„ვაზნები. და ფული. იქნებ, ფულის წაღებაც მოვახერხო. მაშინვე უნდა გავქცეულიყავი, აი, რა უნდა მექნა. რა სისულელე ვქენი. ახლა აქედან უნდა წავიდე, ერთი წამით მაინც შეწყვიტოს სროლა. ნეტა, სად იშოვა ავტომატი, მანქანა აქვთ და ავტომატი. დიდი პატივია, სალინას“.

ვაზნები. ახლა ფული. ელ გურე ისროდა. ნინას ესმოდა, როგორ იმსხვრეოდა ფანჯრები ავტომატის ტყვიებქვეშ. შემდეგ კი ავტომატის ჯერებს შორის დამდგარი სიჩუმის ზოლი. სიჩუმეში, ნამსხვრევებზე მცოცავი მამის ჩრდილი. ხელით კაბა გაისწორა. იმ ხელოვანს ჰგავდა, რომელიც თავისი ნამუშევრის ბოლო შტრიხებზე მუშაობს. გვერდულად მოკუნტულმა პატარ-პატარა უზუსტობის სათითაოდ შესწორება დაიწყო. ტერფები გაასწორა, ფეხები მჭიდროდ მიტყუპული იგრძნო, ორი ბარძაყი ნაზად მიკვროდა ერთმანეთს, ორი მუხლი – ერთმანეთის გვერდიგვერდ ორი ფინჯანივით დაეწყო. სიცარიელით დაშორებული კოჭები. ვიტრინაში გამოდებულივით დაწყვილებული ფეხსაცმელების სიმეტრია გადაამოწმა, თუმცა, რომ შეგეხედა, იტყოდი, ისინი დაღლილან და წამოწოლილანო. მას მოსწონდა ეს წესრიგი. თუ ნიჟარა გაქვს, წესრიგი მნიშვნელოვანია. თუ ნიჟარის არსება ხარ და ნიჟარა გაქვს, ყველაფერი უნაკლოდ უნდა იყოს. სიზუსტე გადაგარჩენს.

ტყვიის ჯერის ხანგრძლივი გრიგალი როგორც იქნა შეწყდა. მაშინვე ახალგაზრდა ბიჭის ხმა მოესმა.

– თოფი დააგდე, როკა. მანუელ როკამ თავი მიაბრუნა. ტიტო დაინახა, რომელიც მისგან რამდენიმე მეტრში იდგა. პისტოლეტს უმიზნებდა.

– არ გაინძრე და თოფი დააგდე.

გარეთ ავტომატის ახალი ჯერი წამოიწყეს. ბიჭი არ განძრეულა, ასე იდგა, დამიზნებული პისტოლეტით. ტყვიების წვიმის ქვეშ ორნი უძრავად იყვნენ, ერთმანეთს მიშტერებოდნენ, ერთ არსებად ქცეულნი აღარც სუნთქავდნენ. მიწაზე ნახევრად გართხმული მანუელ როკა ბიჭს თვალებში მიაშტერდა, ის კი ფეხზე იდგა და კარგი სამიზნე იყო. როკას უნდოდა გაეგო, მის წინ ბავშვი იდგა თუ ჯარისკაცი, მისთვის ეს ჩვეული რამ იყო თუ პირველად ხდებოდა; იმ პისტოლეტს აზრსაც აყოლებდა თუ მხოლოდ ბრმა ინსტიქტით მოქმედებ-

და. დაინახა, როგორ კანკალებდა შეუმჩნევლად პისტოლეტის ლულა, თითქოს ჰაერში პაწაწინა ფიგურებს ხატავდა.

– მშვიდად, ბიჭო – თქვა მან.

თოფი მიწაზე ფრთხილად დაუშვა. ფეხი მიარტყა და ოთახის შუაგულისკენ გააცურა.

– ყველაფერი კარგადაა. ტიტო თვალს ისევ არ აცილებდა.

– გაჩუმდი, როკა. არ გაინძრე.

ტყვიის ახალი ჯერი წამოვიდა. ელ გურე ისევ ისროდა. ბიჭი ელოდა, როდის მორჩებოდა, მაგრამ როკასგან არც მზერა მოუშორებია და არც პისტოლეტი დაუხრია. როცა ისევ სიჩუმემ დაისადგურა, ფანჯრის მიმართულებით გააპარა თვალი.

– სალინას! ავიყვანე. მორჩით, ავიყვანე.

ერთი წამის შემდეგ ისევ:

– ტიტო ვარ. ავიყვანე.

– მოახერხა... ამის... – თქვა სალინასმა.

ელ გურემ თითქოს ჩაიღიმა, არ მიბრუნებულა. ავტომატის კონდახს ისე ათვალიერებდა, თითქოს მოცალეობის ჟამს თავად გამოეთალა კოპიტის ხისაგან. ტიტო მათ გარჩევას ფანჯრიდან ცდილობდა. მანუელ როკა ნელ-ნელა წამოჯდა, ზუსტად იმდენზე, რომ კედელს ზურგით მიყრდნობოდა. იმ პისტოლეტზე ფიქრობდა, შარვლის ჯიბეში რომ ჰქონდა, მის სიმძიმეს გრძნობდა. ცდილობდა გაეხსენებინა, დატენილი იყო თუ არა. ხელით მოსინჯა. ბიჭს არაფერი შეუმჩნევია.

„შევედით“- თქვა სალინასმა. შეშის გროვას შემოუარეს და ფერმისაკენ გაემართნენ. სალინასი ოდნავ წელში მოხრილი მიდიოდა, ისე, როგორც ეს ფილმებში ენახა. სასაცილოდ გამოიყურებოდა, როგორც ყველა კაცი ომში, მაგრამ ამას თავად ვერ ხვდებოდა. კალოზე გადადიოდნენ, როდესაც შიგნიდან სროლის ხმა მოესმათ. ელ გურე ადგილიდან მოწყდა, ფერმის კარამდე მიაღწია და ის წიხლით გააღო.

სამი წლის წინათაც წიხლით შეანგრია თავლის კარი, შევიდა და დაინახა ჭერზე ჩამოკიდებული თავისი ცოლი, ორი ქალიშვილი, გადაპარსული თავებით, სისხლში ამოსვრილი ბარძაყებით.

კარი წიხლით გააღო, შევიდა და დაინახა ტიტო, ის ფეხზე იდგა, პისტოლეტი ოთახის კუთხისკენ ჰქონდა დამიზნებული.

– იძულებული გავხდი მესროლა. პისტოლეტი აქვს.

ელ გურემ კუთხისკენ გაიხედა. როკა ზურგზე იწვა. მკლავიდან სისხლი სდიოდა.

– მგონი, პისტოლეტი აქვს, - გაიმეორა ბიჭმა და დაამატა - სადღაც აქვს გადამალული. ელ გურე მანუელ როკას მიუახლოდა. მკლავზე ჭრილობას დახედა. შემდეგ მას სახეში შეხედა.

– გამარჯობა, როკა, – თქვა მან.

ფეხი როკას დაჭრილ მკლავზე დაადგა და დააჭირა. როკამ ტკივილისაგან დაიბღავლა და შებრუნდა. შარვლიდან პისტოლეტი ამოუცურდა. ელ გურე მის ასაღებად დაიხარა.

– მაგარი ხარ, ბიჭო – თქვა მან. ტიტომ თავი დააქნია. მიხვდა, რომ მკლავი ისევ წინ ჰქონდა გაწვდილი და ხელში როკასთვის დამიზნებული პისტოლეტი ეჭირა. ხელი დასწია. იგრძნო, როგორ მოუდუნდა თითები პისტოლეტის ტარის გარშემო. მთელი ხელი სტკიოდა, თითქოს მუშტები კედლისთვის დაეშინა. „მშვიდად“ – გაიფიქრა მან. ნინას ის სიმღერა გაახსენდა, ასე რომ იწყებოდა: „დაითვალე ღრუბლები და დროც გავა“, შემდეგ კი რაღაც იყო არწივზე და ბოლოს რიცხვებით მთავრდებოდა, ერთმანეთის მიყოლებით, ერთიდან ათამდე. შეგეძლო თვლა ასამდეც გაგეგრძელებინა, ან, სულაც, ათასამდე. ერთხელ მან ორას ორმოცდასამამდე დაითვალა. გაიფიქრა, რომ ახლა ადგებოდა და იქიდან წავიდოდა, ნახავდა, ვინ იყვნენ ის კაცები და რა უნდოდათ. თვლას დაამთავრებდა და მაშინვე ადგებოდა. თავსახურს თუ ვერ ახდიდა, მაშინ დაიყვირებდა და მამამისი მოვიდოდა მის დასახმარებლად. მაგრამ ასე დარჩა, გვერდზე დაწოლილი, მუხლები მკერდისაკენ ჰქონდა აწეული, ფეხსაცმელები გვერდიგვერდ ჩაწყობილი, მი-

წის სიგრილეს გადასაფარებლის უხეშ შალს ლოყით მიკრული შეიგრძნობდა.

ნაზი ხმით სიმღერა წამოიწყო: „დაითვალე ღრუბლები და დროც გავა“.

– ისევ შევხვდით, ექიმო, – თქვა სალინასმა.

მანუელ როკამ უსიტყვოდ შეხედა. ჭრილობაზე რაღაც ჩვარი მიეჭირა. ის ოთახის შუაგულში დაესვათ, ხის ყუთზე. ელ გურე სადღაც მის უკან იდგა, თავის ავტომატს ჩაბღაუჭებოდა. ბიჭი კარში დაეყენებინათ: დარაჯობდა, არავინ მისულიყო, ხანდახან მიბრუნდებოდა ხოლმე იმის დასანახად, რაც ოთახში ხდებოდა. სალინასი წინ და უკან დადიოდა. ხელში ანთებული სიგარეტი ეკავა.

ფრანგული.

– იცი, რამდენი დრო დამაკარგინე? – თქვა მან. მანუელ როკამ მას შეხედა.

– გიჟი ხარ, სალინას.

– სამასი კილომეტრიც კიდევ იმისათვის, რომ აქ მოვსულიყავი და ამ ბუნაგიდან გამომეგდე. ეს ძალიან დიდი გზაა.

– მითხარი, რა გინდა და წადი აქედან.

– რა მინდა?

– რა გინდა, სალინას? სალინასმა გაიღიმა.

– შენ მინდიხარ, ექიმო.

– გიჟი ხარ. ომი დამთავრდა.

– რა თქვი?

– ომი დამთავრდა. სალინასი მანუელ როკასკენ გადაიხარა.

– ომი როდის დამთავრდება, ამას მოგებული მხარე წყვეტს. მანუელ როკამ თავი გადააქნია.

– სალინას, შენ ეს წიგნებში წაიკითხე? ომი დამთავრდა და მორჩა, არ გინდა ეს გაიგო?

– შენი ომი – არა, ჩემი ომი – არა, ექიმო.

მაშინ მანუელ როკამ დაიღრიალა, რომ მას არ უნდა შეხებოდნენ, რომ მათ ყველას დაიჭერდნენ, დაიჭერდნენ და ციხეში ამოალპობდნენ. ბიჭს დაუყვირა, რამდენად მოსწონდა ის ამბავი, რომ გისოსებს მიღმა დაბერდებოდა, ცხოვრებას საათების თვლასა და ვინმე საზიზღარი მკვლელისათვის წუწვნაში გაატარებდა. ბიჭმა მას შეხედა, მაგრამ არაფერი უპასუხა. მაშინ მანუელ როკამ დაუყვირა, რომ ის სულელი იყო, რომ მას ატყუებდნენ და ცხოვრებას უმწარებდნენ. მაგრამ ბიჭს არაფერი უთქვამს. სალინასი იცინოდა. ელ გურეს უყურებდა და იცინოდა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ეს ამბავი ართობდა. ბოლოს ისევ სერიოზული გამომეტყველება მიიღო, მანუელ როკას წინ დადგა და რამდენჯერმე უთხრა, გაჩერებულიყო. ხელი პიჯაკის შიგა ჯიბეში ჩაიყო და იქიდან პისტოლეტი ამოიღო. შემდეგ როკას უთხრა, რომ მათზე ტყუილად დარდობდა, რომ ვერავინ ვერაფერს გაიგებდა.

– შენ არარაობაში გაქრები, ამ ამბავზე აღარავინ ილაპარაკებს. შენმა მეგობრებმა მიგატოვეს, როკა, ჩემები კი ძალიან დაკავებულნი არიან. შენი სიკვდილით ყველა კმაყოფილი იქნება, ექიმო, ეს შენი დასასრულია.

– გიჟები ხართ.

– რას ამბობ?

– თქვენ გიჟები ხართ.

– კიდევ ერთხელ თქვი, ექიმო, მომწონს, როცა გიჟებზე ლაპარაკობ.

– სალინას, მოშორდი, შენი . . . სალინასმა პისტოლეტის ჩახმახი შეაყენა.

– ახლა მისმინე, ექიმო. იცი, რამდენჯერ მომიწია სროლამ ომში, ოთხი წლის განმავლობაში? ორჯერ. არ მიყვარს სროლა, არ მიყვარს იარაღი, მისი ტარება არასოდეს მინდოდა, არ მსიამოვნებს კაცის კვლა, მე ჩემი ომი მაგიდასთან გავიარე. სალინას ილ რატო, გახსოვს? შენი მეგობრები ასე მეძახდნენ. ყველას სათითაოდ ბოლო მოვუღე, მათ დაშიფრულ გზავნილებს მე ვხსნიდი, მერე კი ჩემს ჯაშუშებს მივუჩენდი ხოლმე; ისინი მე სათანადოდ არ მაფასებდნენ, მე კი ყველას დედა ვუტირე. ასე გაგრძელდა ოთხი წელი, სიმართლე თუ გინდა, მე მხოლოდ ორჯერ ვისროლე, ერთხელ ღამით, სიბნელეში, სიცარიელეში გავისროლე, მეორედ კი ომის ბოლო დღეს, საკუთარ ძმას ვესროლე.

●

კარგად მისმინე, იმ ჰოსპიტალში ჯარის ნაწილების მოსვლამე შევედით,

იქ შესვლა პირველებს კი იმიტომ გვინდოდა, რომ თქვენ გაგსწორებოდით, მაგრამ ველარ გიპოვეთ, უკვე გაქცეულები იყავით, არა? საფრთხე იგრძენით, ციხის ზედამხედველი ჯალათების ხალათები გაიხადეთ და გაიქეცით, ყველაფერი ისე დატოვეთ, როგორც იყო: ყველგან საწოლები, დერეფნებშიც კი, ყველგან ავადმყოფები. მაგრამ კარგად მახსოვს, რომ ერთი კვნესაც არ ისმოდა, არანაირი ჩამი-ჩუმი, საერთოდ არაფერი, ეს არასოდეს დამავიწყდება, სრული სიჩუმე იყო, მე ეს ხმა ყოველ ღამე ჩამესმის, სრული სიჩუმის ხმა, იქ კი, საწოლებში, ჩვენი ამხანაგები იყვნენ, ჩვენ მათ გასათავისუფლებლად მოვიჩქაროდით. მათი გადარჩენა შეგვეძლო, მაგრამ, როცა მოვედით, ისინი ხმას ველარ იღებდნენ, კვნესის თავიც აღარ ჰქონდათ და, სიმართლე თუ გინდა, აღარც სიცოცხლე უნდოდათ, აღარ უნდოდათ გადარჩენა, აი, რა იყო სინამდვილეში, ისეთ დღეში ჩაგეყარათ, რომ სიკვდილიღა უნდოდათ, გადარჩენა აღარ უნდოდათ, სიკვდილს ნატრობდნენ.

●

ჩემი ძმა ქვევით ვიპოვე, სამლოცველოში, სხვებთან ერთად, ისიც საწოლში იყო, მაგრამ ისე შემომხედა, თითქოს შორეული მირაჟი ვიყავი, დალაპარაკება ვცადე, ის კი არ მპასუხობდა, ვერ გავიგე, მიცნო თუ ვერა, მისკენ დავიხარე, შევეხვეწე, რომ პასუხი გაეცა, ვთხოვე, რამე ეთქვა ჩემთვის. თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა, ძალიან ნელა სუნთქავდა, ეს რაღაც გრძელ აგონიას წააგავდა, მისკენ გადავიხარე და უცებ მისი ხმა გავიგე, „გთხოვ“, თქვა ძალიან ნელა, არაადამიანური ძალისხმევის ფასად, ეს ხმა, რომელიც თითქოს ჯოჯოხეთიდან მოდიოდა, მის ხმას ოდნავადაც აღარ ჰგავდა, ჩემს ძმას წკრიალა ხმა ჰქონდა, როცა ლაპარაკობდა, იფიქრებდი, იცინისო, მაგრამ ეს ხმა სულ სხვანაირი იყო. ნელა მითხრა, „გთხოვ“, და მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდგ დაამატა, „მომკალი“, მის თვალებში სიცარიელე იყო, ეს სხვისი თვალები იყო, სხეული უძრავად იდო, ნელა ადიოდა და ჩადიოდა, ნელა სუნთქავდა.

●

მე ვუთხარი, რომ იქიდან წავიყვანდი, რომ უკვე ყველაფერი დამთავრდა და ახლა მე მივხედავდი, მაგრამ ის თავის ჯოჯოხეთში ჩანდა ჩაფლული, ისევ იქ დაბრუნდა საიდანაც მოვიდა, თქვა, რისი თქმაც უნდოდა და მერე თავის კოშმარს დაუბრუნდა, მე რა შემეძლო? იმაზე ვფიქრობდი, როგორ წამეყვანა იქიდან, აქეთ-იქით მიმოვიხედე, დახმარების ძებნაში, იქიდან უნდა წამეყვანა, ამაში ეჭვი არ მეპარებოდა, მაგრამ განძრევას ვერ ვახერხებდი, არ ვიცი, რა დრო გავიდა, მხოლოდ ის მახსოვს, რომ როდესაც რაღაც მომენტში მოვბრუნდი, ჩემგან რამდენიმე მეტრში ელ ბლანკო დავინახე, ფეხზე იდგა, საწოლთან, მხარზე ავტომატი ეკიდა და იმ ბიჭს, საწოლზე რომ იწვა, სახეზე ბალიშს აჭერდა.

●

ელ ბლანკო ტიროდა და ბალიშს აწვებოდა, სამლოცველოს სიჩუმეში მხოლოდ მისი ზლუქუნი ისმოდა, ბიჭი არც კი ინძრეოდა, არ ხმაურობდა, ჩუმად მიდიოდა, ელ ბლანკო ბავშვივით ზლუქუნებდა, შემდეგ ბალიში აიღო და ბიჭს თვალები დაუხუჭა, მერე მე შემომხედა, მე მას ვუყურებდი, მან მე შემომხედა, მინდოდა მისთვის მეთქვა, რას აკეთებ-მეთქი, მაგრამ ხმა არ აღმომხდა, ზუსტად იმ წუთას ვიღაც შემოვიდა და თქვა, რომ ჯარი გვიახლოვდებოდა, რომ იქიდან უნდა წავსულიყავით. არ ვიცოდი, რა მექნა, არ მინდოდა, იქ ვეპოვეთ, ხმაური მესმოდა – დერეფანში დარბოდნენ, მაშინ ჩემს ძმას თავს ქვემოდან ბალიში ნაზად გამოვაცალე, ცოტა ხანს შევჩერდი, რომ იმ საშინელ თვალებში ჩამეხედა, მერე ბალიში სა-

ხეზე დავადე და დავაწექი, მისკენ გადავიხარე, ხელებით ბალიშს ვაწვებოდი და ჩემი ძმის სახის ძვლებს ვგრძნობდი, იქ, ჩემს ხელებქვეშ, არ შეიძლება ვინმეს ამგვარი რამ სთხოვო, ჩემთვისაც არ უნდა ეთხოვა, მერე მთელი ძალღონე მოვიკრიბე, მაგრამ მაინც ვერ გავუძელი, ბალიში ავიღე, ჩემი ძმა ისევ სუნთქავდა, მაგრამ, ალბათ, უკვე ისევ ჯოჯოხეთის ჯურღმულებში მიექანებოდა, საშინელება იყო, უძრავი თვალები და ის ხრიალი, მას დავყურებდი და მივხვდი, რომ ეს მე ვღრიალებდი, ჩემი საკუთარი ხმა მესმოდა, შორიდან, მონოტონურად და გაუთავებლად, თავს ვერ ვიკავებდი. როცა ელ ბლანკო შევამჩნიე, ისევ ვღრიალებდი. ჩემ გვერდით იდგა, არაფერს ამბობდა, პისტოლეტს მაწვდიდა, მე ისევ ვღრიალებდი, ყველანი გარბოდნენ, ჩვენ ორნი კი იქ ვიყავით, შიგნით, მან პისტოლეტი გამომიწოდა, მე ავიღე, ლულა ჩემი ძმის შუბლს მივაბჯინე და ვისროლე, ღრიალი არ შემიწყვეტია, ისე ვისროლე.

●

შემომხედე, როკა. გითხარი, შემომხედე-მეთქი. მთელი ამ ომის მანძილზე ორჯერ ვისროლე, ერთხელ ღამეში, სიცარიელეში, მეორედ კი მიბჯენით, ჩემს ძმას ვესროლე.

●

რაღაც მინდა გითხრა. მე კიდევ ერთხელ ვისვრი. უკანასკნელად.

– მე არაფერ შუაში ვარ. დაიღრიალა ისევ როკამ.

– შენ არაფერ შუაში ხარ?

– ჰოსპიტალთან არაფერ შუაში ვარ.

– რას ბოდავ?

– მე ბრძანებებს ვასრულებდი.

– შენ. . .

– მე არ ვიყავი, როცა. . . .

– რას როშავ. . .

– ვფიცავ, მე. . .

– ის შენი ჰოსპიტალი იყო, შე ნაბიჭვარო.

– ჩემი?

– ის შენი ჰოსპიტალი იყო, შენ იყავი ის ექიმი, ვინც იქ მკურნალობდა, ისინი შენ დახოცე, ისინი შენ აკუწე, მათ შენ გიგზავნიდნენ, შენ კი ჩეხავდი . .

– მე არასოდეს. . .

– ხმა!

– გეფიცები, სალინას. . .

– ხმა!

– მე არ. . . - გაჩუმდი!

სალინასმა პისტოლეტის ლულა როკას მუხლზე მიაბჯინა. მერე ისროლა. მუხლი დამპალი ხილივით გასკდა. როკა უკან გადავარდა და იატაკზე მოიკრუნჩხა, ტკივილისაგან ღრიალებდა. სალინასი თავზე ადგა, პისტოლეტს უმიზნებდა და ყვიროდა.

– მოგკლავ, გესმის? მოგკლავ, შე ნაბიჭვარო, მოგკლავ.

ელ გურემ ერთი ნაბიჯი წინ გადადგა. ბიჭი კარებში იდგა და უხმოდ იყურებოდა. სალინასი ყვიროდა, კრემისფერ სამოსზე სისხლი შეშხეფებოდა, უცნაური, ხრიალა ხმით გაჰყვიროდა, თითქოს ტიროდა ან სუნთქვა ეკვროდა. ღრიალებდა, რომ მას მოკლავდა. შემდეგ ყველამ ის ხმა გაიგო, რომელიც შეუძლებლად ჩუმად რაღაცას ამბობდა.

– წადით აქედან.

მობრუნდნენ და ბავშვი დაინახეს, ფეხზე იდგა, ოთახის საპირისპირო კუთხეში. ხელში თოფი ეჭირა და მათ უმიზნებდა. კიდევ ერთხელ გაიმეორა, ჩუმად: - წადით აქედან. ნინას მამამისის ჩახლეჩილი ხმა ესმოდა, რომელიც ტკივილისაგან წყდებოდა, შემდეგ თავისი ძმის ხმაც გაიგონა. გაიფიქრა, რომ როდესაც იქიდან გავიდოდა, თავის ძმას აუცილებლად ეტყოდა, რომ ძალიან ლამაზი ხმა ჰქონდა, იმიტომ, რომ მართლაც ძალიან ლამაზი მოეჩვენა, წკრიალა და ძალიან ბავშვური, ის ხმა, რომელიც ნელა ამბობდა:

– წადით აქედან.

– ეს ვინ ჩემი. . .

– შვილია, სალინას.

– რას როშავ?

– როკას ვაჟიშვილია, – თქვა ელ გურემ.

სალინასმა შეიგინა, აყვირდა, რომ იქ არავინ არ უნდა ყოფილიყო, იქ არა-

ვინ არ უნდა ყოფილიყო, ეს რა ხდება, ხომ თქვით, რომ იქ არავინ იყო, ყვიროდა და არ იცოდა, საით მიეშვირა პისტოლეტი, ელ გურეს უყურებდა, მერე ბიჭს გადახედა, ბოლოს ბავშვს შეხედა, რომელსაც თოფი ეკავა და დაუყვირა, რომ სულელი იყო და რომ იქიდან ცოცხალი ვერ გავიდოდა, იმ დაწყევლილ თოფს დაუყოვნებლივ თუ არ დააგდებდა.

ბავშვი ხმას არ იღებდა, არც თოფი დაუშვია.

მაშინ სალინასმა ღრიალი შეწყვიტა. მას მშვიდი და სასტიკი ხმა აღმოხდა. ბავშვს უთხრა, რომ მან უკვე იცოდა, რა ჯურის კაცი იყო მამამისი, უკვე იცოდა, რომ მკვლელი იყო, რომ ათობით ადამიანი ჰყავდა მოკლული, ზოგს თავისი წამლებით ნელ-ნელა წამლავდა, სხვებს კი უბრალოდ ხოცავდა, მკერდს გადაუხსნიდა და ისე ტოვებდა, მომაკვდავებს. ისიც უთხრა, რომ თავისი თვალით ენახა იმ ჰოსპიტლიდან გამოსული ტვინგადამწვარი ბიჭები, ძლივს დადიოდნენ, არ ლაპარაკობდნენ და იდიოტი ბავშვებივით იყვნენ. უთხრა, რომ მამამისს ჰიენას ეძახდნენ, და რომ თავად მისი ამხანაგები ეძახდნენ ასე - ჰიენა, ამ სახელის წარმოთქმაზე კი იცინოდნენ. როკა მიწაზე გორავდა. ხმადაბლა წამოიწყო

„მიშველეთ“, თითქოს შორიდან, „მიშველეთ, მიშველეთ, მიშველეთ“ – რაღაც შორეული ლიტანიასავით. სიკვდილის მოახლოებას გრძნობდა. სალინასს მისთვის არც შეუხედავს. ბიჭთან ლაპარაკს განაგრძობდა. ბავშვი გაუნძრევლად უსმენდა. ბოლოს სალინასმა უთხრა, რომ რაც იყო - იყო, რომ მის იქ თოფით დგომასაც აზრი არ ჰქონდა. ბავშვს თვალებში უზომოდ მოღლილი მზერით ჩახედა, და ჰკითხა, თუ გაიგო, ვინ იყო ის კაცი, მართლა თუ გაიგო, და ხელს როკასაკენ იშვერდა.. უნდოდა სცოდნოდა, ბავშვი თუ მიხვდა, რა კაცი იყო მამამისი.

ბავშვმა გონებაში ერთად დაალაგა ყველაფერი, რაც იცოდა და ყველაფერი, რაც ცხოვრებაზე გაიგო. მერე უპასუხა:

– მამაჩემია.

შემდეგ გაისროლა. მხოლოდ ერთი გასროლა. სიცარიელეში.

ელ გურემ უნებურად უპასუხა. ავტომატის ჯერმა ბავშვი ჰაერში ასწია და კედელს მიანარცხა, ტყვიის, ძვლებისა და ხორცის მასა. „ჰაერში მოკლულ ჩიტს ჰგავს“- გაიფიქრა ტიტომ.

სალინასი მიწაზე დაეცა. როკას გვერდით აღმოჩნდა. ერთი წამით ორმა კაცმა ერთმანეთს თვალებში ჩახედა. როკას ყელიდან საშინელი, დაგუდული ღრიალი აღმოხდა. სალინასი უკან გახოხდა. ზურგით შებრუნდა, როკას თვალებს რომ არიდებოდა. ერთიანად ცახცახებდა. ირგვლივ სრული სიჩუმე იყო. მხოლოდ ის საშინელი ღრიალი. სალინასი მუხლებზე წამოიწია, ოთახის სიღრმისაკენ გაიხედა. ბავშვის სხეული კედელს მიყრდნობოდა, ავტომატის ტყვიებით დაცხრილული, ჭრილობებგადახსნილი. თოფი კუთხეში ეგდო. სალინასმა შეამჩნია, რომ ბავშვს თავი ამობრუნებოდა და მის დაღებულ პირში პატარა, თეთრი კბილები დაინახა, ჩაწიკწიკებული და თეთრი. მაშინ ისევ უკან მიესვენა, ზურგზე. მის თვალებში ჭერის ჩამწკრივებული კოჭები ირეკლებოდა. მუქი ხის. ძველი. მთელი სხეული უთრთოდა. ხელებს ვერ იმორჩილებდა, ვერც ფეხებს. ტიტომ მისკენ ორი ნაბიჯი გადადგა.

ელ გურემ მას რაღაც ანიშნა და შეაჩერა.

როკა შემზარავად ღრიალებდა, მომაკვდავის ღრიალით. სალინასმა ჩუმად ჩაილაპარაკა:

– გააჩუმე.

ამას რომ ამბობდა, ცდილობდა კბილების საშინელი კაწკაწი დაემორჩილებინა.

ელ გურემ მისი მზერა მოძებნა, რომ გაეგო, რა უნდოდა. სალინასის თვალები ჭერს მიშტერებოდნენ. მუქი ხის კოჭები. ძველი.

– გააჩუმე, – გაიმეორა მან.

ელ გურემ ერთი ნაბიჯი წინ წადგა.

როკა ღრიალებდა, საკუთარ სის-

ხლში გართხმულს, პირი საშინლად დაეფჩინა. ელ გურემ პირში ავტომატის ლულა ჩაუდო. როკა ისევ ღრიალებდა, პირი ლულის ცხელ რკინას მიაბჯინა. ელ გურემ ისროლა. მოკლე ჯერი. მშრალი. უკანასკნელი მის ომში. – გაჩუმე, – თქვა ისევ სალინასმა.

ნინას ჩამოვარდნილი სიჩუმის შეეშინდა. მაშინ ხელები შეაერთა და ფეხებს შორის ჩააცურა. კიდევ უფრო მოიხარა, მუხლები თავისკენ მისწია. გაიფიქრა, რომ ახლა უკვე ყველაფერი დამთავრებული იქნებოდა. მამამისი მოვიდოდა მის წასაყვანად და სავახშმოდ წავიდოდნენ. გაიფიქრა, რომ ამ ამბავზე აღარასოდეს ილაპარაკებდნენ, და რომ მას მალევე დაივიწყებდნენ, ასე იფიქრა, რადგან ბავშვი იყო და ჯერ კიდევ ბევრი რამ არ იცოდა.

– გოგონა, – თქვა ელ გურემ.

სალინასს მკლავში ჩასჭიდებოდა, ფეხზე დგომაში რომ შეშველებოდა. ჩუმად უთხრა: - გოგონა. სალინასს შემზარავი, ცარიელი მზერა ჰქონდა.

– რომელი გოგონა?

– როკას ქალიშვილი. ბიჭი თუ იყო, გოგოც აქ იქნება.

სალინასმა რაღაც ჩაიბურდღუნა. შემდეგ ელ გურეს ხელი ჰკრა და მოიშორა. მაგიდას დაეყრდნო, რომ წამომდგარიყო. ფეხსაცმელები როკას სისხლით დასვროდა.

ელ გურემ ტიტოს რაღაც ანიშნა, მერე სამზარეულოსაკენ გაემართა. როცა ბავშვს ჩაუარა, ერთი წამით დაიხარა და მას თვალები დაუხუჭა. ისე არა, როგორც მამა დაუხუჭავდა. ისე, თითქოს ვიღაცამ ოთახიდან გასვლისას შუქი ჩააქრო. ტიტოს მამამისის თვალები გაახსენდა. ერთ დღეს მისი სახლის კარზე დააკაკუნეს. ტიტოს ეს ხალხი ადრე არ ენახა. მაგრამ მათ უთხრეს, რომ რაღაც ჰქონდათ მისთვის გადასაცემი. შემდეგ ქსოვილში შეხვეული საგანი გაუწოდეს. გახსნა, შიგ მამამისის თვალები იყო. „შენ გადაწყვიტე, ყმაწვილო, ვის მხარეს იყო“- უთხრეს მას და წავიდნენ.

ტიტომ ოთახის სიღრმეში ჩამოშვებული ფარდა დაინახა. პისტოლეტი შეაყენა და იქით გაემართა. ფარდა გადასწია. პატარა ოთახში შევიდა. იქ არეულობა იყო. აყირავებული სკამები, სკივრები, სამუშაო იარაღები და ნახევრად დამპალი ხილით სავსე კალათები. აშმორებული საგნების მძაფრი სუნი იდგა. კიდევ ნესტის. ძირს, მტვერზე ისეთი კვალი დაეტოვებინათ, თითქოს ვიღაც მუხლებზე გაჩოჩდაო. თუმცა, შეიძლება, სულაც არა.

ისმოდა, როგორ ურტყამდა ელ გურე ავტომატს სახლის კედლებს გარედან; საიდუმლო კარს ეძებდა. სალინასი ისევ შიგნით უნდა ყოფილიყო, აკანკალებული, მაგიდას დაყრდნობილი. ტიტომ ხილის კალათა გასწია. იატაკში ასახდელი კარი შეამჩნია. იატაკს ფეხი ძლიერად დაარტყა, მიაყურადა, რა ხმას გამოსცემდა. ორი სხვა კალათაც გადააჩოჩა. პატარა კარი იყო, გულდასმით ამოჭრილი. ტიტომ აიხედა. პატარა ფანჯრიდან ჩანდა, რომ უკვე ბნელოდა. არც კი შეუმჩნევია, როგორ დაღამებულიყო. გაიფიქრა, წასვლის დრო მოსულაო. შემდეგ ძირს მუხლებით დადგა და თავსახური ასწია. იქ, შიგნით, გოგონა იყო. გვერდზე მოკუნტული იწვა, ხელები ბარძაყებს შორის ჩაედო, თავი ოდნავ წინ წაეწია, მუხლებისკენ. თვალები ღია ჰქონდა. ტიტომ ბავშვს პისტოლეტი დაუმიზნა.

– სალინას! — დაიყვირა. ბავშვმა თავი მოატრიალა და მას შეხედა. მუქი თვალები ჰქონდა, უცნაური ჭრილის. მას სრულიად უმეტყველო სახით უყურებდა. ტუჩები მოეკუმა და მშვიდად სუნთქავდა. სოროში განაბულ ცხოველს ჰგავდა. ტიტომ იგრძნო, როგორ მოაწვა ნაცნობი გრძნობა, ათასჯერ განცდილი, როდესაც ბავშვობაში თავადაც ზუსტად ასე იწვა, თბილ ლოგინში ან დღისით, მზეს მიფიცხებული. გოგონა მუხლებმოხრილი იწვა, ერთმანეთზე მიწყობილი ხელები ფეხებს შორის მოექცია, თავი კი, თითქოსდა რკალის შესაკრავად, ოდნავ ოდნავ წინ ჰქონდა წაწეული. „ღმერთო“, გაიფიქრა, „რა ლამაზია“. გოგონას თეთრი კანი

ჰქონდა, ტუჩების კონტური - უნაკლო. პატარა წითელი კაბიდან ფეხები მოუჩანდა, თითქოს ნახატიაო. ყველაფერი საოცრად სრულყოფილი იყო, უნაკლო.

გოგონამ თავი ისევ მიატრიალა, ძველ მდგომარეობას დაუბრუნდა. ცოტა წინ გადაიხარა, რომ წრე შეეკრა. ტიტო მიხვდა, რომ ფარდის მიღმა პასუხი არავის გაუცია. დრო გადიოდა, მაგრამ არავინ პასუხობდა. ისმოდა, როგორ ურტყამდა ელ გურე სახლის კედლებს თავის ავტომატს. ყრუ ხმა, რომელიც არ წყდებოდა. გარეთ ბნელოდა. სამალავს თავსახური დაახურა. ნელა. ცოტა ხანს ასე გაჩერდა, მუხლებზე დაჩოქილი, რათა ენახა, იატაკის ნაპრალებიდან გოგონა ხომ არ მოჩანდა. დაფიქრება უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. ხანდახან ადამიანს დაღლილობისგან ფიქრის თავიც აღარ აქვს. ადგა. კალათები თავის ადგილზე დადგა. გულის ცემას საფეთქლებში გრძნობდა.

ღამე იყო, როდესაც გავიდნენ, მთვრალებივით დაბარბაცებდნენ. ელ გურე სალინასს ეხმარებოდა, წინ ფრთხილად უბიძგებდა. ტიტო უკან მოჰყვებოდათ. სადღაც მათ ძველი „მერსედესი“ ელოდათ. რამდენიმე მეტრი ისე გაიარეს, სიტყვაც კი არ დაუძრავთ. შემდეგ სალინასმა რაღაც უთხრა ელ გურეს და ელ გურე უკან დაბრუნდა, ფერმისკენ. ძალიან დარწმუნებული არ ჩანდა, მაგრამ მაინც დაბრუნდა. სალინასი ტიტოს დაეყრდნო და უთხრა, გზა განეგრძო. შეშის გროვას ახლოს ჩაუარეს და გზიდან გადავიდნენ, იმ ბილიკს დაადგნენ, მინდვრებში რომ მიდიოდა. ირგვლივ სრული სიჩუმე იყო და ამიტომაც ტიტომ ვერ მოახერხა იმ წინადადების წარმოთქმა, თავში რომ უტრიალებდა, და რომლის თქმაც გადაეწყვიტა. „იქ, შიგნით, გოგონა დარჩა“. დაღლილი იყო და ირგვლივ მეტისმეტი სიჩუმე იდგა. სალინასი გაჩერდა. კანკალებდა და სიარული ძალიან უჭირდა. ტიტომ მას ჩუმად რაღაც უთხრა, შემდეგ მობრუნდა და უკან გაიხედა, ფერმისაკენ. დაინახა ელ გურე, რომელიც მათკენ მორბოდა. ისიც დაინახა, რომ ელ გურეს ზურგს უკან სიბნელეში ფერმა იკვეთებოდა, ხანძარში გახვეულ ფერმას ცეცხლი შთანთქავდა. ყოველი მხრიდან ალი გამოდიოდა და კვამლის შავი ღრუბელი ნელა მიიწევდა ღამეში ზევით. ტიტო სალინასს მოსცილდა და გაქვავებული იყურებოდა. ელ გურე მათ დაეწია და გაუჩერებლად თქვა „წავედით“. მაგრამ ტიტო არ განძრეულა.

– ეს რა ჩაიდინე?- ჰკითხა მან.

ელ გურე ცდილობდა, სალინასი როგორმე წაეყვანა. გაიმეორა, რომ უნდა წასულიყვნენ. მაშინ ტიტო მას საყელოში სწვდა და სახეში შეჰყვირა - ეს რა ჩაიდინე?

– დამშვიდდი - თქვა ელ გურემ.

მაგრამ ტიტო არ ჩერდებოდა, კიდევ უფრო ხმამაღლა დაიღრიალა, „ეს რა ჩაიდინე?“ ელ გურეს ნაჭრის თოჯინასავით აქნევდა, „ეს რა ქენი?“ მერე ზევით ასწია, ჰაერში. „ეს რა ჩაიდინე?“ მერე სალინასმაც დაიყვირა, „მორჩი, ბიჭო“. სამივენი გიჟებს ჰგავდნენ, დანგრეული თეატრის ჩაბნელებულ სცენაზე მიტოვებულებს, უკვე გეყოფა!

ბოლოს ტიტო ძალით წაათრიეს. ხანძარი გიზგიზებდა და ღამეს ანათებდა. მინდორი გადაჭრეს და გზამდე ჩავიდნენ, ძველ არხს მიჰყვებოდნენ. როდესაც იმ ადგილას მივიდნენ, საიდანაც ძველი „მერსედესი“ ჩანდა, ელ გურემ ტიტოს მხარზე ხელი დაადო და ჩუმად უთხრა, რომ ყოჩაღი იყო და რომ ახლა ყველაფერი დამთავრდა. მაგრამ ის კვლავ იმ ფრაზას იმეორებდა. არ ყვიროდა. ჩუმად ამბობდა, ბავშვის ხმით. „ეს რა ჩავიდინეთ. ეს რა ჩავიდინეთ. ეს რა ჩავიდინეთ“.

მინდვრებით გარშემორტყმული მატო რუჟოს ძველი ფერმა დაბრმავებულს ჰგავდა, ღამის სიბნელეში ისე მოჩანდა, თითქოს ალის ენებისგან შემდგარაო.

ერთადერთი ლაქა გადაშლილ, ცარიელ ვაკეზე.

სამი დღის შემდეგ მატო რუჟოს ფერმაში კაცი მოვიდა, ცხენით. ძონძები ეცვა და ძალიან ჭუჭყიანი იყო. ცხე-

ნი - ბებერი ჯაგლაგი, მხოლოდ ძვალი და ტყავი დარჩენილიყო. თვალებზე რაღაც სჭირდა და ბუზები იმ ყვითელ სითხეს ეხვეოდნენ, ცხვირზე რომ ჩამოსდიოდა.

კაცმა ფერმის კედლები დაინახა, რომელიც შავად და უაზროდ აღმართულიყო უზარმაზარი ნახანძრალის შუაგულში. ბებრის პირში შემორჩენილ კბილებს ჰგავდნენ. ცეცხლს დიდი მუხაც გადაეწვა, რომელიც წლების განმავლობაში სახლს უჩრდილავდა. შავ ბრჭყალს ჰგავდა, უბედურების სუნი ასდიოდა.

კაცი უნაგირზე დარჩა. ფერმას ჩორთით სანახევროდ შემოუარა. ჭას მიუახლოვდა. ცხენიდან არ ჩამოსულა, ისე მოხსნა სათლი და შიგ ჩააგდო. გაიგო წყალზე ლითონის ტყლაშუნის ხმა. ფერმას გახედა. დაინახა, რომ მიწაზე გოგონა იჯდა, დანგრეული კედლის ნანგრევებს მიყრდნობოდა და მას უმეტყველო თვალებით მიშტერებოდა. ჭვარტლით დასვრილ სახეზე თვალები ანათებდნენ. წითელი კაბა ეცვა. ყველგან ნაკაწრები ან ჭრილობები ჰქონდა. კაცმა ჭიდან სათლი ამოიღო. წყალი მოშავო ფერისა იყო. ცოტა ხანს სპილენძის კოვზით ურია, მაგრამ სიშავე ვერ მოაცილა. კოვზი აავსო, ტუჩებთან მიიტანა და დიდი ყლუპით მოსვა. ისევ წყალს ჩახედა სათლში. შიგ ჩააფურთხა. შემდეგ ჭას მიაყუდა და ცხენს ფერდებზე ქუსლები შემოჰკრა.

გოგონას მიუახლოვდა. მან თავი აწია, კაცისთვის რომ შეეხედა. არ ეტყობოდა, რამის თქმა თუ უნდოდა. კაცმა ცოტა ხანს უყურა. თვალები, ტუჩები, თმა. შემდეგ ხელი გაუწოდა. გოგონა წამოიწია, ხელს ჩაეჭიდა და წამოდგა, რომ კაცის უკან, ცხენის ზურგზე ამძვრალიყო. ბებერი ჯაგლაგი შეტორტმანდა, თავი ორჯერ გააქნია. კაცი რაღაც უცნაურად შეეხმიანა და ცხენიც დაწყნარდა. როცა მზის მცხუნვარე სხივების ქვეშ ფერმას ჩორთით შორდებოდნენ, გოგონას თავი წინ გადაუვარდა, ჩაეძინა, შუბლით კაცის ჭუჭყიან ზურგს მიეყრდნო.

ნაწილი მეორე

შუქნიშანზე მწვანე აინთო და ქალმა ქუჩა გადაკვეთა. მიდიოდა და ქვევით იყურებოდა, რადგანაც წვიმას ესესაა გადაეღო და მხოლოდ ასფალტის ღრმულებში დარჩენილი გუბეებიღა მიგანიშნებდნენ იმ მოულოდნელი, ადრეული გაზაფხულის წვიმაზე. მოზომილი, ელეგანტური ნაბიჯით მიდიოდა, ვიწრო, შავი კაბა ეცვა, გუბეებს დაჰყურებდა და გვერდს უვლიდა.

როდესაც მოპირდაპირე მხარეს, ტროტუარამდე მიაღწია, შეჩერდა. უკვე საღამო იყო და ქუჩაში ბევრი ხალხი მიმოდიოდა, ზოგს შინ ეჩქარებოდა, ზოგსაც – გარეთ. ცქალს სიამოვნებდა იმის შეგრძნება, რომ ქალაქი მის ირგვლივ დუღდა, ცოტა ხანს ასე იდგა, შუა ტროტუარზე, თითქოს საყვარელმა ადამიანმა მიატოვაო. ვერ კი აეხსნა, რატომ.

შემდეგ მარჯვნივ წასვლა გადაწყვიტა და იქით მიმავალ ხალხს შეუერთდა. აუჩქარებლად მიდიოდა, ვიტრინების გასწვრივ, მკერდზე ხელით შალს იკრავდა. თავისი ასაკის მიუხედავად მყარად და თავდაჯერებულად მიაბიჯებდა. მაღალი იყო, თეთრი თმა ჰქონდა, მაგრამ ახალგაზრდულად ატარებდა; თეთრი, კეფაზე შეკრული თმა, გოგონას, მუქი ფერის სამაგრით დამაგრებული.

ელექტროხელსაწყოების მაღაზიის წინ გაჩერდა და ცოტა ხანს ტელევიზორების რიგს დააკვირდა, ყველა ეკრანი ტელეკომენტატორის ერთსა და იმავე სახეს უაზროდ ამრავლებდა. ქალის ყურადღება ფერების ტონთა სიმრავლემ მიიქცია. რომელიღაც ქალაქს აჩვენებდნენ, სადაც ომი იყო და მანაც გზა განაგრძო. ჯერ მედინას ქუჩა გადაჭრა, შემდეგ დივინო სოკორსოს მოედანი. როცა გალერეა „ფლორენციასთან“ მივიდა, შეჩერდა, სასახლის სიღრმეში სინათლის პერსპექტივას გახედა, რომელიც საპირისპირო მხარეს - ავენიდა 24 ივლისის ქუჩაზე გადიოდა. გაჩერდა. რკინის თაღს ახედა, რომელსაც დიდი შესასვლელი ქმნიდა, რაღაცას ეძებდა, მაგრამ ვერ იპოვა. გალერეის სიღრმეში რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, შემდეგ

ვიღაც კაცი გააჩერა, ბოდიში მოუხადა და ჰკითხა, რა ერქვა იმ ადგილს. კაცმა უპასუხა. მაშინ მან კაცს მადლობა გადაუხადა და სასიამოვნო, ლამაზი საღამო უსურვა. კაცმა გაიღიმა.

მერე გალერეას გაუყვა; მისგან სულ ოციოდე მეტრში, პატარა ჯიხური დაინახა, რომელიც მარცხენა კედლიდან გამოწეულიყო და გალერეის გლუვ პროფილს ცოტათი არღვევდა. ასეთ ჯიხურებში ლოტოს ბილეთებს ყიდიან ხოლმე. მან გზა განაგრძო, მაგრამ როცა ჯიხურს რამდენიმე ნაბიჯით მიუახლოვდა, გაჩერდა. დაინახა, რომ ბილეთების გამყიდველი შიგნით იჯდა, გაზეთი წინ, რაღაცაზე მიედო და ისე კითხულობდა. ჯიხურს ყოველი მხარე შუშის ჰქონდა, გარდა იმისა, რომელიც კედელს ესაზღვრებოდა; შიგნით ბილეთების გამყიდველი და ზემოთ დაკიდებული უამრავი ფერადი ბილეთების ასხმა მოჩანდა. წინა მხარეს პატარა ფანჯარა ჰქონდა, საიდანაც ბილეთების გამყიდველი ხალხს ესაუბრებოდა.

ქალმა თვალებზე ჩამოვარდნილი თმა უკან გადაიგდო. შებრუნდა და ერთი წამით შეყოვნდა, იმ გოგონას დააკვირდა, რომელიც მაღაზიიდან გამოდიოდა და სათამაშო ეტლს მოაგორებდა. შემდეგ ისევ ჯიხურისკენ მობრუნდა.

ბილეთების გამყიდველი კაცი კითხულობდა.

ქალი მიუახლოვდა და ფანჯრისკენ გადაიხარა.

– საღამო მშვიდობისა – თქვა მან.

კაცმა თვალები გაზეთს მოაშორა. რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ქალის სახე რომ დაინახა, აღარაფერი უთქვამს. ასე შესცქეროდა.

– ერთი ბილეთი მინდოდა.

კაცმა დასტურის ნიშნად თავი დაუქნია. შემდეგ კი სრულიად უადგილოდ რაღაც თქვა.

– დიდი ხანია მელოდებით?

– არა, რატომ?

კაცმა თავი ისე გააქნია, ქალისთვის თვალი არ მოუშორებია.

– არაფერი, მაპატიეთ – თქვა მან.

– ერთი ბილეთი მინდა – თქვა ქალმა.

მაშინ კაცი მიბრუნდა და მის ზურგსუკან ჩამოკიდებული ბილეთების ასხმას შეავლო ხელი.

ქალმა მას ერთ, სხვებზე გრძელ ასხმაზე მიუთითა.

– აი ის, იქიდან . . .შეგიძლიათ მომიხიოთ?

– ეს?

– დიახ.

კაცმა ბილეთი მოხია. თვალი ნომერს შეავლო და მოწონების ნიშნად თავი დააქნია. მერე ის ხის დახლზე, მასა და ქალს შორის დადო.

– კარგი ნომერია.

– ასე ფიქრობთ?

კაცს არაფერი უთქვამს, რადგან ქალის სახეს აკვირდებოდა, თითქოს მასში რაღაცას ეძებდა.

– კარგი რიცხვიაო, თქვით, არა?

კაცმა ბილეთს დახედა.

– დიახ, ორი 8 აქვს სიმეტრიულად და ჯამი ლუწია.

– ეს რას ნიშნავს?

– თუ თქვენ რიცხვის შუაში ხაზს გაავლებთ, მარჯვენა ციფრების ჯამი მარცხენა ციფრების ჯამს დაემთხვევა. ჩვეულებრივ, ამას წარმატება მოაქვს ხოლმე.

– თქვენ საიდან იცით?

– ეს ჩემი საქმეა.

ქალმა გაიღიმა.

– მართალი ხართ.

დახლზე ფული დადო.

– თქვენ ბრმა არ ხართ, არა? – თქვა მან.

– უკაცრავად?

– თქვენ ბრმა არ ხართ, არა?

კაცს გაეცინა.

– არა, არ ვარ.

– საინტერესოა. . .

– რატომ უნდა ვიყო ბრმა?

– ჰმ, ლოტოს ბილეთების გამყიდველები ბრმები არიან ხოლმე.

– მართლა?

– შეიძლება ყოველთვის არა, მაგრამ ხშირად. . . ვფიქრობ, ხალხს ეს უნდა მოსწონდეს, რომ ისინი ბრმები არიან.

– რას გულისხმობთ?

– რა ვიცი, ვფიქრობ ეს იმ ამბავთან არის დაკავშირებული, რომ ფორტუნა ბრმაა.

ქალმა ეს თქვა და გაიცინა. ლამაზი სიცილი ჰქონდა, შინაგანი დაღლილობა არ ეტყობოდა.

– ჩვეულებრივ ძალიან მოხუცები არიან ხოლმე და ირგვლივ ისე იყურებიან, როგორც ის ეგზოტიკური ჩიტები, ზოომაღაზიებში.

თავდაჯერებული იყო, ამას რომ ამბობდა.

შემდეგ დასძინა:

– თქვენ სხვანაირი ხართ.

კაცმა თქვა, რომ მართლაც, ბრმა არა, მაგრამ მოხუცი - კი იყო.

– რამდენი წლის ხართ? - ჰკითხა ქალმა.

– სამოცდათორმეტის - თქვა კაცმა.

შემდეგ დასძინა:

მე მომწონს ეს საქმე, პრობლემები არ მაქვს, კარგი სამსახურია.

ეს ხმადაბლა თქვა. მშვიდად.

ქალმა გაიღიმა.

– რა თქმა უნდა. ამის თქმა არ მინდოდა. . .

– ეს სამუშაო მომწონს.

– დარწმუნებული ვარ.

ბილეთი აიღო და შავ, ელეგანტურ ხელჩანთაში ჩააცურა. შემდეგ ერთი წამით უკან მიიხედა, თითქოს რაღაც უნდა შეემოწმებინა ან, უბრალოდ, ენახა, მის უკან ხალხი ხომ არ იცდიდა. ბოლოს, იმის ნაცვლად, რომ კაცს დამშვიდობებოდა და წასულიყო, ეს უთხრა:

– ერთ ჭიქას ხომ არ დალევდით ჩემთან ერთად?

კაცმა ის-ის იყო ფული სალაროში ჩადო. ხელი ჰაერში გაუშეშდა.

– მე?

– დიახ.

– მე . . . არ შემიძლია.

ქალი მას უყურებდა.

– ჯიხური ღია უნდა იყოს, ახლა წასვლა არ შემიძლია, აქ არავინ მყავს რომ . . . მე არ. . .

– მხოლოდ ერთი ჭიქა.

– ვწუხვარ. . . მართლაც არ შემიძლია.

ქალმა თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია, თითქოს გაიგო. მაგრამ შემდეგ კაცისკენ ოდნავ გადაიხარა და უთხრა:

– გამომყევით.

– გთხოვთ. თქვა ისევ კაცმა

მაგრამ ქალმა კვლავ გაიმეორა:

– გამომყევით.

უცნაური რამ მოხდა. კაცმა გაზეთი დაკეცა და ადგა. სათვალე მოიხსნა. რუხი ფერის ქსოვილის ბუდეში შეაცურა. შემდეგ დიდი გულმოდგინებით ჯიხურის დაკეტვა დაიწყო; მოძრაობას მოძრაობა მოჰყვებოდა, ძალიან ნელა, უხმაუროდ, ისე, როგორც ერთ რიგით საღამოს. ქალი იდგა და მშვიდად ელოდა, თითქოს ეს ამბავი მას არ ეხებოდა. ხანდახან ვინმე გამვლელი თუ შემოტრიალდებოდა ხოლმე, რომ მისთვის თვალი შეევლო. იმიტომ, რომ ის მარტო ჩანდა, თანაც ლამაზი იყო. იმიტომ, რომ ახალგაზრდა არ იყო და მარტო ჩანდა. კაცმა შუქი ჩააქრო. პატარა მოძრავი გისოსი მიწამდე ჩამოსწია და მცირე ზომის ბოქლომით ჩაკეტა. მსუბუქი ლაბადა ეცვა, რომელიც მხრებზე თითქოს ეკიდა. ქალს მიუახლოვდა.

– მზად ვარ.

ქალმა გაუღიმა.

– თქვენ იცით, სად შეგვიძლია წასვლა?

– აქეთ. ერთი კაფეა, სადაც წყნარად შეგვიძლია დავსხდეთ.

●

კაფეში შევიდნენ, კუთხეში პატარა მაგიდა იპოვეს და ერთმანეთის პირისპირ დასხდნენ. ორი ჭიქა ღვინო შეუკვეთეს. ქალმა მიმტანს ჰკითხა, სიგარეტი თუ ჰქონდათ. მოწევა დაიწყეს. შემდეგ სხვადასხვა თემებზე ისაუბრეს; მათზეც, ვისაც ლოტოში უმართლებდა. კაცმა თქვა, რომ ისინი, ჩვეულებრივ, საიდუმლოს ვერ ინახავდნენ და ყველაზე სასაცილო კი ის იყო, რომ პირველს ამ ამბავს ყოველთვის ბავშვებს უმხელდნენ ხოლმე. შესაძლოა, ამაში რაღაც მორალიც იყო, მაგრამ მას ამ მორალის გაგება ვერ მოეხერხებინა. ქალმა რაღაც თქვა, რომ არის ისეთი ამბები, რომელსაც მორალი აქვთ და ისეთებიც, რომელთაც არ აქვთ. ცოტა ხანს ასე საუბრობდნენ. შემდეგ კაცმა უთხრა, რომ იცოდა ვინც იყო და რისთვის მისულიყო.

ქალს არაფერი უთქვამს. გაჩერდა, შეიცადა.

მაშინ კაცმა განაგრძო.

– ბევრი წლის წინათ თქვენ დაინახეთ, როგორ მოკლა მამათქვენი სამმა კაცმა, დაუნდობლად. მე ერთადერთი ვარ ცოცხალი იმ სამთაგან.

ქალი მას ყურადღებით შესცქეროდა. მაგრამ ვერ გაიგებდით, რას ფიქრობდა.

– თქვენ აქ ჩემ მოსაძებნად მოხვედით.

მშვიდად ლაპარაკობდა. სულ არ ნერვიულობდა.

– ახლა კი მიპოვეთ.

შემდეგ ცოტა ხანს ჩუმად ისხდნენ, რადგან კაცს აღარაფერი ჰქონდა სათქმელი. ქალიც დუმდა.

●

– ბავშვობაში ნინა მერქვა. მაგრამ ყველაფერი იმ დღეს დამთავრდა. აღარავის დაუძახია ჩემთვის ის სახელი.

– . . . .

– მე მომწონდა: ნინა.

– - - -

– ახლა ბევრი სახელი მაქვს. ეს სულ სხვაა.

– თავიდან რაღაც ობოლთა თავშესაფრის მსგავსი რამ მახსოვს. სხვა არაფერი. შემდეგ მოვიდა კაცი, რომელსაც რიკარდო ურიბე ერქვა და თან წამიყვანა. პროვინციის ერთ პატარ დაბაში აფთიაქი ჰქონდა. არავინ ჰყავდა, არც ცოლი და არც ნათესავები, ყველას უთხრა, რომ მისი ქალიშვილი ვიყავი. იქ რამდენიმე თვის ჩასული იყო. ხალხმაც დაუჯერა. დღისით აფთიაქის უკანა ოთახში ვიყავი. როცა კლიენტებს შორის დროს იხელთებდა, გაკვეთილებს მიტარებდა. არ ვიცი რატომ, მაგრამ არ მოსწონდა, რომ გარეთ მარტო გავსულიყავი. რაც საჭიროა, ჩემგანაც შეგიძლია ისწავლოო, ასე ამბობდა. მე თერთმეტი წლის ვიყავი. საღამოს დივანზე ჯდებოდა და მეც თავის გვერდით მომისვამდა ხოლმე. მე თავს კალთაში ვუდებდი და ვუსმენდი. უცნაურ ამბებს ყვებოდა ომზე. მისი თითები ჩემს თმას ეფერებოდა, წინ და უკან. ნელ-ნელა, შარვლის ქსოვილის ქვეშ სიმაგრეს ვგრძნობდი. შემდეგ შუბლზე მკოცნიდა და დასაძინებლად მტოვებდა. ჩემი ოთახი მქონდა. მას აფთიაქსა და სახლში სისუფთავის დაცვაში ვეხმარებოდი. ვრეცხავდი და საჭმელს ვამზადებდი. კარგი კაცი ჩანდა. რაღაცის ძალიან ეშინოდა, მაგრამ არ ვიცი რისი.

●

ერთხელ ჩემკენ დაიხარა და ტუჩებზე მაკოცა. ერთხანს კიდევ მკოცნიდა, მერე ხელი კაბის ქვეშ შემიცურა. მე არ გავნძრეულვარ. შემდეგ, მოულოდნელად მომწყდა, ტირილი დაიწყო და პატიებას მთხოვდა. საშინლად შეშინებული ჩანდა. მე არაფერი მესმოდა. რამდენიმე დღის შემდეგ მითხრა, რომ საქმრო მიპოვა, ახალგაზრდა კაცი რიო გალვანიდან, მეზობელი სოფლიდან. ის ქვისმთლელი იყო. როგორც კი ასაკი მომიწევდა მასზე დავქორწინდებოდი. მომდევნო კვირა დღეს მოედანზე მის სანახავად წავედი. ლამაზი ბიჭი იყო, მაღალი და გამხდარი, ძალიან გამხდარი. ნელა მოძრაობდა, შეიძლება ავადაც კი იყო ან რაღაც აწუხებდა. ერთმანეთს დავემშვიდობეთ და მე სახლში დავბრუნდი.

ერთი ჩვეულებრივი ამბავია. რაში გინდათ ამის მოსმენა?

კაცმა გაიფიქრა, რომ ის უცნაურად ლაპარაკობდა. ისე, თითქოს მისთვის ლაპარაკი უჩვეულო იყო. ან ისე, თითქოს ეს ენა მისთვის მშობლიური არც კი იყო. სიცარიელეში იყურებოდა და სიტყვებს ეძებდა.

– რამდენიმე თვის შემდეგ, ზამთრის ერთ საღამოს, ურიბე სახლიდან გავიდა, რივიერაში მიდიოდა. ტავერნის მსგავსი რამ იყო, სადაც სულ ფულზე თამაშობდნენ. ურიბე იქ ყოველ კვირას დადიოდა, ყოველთვის ერთსა და იმავე დღეს, პარასკევს. იმ დღეს გვიანობამდე ითამაშა. ბოლოს ხელში ვალეტების პოკერით აღმოჩნდა, მის წინ მაგიდაზე იმდენი ფული იყო, რამდენიც მას მთელი წლის განმავლობაში არ ენახა. ეს ამბავი მასა და გრაფ ტორელავიდს შორის ხდებოდა. სხვებს ცოტა ფული დაედოთ და შემდეგ თამაშისთვის თავი დაენებებინათ. გაჯიუტებული გრაფი კი ფსონის ჩამოსვლას განაგრძობდა. თავის კარ-

ტებში დარწმუნებული ურიბე მას აჰყოლია. იმ მდგომარეობამდე მივიდნენ, როცა მოთამაშენი რეალობის შეგრძნებას კარგავენ. ისე მოხდა, რომ გრაფი თავის *ფაზენდას* - ბელსიტოს ჩამოვიდა. მაშინ ყველა იქ მყოფი გაჩერდა.

თქვენ აზარტულ თამაშებს თამაშობთ?

– არა, თქვა კაცმა.

– მაშინ, არა მგონია, ეს გაიგოთ.

– სცადეთ, ამიხსენით.

– ვერ გაიგებთ.

– არაუშავს.

– ყველაფერი გაჩერდა. და სიჩუმე ჩამოვარდა, თქვენ ამას ვერ გაიგებთ.

●

ქალმა აუხსნა, რომ *ფაზენდა* — ბელსიტო ყველაზე ლამაზი *ფაზენდა* იყო იმ არემარეში. ფორთოხლის ხეების რიგი გორაკის თავზე ადიოდა და იქ, სახლიდან, ოკეანის დანახვა შეიძლებოდა.

– ურიბემ თქვა, რომ ბელსიტოსნაირი ღირებული რამ ჩამოსასვლელად არაფერი ჰქონდა და კარტი მაგიდაზე დააწყო. მაშინ გრაფმა უთხრა, რომ მას აფთიაქის ჩამოსვლა შეეძლო და გიჟივით ახარხარდა. მას ამ ამბის ზოგი დამსწრეც აჰყვა. ურიბე იღიმებოდა. ხელი ისევ კარტზე ედო. თითქოს მათ ემშვიდობებოდა. გრაფმა სიცილი შეწყვიტა, მაგიდაზე გადაიხარა, ურიბეს თვალებში ჩახედა და უთხრა:

– თუმცა, ლამაზი გოგონა გყავს.

ურიბე მაშინვე ვერ მიუხვდა ნათქვამს. იქ მყოფთა მზერას გრძნობდა და აზრის მოკრება უჭირდა. გრაფი წაეხმარა.

– ბელსიტო შენი გოგონას წინააღმდეგ, ურიბე. პატიოსანი წინადადებაა.

მაგიდაზე, ურიბეს ცხვირწინ თავისი ხუთი კარტი დააწყო.

ურიბე მათ ისე დააშტერდა, ხელი არ უხლია.

ხმადაბლა რაღაც ჩაილაპარაკა, მაგრამ ვერავინ შეძლო მერე ჩემთვის მისი ნათქვამი გადმოეცა.

შემდეგ თავისი კარტები მაგიდაზე გრაფისაკენ გააცურა.

გრაფმა იმ საღამოსვე წამიყვანა იქიდან. იმას, რაც მერე გააკეთა, მისგან არავინ ელოდა: თექვსმეტი თვე მოიცადა და თოთხმეტი წლის როცა გავხდი, ჩემზე იქორწინა. მას სამი შვილი გავუჩინე.

●

კაცებს რას გაუგებ. გრაფს იმ ღამემდე მხოლოდ ერთხელ ვყავდი ნანახი. ის კაფეში იჯდა, მე კი პიაცაზე გადავდიოდი.

– ვინ არის ის გოგონა? – უკითხავს ვიღაცისთვის.

და მას უპაუხეს.

გარეთ ისევ წვიმდა და კაფე ხალხით შეივსო. ერთმანეთის ნათქვამი რომ გაეგოთ, ხმამაღლა უნდა ესაუბრათ ან ერთმანეთთან უფრო ახლოს უნდა დამსხდარიყვნენ. კაცმა ქალს უთხრა, რომ ის უცნაურად ყვებოდა, თითქოს სხვისი ცხოვრების შესახებ ლაპარაკობდა.

– ამით რისი თქმა გინდათ?

– ისე ყვებით, როგორც რაღაც უმნიშვნელო ამბებს.

ქალმა თქვა, რომ მისთვის ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. თქვა, რომ თითქოს ენატრებოდა კიდეც ის ყველაფერი, რაც თავს გადახდენოდა. მაგრამ ამას მტკიცე ხმით ამბობდა, სევდის გარეშე. კაცი ცოტა ხანს დუმდა, ირგვლივ მყოფ ხალხს ათვალიერებდა.

სალინასი გაახსენდა. ის ერთ დილას თავის საწოლში მკვდარი იპოვეს, როკას ამბიდან ორი წლის შემდეგ. როგორც თქვეს, მიზეზი გული უნდა ყოფილიყო. შემდეგ ხმა გამოვიდა, თითქოს მისმა მკურნალმა ექიმმა მოწამლა, ნელ-ნელა წამლავდაო, ყოველ დღე, წვეთ-წვეთობით, თვეების განმავლობაში. ნელი აგონია. სასტიკი. ამ ამბის გამოძიება დაიწყეს, მაგრამ ვერაფერი დაადგინეს. ექიმს ასტარტე ერქვა. ომის დროს ცოტა ფული ეშოვნა რაღაც პრეპარატით, რომელიც ციებასა და სხვადასხვა ინფექციას შველოდა. ის ერთი ფარმაცევტის დახმარებით გამოეგონებინა. პრეპარატს „ბოტრანი“ ერქვა. ფარმაცევტს - რიკარდო ურიბე. ურიბე იმ დროს დედაქალაქში მუშაობდა. ომის დამთავრების შემდეგ კი რაღაც უსიამოვნება შემ-

თხვევია პოლიციასთან; ჯერ მისი გვარი იმათ სიაში უპოვიათ, ვინც ჰიენას ჰოსპიტალს ამარაგებდა, შემდეგ კიდევ ვიღაც გამოჩენილა, ვისაც უთქვამს, რომ ჰოსპიტალში მუშაობის დროს დაენახა. თუმცა, ბევრი იმასაც ამბობდა, კარგი კაცი იყოო. ბოლოს ის გამომძიებლების წინაშე აღმოჩნდა, მათთვის ყველაფრის ახსნა მოუწია და როდესაც გაათავისუფლეს, თავისი ნივთები აიღო და ქვეყნის სამხრეთში, პროვინციის ერთ მივარდნილ დაბაში გადავიდა. აფთიაქი იყიდა და თავის საქმეს შეუდგა. მარტო ცხოვრობდა, პატარა ქალიშვილთან ერთად, რომელსაც დულჩე ერქვა. ამბობდა, დედა წლების წინ გარდაეცვალაო. ყველას სჯეროდა მისი.

ასე მალავდა ურიბე ნინას, მანუელ როკას გადარჩენილ ქალიშვილს.

●

კაცი აქეთ-იქით იყურებოდა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა. თავის ფიქრებში წასულიყო.

ბავშვების სისასტიკე, ფიქრობდა ის.

მიწა ისეთი ძალით შევარყიეთ, რომ ბავშვებში სისასტიკე გავაღვიძეთ.

შემდეგ ისევ ქალს მიუბრუნდა. ქალი მას უყურებდა. მისი ხმა გაიგო:

– მართალია, რომ თქვენ ტიტოს გეძახდნენ?

– კაცმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

– მამაჩემს იცნობდით მანამადე?

– . . .

– . . .

– ვიცოდი, ვინც იყო.

– მართალია, რომ პირველმა თქვენ ესროლეთ?

კაცმა თავი გააქნია

– რა მნიშვნელობა აქვს. . .

– თქვენ ოცი წლის იყავით. ყველაზე ახალგაზრდა მათ შორის. მხოლოდ ერთი წელი იბრძოდით. ელ გურე საკუთარი შვილივით გექცეოდათ.

შემდეგ ქალმა ჰკითხა, იმ ყველაფერს თუ იხსენებდა ხოლმე.

კაცი უყურებდა. ბოლოს და ბოლოს, იმ წუთში, მართლაც კვლავ დაინახა მის სახეში იმ გოგონას სახე, რომელიც იქ იყო, ქვემოთ, წამოწოლილი, უზადო, სრულყოფილი. ამ თვალებში ის თვალები დაინახა და ამ მოღლილი სილამაზის სიმშვიდეში კი ის წარმოუდგენელი ძალა იგრძნო. გოგონა გადმობრუნდა და მას შეხედა. გოგონა ახლა აქ იყო. როგორი თავბრუდამხვევი შეიძლება იყოს დრო. სად ვარ? ჰკითხა თავის თავს კაცმა. აქ თუ იქ? ერთი წამით მაინც ვყოფილვარ სხვაგან?

კაცმა თქვა, რომ ახსოვდა, რომ იმ წლების განმავლობაში სულ ამაზე ფიქრობდა.

– წლების განმავლობაში თავს ვეკითხებოდი, რა უნდა მექნა. მაგრამ, სიმართლე თუ გინდათ, ბოლოს ეს მაინც ვერავის გავანდე. არასოდეს არავისთვის მითქვამს, რომ თქვენ იქ იყავით, ქვევით, იმ საღამოს. შეგიძლიათ არც დამიჯეროთ, მაგრამ ეს ასეა. თავიდან ამაზე იმიტომ არ ვლაპარაკობდი, რომ მეშინოდა. მაგრამ დრო გავიდა და გარემოება შეიცვალა. ომზე უკვე აღარავინ ფიქრობდა, ხალხი წინ იყურებოდა, სხვა აღარაფერი უნდოდა, აღარ აინტერესებდა ის, რაც უკვე მოხდა. თითქოს ყველაფერი სამუდამოდ დაიმარხა. ისიც კი ვიფიქრე, რომ უკეთესი იქნებოდა, თუკი ყველაფერს დავივიწყებდი. აღარ გავიხსენებდი. მაგრამ მოულოდნელად ხმა გავარდა, რომ როკას ქალიშვილი ცოცხალი იყო და რომ სადღაც, ქვეყნის სამხრეთში, რომელიღაც სოფელში გადაემალათ. არ ვიცოდი, რა მეფიქრა. წარმოუდგენლად მეჩვენებოდა, რომ იმ ჯოჯოხეთიდან გამოსულიყო, მაგრამ რა იცი, ბავშვები რას მოახერხებენ. ბოლოს ვიღაცამ ნახა; იფიცებოდა, მართლაც ის არისო. ასე მივხვდი, რომ ამ ამბავს თავს ვერასოდე დავაღწევდი. ვერც მე და ვერც სხვები. ამიტომ, სულ ვფიქრობდი, რას დაინახავდა და გაიგებდა ის იმ საღამოს, ფერმაში. ჩემი სახის გახსენებას თუ შეძლებდა. ისიც ძნელი სავარაუდო იყო, რა მოხდებოდა ბავშვში, რომელიც ამგვარი ამბის უშუალო მოწმე აღმოჩნდა. დიდებს აქვთ მეხსიერება, სამართლიანობის განცდა, ხშირად აქვთ შურისძიების გრძნობა. მაგრამ გოგონას? თავი ცოტა ხნით დავირწმუნე, რომ

არც არაფერი არ მოხდებოდა. მაგრამ შემდეგ სალინასი მოკვდა. ისე უცნაურად.

ქალი მას გაუნძრევლად უსმენდა.

– გავაგრძელო? ჰკითხა კაცმა.

– გააგრძელეთ - თქვა მან.

– ხმა გავრცელდა, რომ ამ საქმეში ურიბე იყო გარეული.

ქალი მას უმეტყველო სახით უყურებდა. ტუჩები მოკუმული ჰქონდა.

– შესაძლოა, ეს დამთხვევაც იყო, მაგრამ, რა თქმა უნდა, ძალიან უცნაური. ნელ-ნელა ყველა დარწმუნდა, რომ იმ ბავშვმა რაღაც იცოდა. ახლა ძნელია ამის გაგება, მაგრამ მაშინ უცნაური დრო იყო. გადატანილი ომის მიუხედავად ქვეყანა ძალიან სწრაფად მიიწევდა წინ, ყველაფერი დავიწყებას ეძლეოდა. მაგრამ დარჩა მთელი სამყარო, რომელიც ომიდან ვერ გამოვიდა და იმ ბედნიერ ქვეყანაში ვეღარ შეაბიჯა. ამ სამყაროს ნაწილი მეც ვიყავი. ჩვენ ყველანი ასეთები ვიყავით. ჩვენთვის ჯერ არაფერი დამთავრებულიყო. ის გოგონაც საფრთხეს გვიქმნიდა. ამაზე დიდხანს ვლაპარაკობდით. სალინასის სიკვდილი ვერავის მოენელებინა. ბოლოს გადაწყდა, რომ ის გოგონა როგორღაც უნდა გამქრალიყო. ვიცი, შეიძლება სიგიჟედაც მოგეჩვენოთ, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი ძალიან ლოგიკური იყო; საშინელი და ლოგიკური. მისი მოშორება გადაწყვიტეს. ეს გრაფ ტორელავიდს დაევალა.

კაცი ცოტა ხნით შეჩერდა. თავის ხელებს დააცქერდა. თითქოს მოგონებების დაწყობას ცდილობდა.

– ის მთელი ომის განმავლობაში ორმაგ თამაშს თამაშობდა. მათზე მუშაობდა, მაგრამ ჩვენიანი იყო. ურიბესთან მივიდა და ჰკითხა, როგორ არჩევანს გააკეთებდა, სალინასის მკვლელობის გამო დარჩენილ ცხოვრებას ციხეში გაატარებდა, თუ გაქრებოდა და გოგონას მას დაუტოვებდა. ურიბე მხდალი იყო. თავისთვის, წყნარად რომ ყოფილიყო, ვერავითარი სასამართლო მას ვერ დაიჭერდა. მაგრამ შეეშინდა და წავიდა. გოგონა გრაფს დაუტოვა და წავიდა. დაახლოებით ათი წლის შემდეგ გარდაიცვალა, საზღვარს მიღმა მიკარგულ ერთ პატარა სოფელში. წერილი დატოვა, რომ დამნაშავე არ იყო, რომ ღმერთი მის მტრებს საკადრისად დასჯიდა.

ქალი შებრუნდა, უნდოდა იმ გოგონასთვის შეეხედა, რომელიც დახლს დაყრდნობილი ხმამაღლა იცინოდა. შემდეგ სკამის ზურგზე გადაკიდებული შალი აიღო და მხრებზე მოიხვია.

– გისმენთ –, თქვა მან.

კაცმა განაგრძო.

– ყველას ეგონა, რომ გრაფი გოგონას მოიშორებდა. მაგრამ ასე არ მოქცეულა. ის თავისთან დაიტოვა. შეუთვალეს, რომ ის უნდა მოეკლა. მაგრამ მას არაფერი მოუმოქმედებია, გოგონას ისევ თავის სახლში იფარავდა. ბოლოს განაცხადა, გოგონას გამო არ უნდა ინერვიულოთო და ის ცოლად მოიყვანა. იმ მხარეში დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ ამაზე ლაპარაკობდნენ. შემდეგ ეს ამბავიც დაივიწყეს. გოგონა გაიზარდა და გრაფს სამი შვილი გაუჩინა. გარეთ ის არავის უნახავს. მას დონა სოლს ეძახდნენ. ეს სახელი გრაფმა შეარქვა. მასზე უცნაურ რამეებს ამბობდნენ: არ ლაპარაკობსო, არასოდეს არაფერი უთქვამსო. მას შემდეგ, რაც ურიბემ დატოვა, მისგან ერთი სიტყვაც აღარავის გაუგია. შეიძლება, ეს ავადმყოფობა იყო. შეიძლება, მისი ხასიათი. მიზეზი ვერ აეხსნათ, მაგრამ მისი ეშინოდათ.

ქალმა გაიღიმა. თმა უკან პატარა გოგონასავით გადაიყარა.

●

ამასობაში დროც გასულიყო, მიმტანი მივიდა და ჰკითხა, რამეს ხომ არ მიირთმევდნენ. კაფეში სამნი მოსულიყვნენ, კუთხეში დამსხდარიყვნენ და დაკვრა დაეწყოთ. საცეკვაო მუსიკას უკრავდნენ. კაცმა თქვა, რომ არ შიოდა.

– მე გეპატიჟებით - თქვა ქალმა ღიმილით.

კაცს ყველაფერი აბსურდულად ეჩვენებოდა. მაგრამ ქალმა დაიჟინა. თქვა, რომ დესერტის აღება შეეძლოთ.

– გნებავთ დესერტი?

– კაცმა თანხმობის ნიშნად თავი და-

უქნია.

– კარგი, მაშინ ნამცხვარი. ნამცხვარი ავიღოთ.

მიმტანმა თქვა, რომ კარგი აზრი იყო. შემდეგ ისიც დაამატა, რომ იმდენ ხანს დარჩენილიყვნენ, რამდენიც უნდოდათ, მშვიდად ყოფილიყვნენ. ახალგაზრდა ბიჭი იყო და უცნაური აქცენტით ლაპარაკობდა. დაინახეს, როგორ მიბრუნდა დახლისკენ და ვიღაცას გასძახა, შეკვეთა მისცა.

– აქ ხშირად დადიხართ? - ჰკითხა ქალმა.

– არა.

– კარგი ადგილია.

კაცმა ირგვლივ მიმოიხედა. თქვა, რომ ეს მართლაც ასე იყო.

– მთელი ეს ამბები თქვენმა მეგობრებმა გიამბეს?

– დიახ.

– და თქვენ დაიჯერეთ?

– დიახ.

ქალმა ხმადაბლა რაღაც თქვა. შემდეგ კაცს სთხოვა, თხრობა გაეგრძლებინა.

– რა საჭიროა?

– მომიყევით, გთხოვთ.

– ეს ჩემი ამბავი არ არის, თქვენი ამბავია. თქვენ ის ჩემზე უკეთ იცით.

– რატომ ფიქრობთ ასე?

კაცმა თავი გააქნია.

ისევ ხელებს დააცქერდა.

– ერთ დღეს მატარებელზე დავჯექი და ბელსიტოში ჩამოვედი. უკვე ბევრი წელი გასულიყო. ღამით დაძინებასაც ვახერხებდი და ისეთ ხალხში ვტრიალებდი, ვინც ტიტოს არ მეძახდა. ვიფიქრე, რომ გავიმარჯვე, რომ ომი მართლაც დამთავრდა და რომ მხოლოდ ერთი რამღა დამრჩენოდა გასაკეთებელი. მატარებელზე დავჯექი და ბელსიტოში ჩამოვედი, რათა გრაფისთვის ის ამბავი მეამბნა, სამალავის შესახებ, გოგონაზე და საერთოდ ყველაფერი. მან იცოდა ვინც ვიყავი. ძალიან თავაზიანად შემხვდა, ბიბლიოთეკაში შემიყვანა, სასმელი შემომთავაზა და მკითხა, რა იყო მისვლის მიზეზი. მე ვთქვი:

– იცით იმ ღამის ამბავი, რა მოხდა მატო რუჟოს ფერმაში?

და მან თქვა:

– არა.

– მანუელ როკას ღამე. . .

– არ ვიცი, რაზე ლაპარაკობთ.

ეს ძალიან მშვიდად წარმოთქვა, თითქმის დაყვავებით. თავის თავში დარწმუნებული იყო. არ ყოყმანობდა.

მე მივუხვდი. კიდევ ცოტა ხანს ვილაპარაკეთ სამუშაოზე და პოლიტიკაზეც კი, მერე ავდექი და წავედი. სადგურამდე ბიჭი გამაყოლა. ბიჭი კარგად მახსოვს, იმიტომ, რომ თოთხმეტიოდე წლის იქნებოდა და უკვე მანქანის მართვის უფლებას აძლევდნენ.

– კარლოსი - თქვა ქალმა.

– არ მახსოვს, რა ერქვა.

– ჩემი უფროსი ვაჟიშვილია. კარლოსი.

კაცი რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ მიმტანი ბიჭი მოვიდა და დესერტი მიიტანა. თან ერთი ბოთლი ღვინოც მიაყოლა. თქვა, რომ ტკბილს უხდებოდა და თუ სურვილი ექნებოდათ, გასინჯვა შეეძლოთ. შემდეგ კაფეს მეპატრონე ქალბატონზე რაღაც მოსწრებულად იხუმრა. ქალმა გაიცინა. მის სიცილს თავის ისეთი მოძრაობა ახლდა, რომ წლების წინათ მის მიმართ გულგრილი ვერავინ დარჩებოდა. კაცს ეს არც კი შეუმჩნევია, თავის მოგონებებში იყო ჩაფლული. როდესაც ბიჭი წავიდა, მან კვლავ განაგრძო.

– იმ დღეს, ბელსიტოდან წამოსვლის წინ, როცა იმ გრძელ დერეფანში დაკეტილი კარებს ჩავუარე, ვფიქრობდი, რომ სადღაც იქ, იმ სახლში, ის უნდა ყოფილიყო. მისი ნახვა გამიხარდებოდა. სათქმელი არაფერი მქონდა, მაგრამ ამდენი წლის შემდეგ მისი სახის უკანასკნელად დანახვა მესიამოვნებოდა. სწორედ ამაზე ვფიქრობდი, როდესაც იქ, იმ დერეფანში მივდიოდი. და უცნაური რამ მოხდა. მოულოდნელად ერთ-ერთი კარი გაიღო. ერთი წამით სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ იქიდან ის გამოვიდოდა, გვერდით უსიტყვოდ ჩამივლიდა.

კაცმა თავი მსუბუქად გადააქნია.

– მაგრამ არაფერი მომხდარა. იმიტომ, რომ ცხოვრებას სრულყოფილებამდე ყოველთვის რაღაც აკლია.

ქალს დესერტის კოვზი ეკავა და თეფშზე ნამცხვარს ისე დაჰყურებდა, თითქოს გასაღებად კლიტეს ეძებსო.

•

დრო და დრო მათ მაგიდას ვიღაც ჩაუვლიდა და მათაც თვალს შეავლებდა ხოლმე. უცნაური წყვილი იყო. მათი ქცევიდან ჩანდა, რომ ნაცნობები არ უნდა ყოფილიყვნენ, თუმცა ერთმანეთთან ახლოს ისხდნენ და საუბრობდნენ. ქალს ასე თითქოს კაცისთვის თავის მოსაწონებლად ჩაეცვა. არც ერთ მათგანს თითზე ბეჭედი არ ეკეთა. იფიქრებდით, რომ დიდი ხნის წინათ საყვარლები იყვნენ. ან, და-ძმანი. ვინ იცის.

– კიდევ რა იცით ჩემზე? ჰკითხა ქალმა.

კაცმა გაიფიქრა, რომ იგივე კითხვა დაესვა ქალისთვის. მაგრამ თხრობა უკვე დაეწყო და მიხვდა, რომ ეს მოსწონდა, იქნებ მთელი წლები სწორედ ამ წუთს ელოდა, რათა ერთხელ და სამუდამოდ ეს ამბავი ეამბნა, სწორედ აქ, კაფის ბინდბუნდში, კუთხეში მიმჯდარი სამი მუსიკოსის თანდასწრებით, რომლებიც გაზეპირებულ საცეკვაო მელოდიას უკრავდნენ.

– ათი წლის შემდეგ გრაფი ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ქალს კი დარჩა სამი შვილი, ბელსიტო და კიდევ რაღაცები. მაგრამ ნათესავებს ეს ამბავი არ მოსწონდათ. ამბობდნენ, რომ ის გიჟი იყო და მისი დატოვება სამ ბავშვთან ერთად არ შეიძლებოდა. ბოლოს და ბოლოს საქმე სასამართლომდე მივიდა და მოსამართლემ დაასკვნა, რომ სიმართლე ნათესავების მხარეს იყო. ასე რომ, ის ბელსიტოდან წაიყვანეს და ექიმებს ჩააბარეს სანტერდში, სულით ავადმყოფთა თავშესაფარში. ასეა ხომ?

– გააგრძელეთ.

– თითქოს მის შვილებს მისი წინააღმდეგ მიეცათ ჩვენება.

ქალი ხელში პატარა კოვზს ათამაშებდა. მას თეფშის კიდეზე აწკარუნებდა. კაცმა განაგრძო.

– რამდენიმე წლის შემდეგ ის გაიქცა და გაქრა. ვიღაცამ თქვა, რომ გაქცევა მისმა მეგობრებმა მოუწყვეს და რომ სადღაც ჰყავდათ გადამალული. მაგრამ ვინც მას იცნობდა, ამბობდა, რომ მას მეგობრები არ ჰყოლია. ცოტა ხანს ეძებეს. მერე თავი დაანებეს. მასზე აღარც კი ლაპარაკობდნენ. ბევრი იმაშიც იყო დარწმუნებული, რომ გარდაიცვალა. ბევრი გიჟი იკარგება უგზო-უკვლოდ.

ქალმა თეფშს მზერა მოაშორა.

– თქვენ გყავთ შვილები? იკითხა მან.

– არა.

– რატომ?

კაცმა უპასუხა, რომ შვილები რომ გყავდეს, ამისათვის სამყაროს მიმართ რწმენა უნდა გაგაჩნდეს.

●

– მე იმ წლებში ისევ ფაბრიკაში ვმუშაობდი. ზევით, ჩრდილოეთში. ის ამბავი სულით ავადმყოფთა თავშესაფარსა და მის გაქცევაზე სხვებმა მიამბეს. მათი აზრით, უფრო სარწმუნო ის იყო, რომ ის სადმე, მდინარის ფსკერზე ან ხევში იყო გადაჩეხილი; ისეთ ადგილას, სადაც ადრე თუ გვიან ვინმე მაწანწალა გადააწყდებოდა. მითხრეს, რომ ყველაფერი დამთავრდა. მე არაფერი მიფიქრია. მისი გაგიჟების ამბავმა ჩემზე ძალიან იმოქმედა, მახსოვს, საკუთარ თავს ვეკითხებოდი, როგორი სიგიჟე შეიძლებოდა ჰქონოდა: სახლში ყვირილით დაბორიალობდა თუ უბრალოდ ჩუმად იყო, კუთხეში მიმჯდარი, იატაკის ფიცრებს ითვლიდა, ხელში კი გულწითელას მოგლეჯილი თავი ეჭირა ან თასმას აწვალებდა. როცა გიჟებს არ იცნობენ, მათზე ათასანირ რამეს წარმოიდგენენ ხოლმე.

მერე კარგა ხანს ჩუმად იყო.

– ოთხი წლის შემდეგ ელ გურე გარდაიცვალა. თქვა ბოლოს კაცმა.

ცოტა ხანს ისევ ჩუმად იყო. თითქოს მოულოდნელად თხრობა ძალიან გაუჭირდა.

– ის ზურგში ტყვიით დაჭრილი იპოვეს. ფუნაში იყო პირქვე ჩაფლული, თავის თავლასთან ახლოს.

მან მზერა ქალზე გადაიტანა.

– ჯიბეში ბარათი უპოვეს. ბარათში კი ქალის სახელი ეწერა. მისი.

თითქოს სახელი ჰაერში მოხაზა:

– დონა სოლ.

ხელი ისევ მაგიდაზე დაუვარდა.

– ელ გურეს ხელწერა იყო. ის სახელი მას დაეწერა. დონა სოლ.

სამმა მუსიკოსმა, იქ, კუთხეში, ვალსის მსგავსი რამ წამოიწყო, ნელი ტემპით და ხმადაბლა უკრავდნენ.

– იმ დღიდან მე ველოდებოდი.

ქალს თავი აეწია და მას მიშტერებოდა.

– მივხვდი, რომ მას ვერაფერი შეაჩერებდა და რომ ერთ დღეს ჩემთანაც მოვიდოდა. არასოდეს მიფიქრია, რომ ზურგში მესროდა და ისე მომკლავდა, ან ვინმე უცნობს მომიგზავნიდა. ვიცოდი, რომ თავად მოვიდოდა, სახეში შემომხედავდა, ჯერ დამელაპარაკებოდა. იმიტომ, რომ მე ავხადე სამალავს თავი იმ საღამოს და მერე დავახურე. ეს კი არ დაავიწყდებოდა.

კაცმა კიდევ ცოტა ხანს დააყოვნა, შემდეგ კი მარტო ის თქვა, რისი თქმაც ჯერ ისევ უნდოდა.

– ეს საიდუმლო ჩემში მთელი ცხოვრება ავადმყოფობასავით ვატარე. მე დავიმსხურე, რომ აქ თქვენთან ერთად ვმჯდარიყავი.

შემდეგ კაცი გაჩერდა. გრძნობდა, როგორ გამალებით უცემდა გული თითებსა და საფეთქლებში. გაიფიქრა, რომ კაფეში იჯდა, მოხუცი, გიჟი ქალბატონის პირისპირ, რომელსაც შეეძლო ნებისმიერ წუთს ამდგარიყო და ის მოეკლა. იცოდა, რომ მის წინააღმდეგ არაფერს მოიმოქმედებდა.

ომი დამთავრდა, გაიფიქრა მან.

●

ქალი აქეთ-იქით იყურებოდა და ხანდახან ცარიელ თეფშს შეავლებდა ხოლმე თვალს. არ ლაპარაკობდა და მას შემდეგ, რაც კაცმა თხრობა დაამთავრა, აღარც მას უყურებდა. გეგონებოდათ, რომ მაგიდასთან მარტო იჯდა, ვიღაცას ელოდა.

კაცი სკამის ზურგს მიეყრდნო. ახლა უფრო პატარა და დაღლილი ჩანდა. თითქოს შორიდან აკვირდებოდა, როგორ დაურბოდა ქალს თვალები: კაფეში, მათ მაგიდაზე; მისი მზერა სრულიად სხვადასხვა საგნებზე ჩერდებოდა - ყველაფერზე, ოღონდაც არა მასზე. გაახსენდა, რომ ლაბადა ისევ ეცვა და მაშინ ხელები ჯიბეებში ჩაიწყო. იგრძნო, როგორ დაიქაჩა საყელო კეფასთან, თითქოს ჯიბეში ორი ქვა ჩაიდო. ირგვლივ მყოფ ხალხზე გაიფიქრა და სასაცილოდ მოეჩვენა, რომ იმას, რაც ხდებოდა, ვერავინ ამჩნევდა. ძნელია, მაგიდასთან ორი მოხუცი დაინახო და მიხვდე, რომ მათ იმ წუთას ყველაზე უცნაური რამის ჩადენა შეუძლიათ. მაგრამ ეს სწორედ ასე იყო. იმიტომ, რომ ქალი მოჩვენება იყო და კაცის ცხოვრება კი დიდი ხნის წინ დასრულდა. ამ ხალხმა ეს რომ იცოდეს, გაიფიქრა, ახლა შიში აიტანდა.

შემდეგ დაინახა, როგორ გაუნათდა ქალს თვალები.

ვინ იცის, საით მიდის მისი მოგონებების ძაფი, უთხრა საკუთარ თავს.

სახე უძრავი ჰქონდა, უმეტყველო. მხოლოდ თვალები უციმციმებდა.

ტიროდა?

გაიფიქირა, რომ სულაც არ მოსწონდა იქ, იმდენი ხალხის თანდასწრებით სიკვდილი.

შემდეგ ქალმა ლაპარაკი დაიწყო და ერთმანეთს აი ეს უთხრეს.

- ურიბემ გრაფის კარტები აიღო, თითებით ნელ-ნელ ხსნიდა. არა მგონია, იმ წუთას იმაზე ეფიქრა, თუ რას კარგავდა. დარწმუნებული ვარ, იმაზე ფიქრობდა, თუ რა ვერ მოიგო. მისთვის ბევრს არაფერს წარმოვადგენდი. წამოდგა და იქ მყოფთ დაემშვიდობა, თავაზიანად. არავის გაუცინია, სიტყვის თქმას ვერავინ ბედავდა. იქ, შიგნით, მსგავსი პოკერი არასოდეს ენახათ. ახლა თქვენ გეკითხებით: ეს რატომ არის ნაკლებ სარწმუნო, ვიდრე თქვენი ნაამბობი?

– . . .

– . . . .

– . . .

– მამაჩემი არაჩვეულებრივი მამა იყო. არ გჯერათ? და რატომ? ეს რატომ უნდა იყოს ტყუილი და თქვენი ნაამბობი მართალი?

– . . .

– როგორც არ უნდა ეცადოს ადამიანი, რომ მხოლოდ ერთი ცხოვრებით იც-

ხოვროს, სხვები მასში ათას სხვა ცხოვრებას დაინახავენ, სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ზიანს ვერ აიცილებ.

– . . .

– იცით, რომ იმ საღამოს შესახებ მე ყველაფერი ვიცი და მაინც არაფერი მახსოვს?! იქ ვიყავი, ქვემოთ, ვერ ვხედავდი, რაღაც მესმოდა და ის, რაც მესმოდა ისეთი დაუჯერებელი იყო, რომ სიზმარს ჰგავდა. ყველაფერი იმ ხანძარში გაუჩინარდა. ბავშვებს დავიწყების განსაკუთრებული უნარი აქვთ. მაგრამ შემდეგ მიამბეს და ახლა ყველაფერი ვიცი. მომატყუეს? არ ვიცი. საკუთარი თავისთვის ეს კითხვა არასოდეს დამისვამს. თქვენ სახლში შემოხვედით, თქვენ მას ესროლეთ, შემდეგ მან ესროლა სალინასს, ბოლოს ელ გურემ ავტომატის ლულა მას პირში ჩაუდო და თავი მოკლე და მშრალი ჯერით გაუხეთქა. საიდან ვიცი? ეს მან მიამბო. სიამოვნებით ყვებოდა. ცხოველი. ყველანი ცხოველები იყავით. ომში კაცები ყოველთვის ასეთები ხართ, ღმერთი ამას როგორ შეგინდობთ?

– მორჩით.

– შეხედეთ საკუთარ თავს, თქვენ ნორმალური კაცი ჩანხართ. თქვენ გაცვეთილი ლაბადა გაცვიათ და როდესაც სათვალეს იხსნით, მას, წესისამებრ, თავის ნაცრისფერ ბუდეში დებთ. სასმელს სანამ გადაყლაპავთ, პირში იგუბებთ; თქვენი ჯიხურის შუშები ელვარებს, როცა ქუჩაზე გადადიხართ, ყურადღებით იხედებით ხოლმე მარჯვნივ და მარცხნივ, თქვენ ჩვეულებრივი კაცი ხართ. და მაინც, თქვენ ნახეთ, როგორ კვდებოდა უმიზეზოდ ჩემი ძმა, პატარა ბიჭი, თოფით ხელში, ავტომატის ერთი ჯერი და ყველაფერი დამთავრდა, თქვენ იქ იყავით და არაფერი გააკეთეთ, ოცი წლის იყავით, ღმერთო ჩემო, არ იყავით დაჩაჩანაკებული ბებერი, ოცი წლის ბიჭი იყავით და მაინც არაფერი მოიმოქმედეთ, შეგიძლიათ სიკეთე ქნათ და ამიხსნათ, როგორ შეიძლება მსგავსი რამ მოხდეს? შეგიძლიათ, ამიხსნათ, როგორ შეიძლება ასეთი რამ მართლა მოხდეს, რომ ეს არ არის ავადმყოფის ბოდვა, ეს ის არის, რაც მართლა მოხდა, ამას ამიხსნით?

– ჯარისკაცები ვიყავით.

– ეს რას ნიშნავს?

– ომში ვიბრძოდით.

– რომელ ომში? ომი დამთავრებული იყო.

– ჩვენთვის არა.

– თქვენთვის არა?

– თქვენ არაფერი იცით.

– მაშ თქვენ მითხარით ის, რაც არ ვიცი.

– ჩვენ უკეთესი სამყაროსი გვჯეროდა.

– ეს რაღას ნიშნავს?

– . . .

– რას ნიშნავს?

– უკან დაბრუნება აღარ შეიძლებოდა, როცა ხალხი ერთმანეთის ხოცვას იწყებს, უკან დასაბრუნებელი გზა აღარ არსებობს. ჩვენ არ გვინდოდა იქამდე მისვლა, სხვებმა დაიწყეს, შემდეგ უკვე ვეღარაფერს გავაწყობდით.

– რას ნიშნავს უკეთესი სამყარო?

– სამართლიანი სამყარო, სადაც სუსტები არ უნდა იტანჯებოდნენ ბოროტების მიერ, სადაც ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება ბედნიერი იყოს.

– და თქვენ ეს გჯეროდათ?

– რა თქმა უნდა, მჯეროდა, ჩვენ ყველას გვჯეროდა, ამის მიღწევა შეიძლებოდა და ჩვენ ისიც ვიცოდით, რა გზით.

– თქვენ ეს იცოდით?

– თქვენ ეს უცნაურად გეჩვენებათ?

– დიახ.

– და მაინც, ჩვენ ეს ვიცოდით. ამისთვის ვიბრძოდით, ვიბრძოდით იმისთვის, რომ ის გვეკეთებინა, რაც სამართლიანი იყო.

– ბავშვებისთვის უნდა გესროლათ?

– დიახ, თუ ეს აუცილებელი იყო.

– რას ამბობთ?

– თქვენ ამას ვერ გაიგებთ.

– მე შემიძლია გავიგო, თქვენ ამიხსენით და მე გავიგებ.

– ეს როგორც ნიადაგი, ისეა.

– . . .

– . . .

– . . .

– არ შეიძლება დათესო, თუ გათოხნილი არ არის. ჯერ მიწა უნდა გააპო.

– . . .

– საჭირო იყო, რომ ჯერ ტანჯვა გამოგვევლო, გესმით?

– არა.

– უამრავი რაღაც იყო დასანგრევი, რათა იმის აშენება შეგვძლებოდა, რაც გვინდოდა, სხვა გზა არ იყო, ტანჯვა უნდა შეგვძლებოდა და ტანჯვის დათესვაც, ვინც უფრო მეტ ტკივილს გადაიტანდა, ის მოიგებდა. არ შეიძლება უკეთეს სამყაროზე იოცნებო და იფიქრო, რომ შენ მას მხოლოდ იმიტომ მოგართმევენ, რომ ითხოვ; ისინი არასოდეს დაიხევდნენ უკან, ბრძოლა იყო საჭირო და ამას ერთხელ რომ მიხვდებოდი – მიწას აპობდი, უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, მოხუცები იყვნენ თუ ბავშვები, შენი მეგობრები თუ შენი მტრები; ვერაფერს გააწყობდი, შეუძლებელი იყო ამის ისე კეთება, რომ ტკივილი არ მოგეტანა. როდესაც ყველაფერი აუტანლად საშინელი გვეჩვენებოდა, თავს ჩვენს ოცნებას ვაფარებდით; ვიცოდით, რომ რაც უფრო ძვირად გვიჯდებოდა ყველაფერი, მით უფრო მაღალი იქნებოდა საზღაური, იმიტომ, რომ ჩვენ არ ვიბრძოდით არც ცოტაოდენი ფულისთვის, არც დასამუშავებელი მინდვრისთვის, არც დროშისთვის, ჩვენ ამას უკეთესი სამყაროს შესაქმნელად ვაკეთებდით, გესმით ეს რას ნიშნავს? მილიონობით ადამიანს ნორმალურ ცხოვრებას ვუბრუნებდით, ვაძლევდით იმის შესაძლებლობას, რომ ბედნიერები ყოფილიყვნენ, რომ ღირსეულად ეცხოვრათ და მომკვდარიყვნენ. ისე, რომ ისინი არავის გაეთელა ან არავის აეგდო აბუჩად. ჩვენ არაფერი ვიყავით, ისინი - ყველაფერი იყვნენ, მილიონობით ადამიანი, იქ მათთვის ვიყავით, რა გინდათ, რას უნდა წარმოადგენდეს ბავშვი, რომელიც კედელთან კვდება, ან ათი ბავშვი, ან ასი, საჭირო იყო მიწის გაპობა და ჩვენ ეს გავაკეთეთ, მილიონობით სხვა ბავშვი ელოდა, რომ ჩვენ ეს გაგვეკეთებინა, და ჩვენ ეს გავაკეთეთ, შეიძლება თქვენ უნდა. . .

– თქვენ ამის მართლა გჯერათ?

– რა თქმა უნდა, მჯერა.

– მთელი ამ წლების შემდეგ, მართლა ისევ გჯერათ?

– რატომ არ უნდა მჯეროდეს?

– ომი მოიგეთ. თქვენ ეს სამყარო ახლა უკეთესი გგონიათ?

– ეს არასოდეს მიკითხავს ჩემი თავისთვის.

– არ არის მართალი. ათასჯერ ჰკითხეთ, მაგრამ პასუხის გაცემის გეშინიათ. ისევე, როგორც ის ჰკითხეთ ათასჯერ საკუთარ თავს, რას აკეთებდით იმ საღამოს მატო რუჟოსთან, საომრად მისულნი მაშინ, როცა ომი უკვე დამთავრებული იყო, რათა ცივი გონებით მოგეკლათ კაცი, რომელიც ნანახიც კი არ გყავდათ, ისე, რომ მისთვის უფლება არ მიგეცათ გაესამართლებინათ, უბრალოდ მოგეკლათ, მხოლოდ იმ ერთი მიზეზით, რომ უკვე დაწყებული გქონდათ კაცის კვლა და გაჩერება აღარ შეგეძლოთ. მთელი ამ წლების მანძილზე ათასჯერ ჰკითხეთ საკუთარ თავს, რატომ გაერიეთ ამაში, ამ ომში და ყოველთვის თქვენს თავში თქვენს უკეთეს სამყაროს უბრუნდებოდით, რათა არ გეფიქრათ იმ დღეზე, როცა მამათქვენის თვალები მოგიტანეს და აღარ გენახათ მკვდრები, რომლებიც, ახლაც, ისე როგორც მაშინ, გაუსაძლის მოგონებად გექცათ, სწორედ ეს არის ერთადერთი, ნამდვილი მიზეზი იმისა, რომ თქვენ იბრძოდით, რადგან თქვენ თავში სხვა არაფერი გქონდათ, გარდა იმისა, რომ შური გეძიათ, ახლა უნდა შეძლოთ ამ სიტყვის წარმოთქმა, შურისძიება, თქვენ შურის საძიებლად ხოცავდით, ყველანი შურის საძიებლად ხოცავდით, ამაში სასირცხვილო არაფერია, ეს ერთადერთი წამალია ტკივილის გასაყუჩებლად, სულ ეს არის, რასაც ადამიანმა მიაგნო, რომ არ გაგიჟებულიყო, ეს ნარკოტიკია, რომელიც ბრძოლის უნარს გვაძლევს, მაგრამ თქვენ ამისგან ვეღარ გათავისუფლდით, თქვენ მან მთელი ცხოვრება დაგინგრიათ და მოჩვენებებით აგივსოთ, ომის ოთხი წლის გადასატანად თქვენ მთელი ცხოვრება გაინადგურეთ, ახლა აღარც კი იცით. . .

– არ არის მართალი.

– თქვენ აღარც კი გახსოვთ რა არის ცხოვრება.

– თქვენ რა გინდათ იცოდეთ ცხოვრებაზე?

– რა მინდა ვიცოდე? მე მხოლოდ ბებერი გიჟი ქალი ვარ, არა? მე ვერ გავიგებ, მე მაშინ ბავშვი ვიყავი, რა ვიცი მე ამაზე? მე თქვენ გეტყვით რაც ვიცი, მე ორმოში ვიწექი, მიწისქვეშ, სამი კაცი მოვიდა, მამაჩემი აიყვანეს, შემდეგ. . .

– შეწყვიტეთ.

– არ მოგწონთ ეს ამბავი?

– მე არაფერს ვნანობ, საჭირო იყო ბრძოლა და ჩვენ ვიბრძოდით. ჩვენ სახლში არ გამოვკეტილვართ, ფანჯრები არ ჩაგვირაზავს და იმას არ დავლოდებივართ, რომ ყველაფერი ჩაივლიდა; ჩვენ ჩვენი მიწისქვეშა სოროებიდან გამოვედით და ის გავაკეთეთ, რაც უნდა გაგვეკეთებინა, ეს არის სიმართლე. ახლა შეგიძლიათ ის ილაპარაკოთ, რაც გინდათ, შეგიძლიათ ნებისმიერი მიზეზი მოძებნოთ, რაც გაგიხარდებათ, მაგრამ ახლა უკვე სულ სხვაა, იქ უნდა ყოფილიყავით, რომ გაგეგოთ, თქვენ კი არ იყავით, თქვენ პატარა გოგონა იყავით, არ არის თქვენი ბრალი, მაგრამ თქვენ ამას ვერ გაიგებთ.

– თქვენ ამიხსენით, მე გავიგებ.

– ახლა დაღლილი ვარ.

– დრო იმდენი გვაქვს, რამდენიც გვინდა, თქვენ ამიხსენით, მე მოგისმენთ.

– გთხოვთ, თავი დამანებეთ.

– რატომ?

– გააკეთეთ რაც უნდა გააკეთოთ, მაგრამ მე თავი დამანებეთ.

– რისი გეშინიათ?

– არ მეშინია.

– მაშ რა არის?

– დაღლილი ვარ.

– რისგან?

– . . .

– . . .

– ძალიან გთხოვთ. . .

– . . .

– . . .

– . . .

– ძალიან გთხოვთ

მაშინ ქალმა თვალები დახარა. შემდეგ უკან გადაიწია და წამოდგა, ხელით სკამის ზურგს დაეყრდნო. ირგვლივ მზერა მოავლო, თითქოს იმ წუთში მოულოდნელად აღმოაჩინა სად იყო. კაცი იჯდა: გაუნძრევლად იჯდა, მხოლოდ თითებს იფშვნეტდა ტკივილამდე.

კაფეს სიღრმეში ის სამნი გარდასული დღეების სიმღერებს უკრავდნენ. ვიღაც ცეკვავდა.

ცოტა ხანს ასე იყვნენ, ჩუმად.

შემდეგ ქალმა რაღაც თქვა წლების წინათ მოწყობილ ზეიმზე, რომელსაც ერთი ცნობილი მომღერალიც ესწრებოდა, რომელმაც ის საცეკვაოდ გაიწვია. ხმადაბლა ყვებოდა, რომ უკვე ასაკოვანი იყო, მაგრამ ძალიან მსუბუქად მოძრაობდა და სანამ მუსიკა დამთავრდებოდა, მას ისიც აუხსნა, როგორ იკითხებოდა ქალის ბედი ცეკვის მისეულ მანერაში. შემდეგ უთხრა, რომ ის ისე ცეკვავდა, თითქოს ცოდვას სჩადიოდა.

ქალმა გაიღიმა და ისევ აქეთ-იქით დაიწყო ყურება.

შემდეგ კიდევ სხვაც გაიხსენა. ის საღამო კარგად ახსოვდა, მატო რუჟოს ფერმაზე. თქვა, რომ არ შეშინებია, როდესაც დაინახა, როგორ ახადეს სახურავი სამალავს, მაშინ იმისათვის მობრუნდა, რომ იმ ბიჭისთვის სახეში შეეხედა. ყველაფერი ძალიან ბუნებრივად ეჩვენებოდა, ეს ასეც უნდა მომხდარიყო. თქვა, რომ რაღაცნაირად მოსწონდა კიდეც ის, რაც ხდებოდა. შემდეგ ბიჭმა თავსახური დახურა, მაშინ კი ცხოვრებაში ყველაზე დიდი შიში განიცადა. ისევ სიბნელე, ისევ მის თავს ზემოთ გაჩოჩებული კალათების ხმა, ბიჭის ნაბიჯები, თანდათან რომ შორდებოდა. თავი განწირულად იგრძნო და ამ შიშს ის აღარასოდეს დაუტოვებია. ცოტა ხანს დუმდა, შემდეგ კი დასძინა, რომ ბავშვების გონება უცნაურია. „ვფიქრობ, იმ მომენტში მხოლოდ ერთი რამ მინდოდა: რომ იმ ბიჭს თან წავეყვანე.“

შემდეგ კიდევ ლაპარაკობდა, ბავშვებზე და შიშზე, მაგრამ კაცს ეს არ გაუგია, რადგანაც სიტყვების ერთად დაწყობას ცდილობდა, უნდოდა ქალისთვის რაღაც ეთქვა, უნდოდა მას რაღაც სცოდნოდა. უნდოდა ეთქვა, რომ იმ საღამოს, როდესაც მას უყურებდა, იმ ორმოში შეყუჟულს, ისე უზადოსა და უნაკლოს – *უნაკლოს* –, მან რაღაც სიმშვიდის მსგავსი განიცადა, ასეთი

რამ აღარასოდეს უგრძვნია, ან, შესაძლოა, მხოლოდ მაშინ გრძნობდა, როცა პეიზაჟს უყურებდა ან ცხოველს თვალებში უცქერდა. უნდოდა ქალისთვის ის შეგრძნება ზუსტად აეხსნა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ *სიმშვიდის* გარდა სხვა სიტყვა თავში არ მოსდიოდა, მხოლოდ ერთი რამ – თავს ისე გრძნობდა, როგორც რაღაც საოცარი *სრულყოფილების* წინაშე. ადრეც ბევრჯერ განეცადა, რა რთული იყო თავისი სახელი დაერქმია იმისათვის, რაც ომში გადახდენოდა, თითქოს ეს ჯადო იყო, რის გამოც იმათ, ვინც გადარჩა, მოყოლა არ შეეძლოთ, ხოლო იმათ, ვისაც მოყოლა შეეძლო, სიცოცხლე არ ეწერა. ქალს შეხედა და დაინახა, რომ ის ლაპარაკობდა, მაგრამ მისთვის არ მოუსმენია, რადგანაც ისევ ფიქრებმა წაიღო, ის კი ძალიან დაღლილი იყო, რომ ფიქრებისთვის წინააღმდეგობა გაეწია. სკამის ზურგს ეყრდნობოდა. მერე ატირდა, სირცხვილის განცდა არ ჰქონია, არც სახე დაუმალავს ხელებში, არც თავის შეკავება უცდია, სახე ტირილისაგან ემანჭებოდა; ცრემლები პერანგის საყელომდე ჩამოუგორდა, კისერზე ჩამოსდიოდა, კისერზე, სხვა მოხუცების კისერივით თეთრი და ცუდად გაპარსული რომ ჰქონდა.

ქალი გაჩერდა. თავიდან ვერ შეამჩნია, რომ კაცი ტიროდა, ახლა აღარ იცოდა, რა უნდა ექნა. მაგიდაზე ოდნავ გადაიხარა და ჩუმად რაღაც ჩაიბუტბუტა. შემდეგ ინსტიქტურად სხვა მაგიდებისაკენ შებრუნდა და დაინახა, რომ ორი ახალგაზრდა, რომლებიც ახლოს ისხდნენ, კაცს უყურებდნენ, ერთ-ერთი მათგანი იცინოდა. მაშინ მას რაღაც დაუყვირა და როცა ბიჭი მისკენ მიბრუნდა, ქალმა მას თვალებში შეხედა და ხმამაღლა უთხრა,

– ნაძირალა. . .

შემდეგ კაცის ჭიქა ღვინით აავსო და ახლოს მიუწია. აღარაფერი უთქვამს. ისევ სკამის ზურგს მიეყრდნო. კაცი ისევ ტიროდა. ქალი ხანდახან ბოროტ მზერას აპარებდა აქეთ-იქეთ, როგორც მდედრი ცხოველი თავისი პატარებით სავსე ბუნაგის წინ.

●

– ვინ არიან? ის ორნი? – იკითხა ქალბატონმა, რომელიც დახლს იქით იდგა. მიმტანი მიხვდა, რომ იმ ორ მოხუცზე ლაპარაკობდა.

– ყველაფერი კარგად არის - თქვა მან.

– მათ იცნობ?

– არა.

– ცოტა ხნის წინ კაცი ტიროდა.

– ვიცი.

– მთვრალები არ უნდა იყვნენ. . . არა, ყველაფერი რიგზეა.

– ერთი მითხარი რა, აქ უნდა მოვიდნენ რომ . . .

მიმტანს ეჩვენებოდა, რომ არაფერი იყო ცუდი იმაში, თუ კაფეში ვიღაც ტიროდა. მაგრამ სიტყვა არ უთქვამს. ბიჭს უცნაური აქცენტი ჰქონდა. დახლზე სამი ცარიელი ჭიქა დადგა და მაგიდებისკენ გაბრუნდა.

ქალბატონი ორი მოხუცისკენ შეტრიალდა და ცოტა ხანს უცქირა.

– ისე, ლამაზი ქალი უნდა ყოფილიყო. . .

თქვა ხმამაღლა, თუმცა მსმენელი არავინ ჰყავდა.

ახალგაზრდობაში ის კინომსახიობობაზე ოცნებობდა. ყველა ამბობდა, რომ თავდაჯერებული გოგონა იყო და სიმღერა და ცეკვა მოსწონდა. კარგი ხმა ჰქონდა, საკმაოდ გავრცელებული, მაგრამ კარგი. შემდეგ კი კოსმეტიკური ფირმის წარმომადგენელს შეხვდა, რომელმაც ის ღამის საცხის რეკლამისთვის ფოტოების გადასაღებად დედაქალაქში წაიყვანა. მოკეცილი, კონვერტში ჩადებული სურათები და ცოტა ფული შინ გააგზავნა. რამდენიმე თვე სიმღერაც სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ფოტოები უკეთ მიდიოდა. ლაქები, პომადები, ერთხელ, რაღაც თვალის წვეთებიც. კინოზე უარი თქვა. როგორც ამბობდა, იმის გამო, რომ ყველასთან უნდა დაწოლილიყო, მას კი ეს არ უნდოდა. ერთ დღეს გაიგო, რომ ტელევიზიის დიქტორს ეძებდნენ. სინჯებზე წავიდა. თავდაჯერებული იყო, ლამაზი და თანაც ჩვეულებრივი ხმა ჰქონდა,

ამიტომაც პირველი სამი გამოცდა გადალახა და ბოლოს დაწუნებულთა შორის მეორე აღმოჩნდა. მერე უთხრეს, რომ მოეცადა, ვინიცობაა ადგილი გათავისუფლებულიყო. მან მოიცადა. ორი თვის შემდეგ რადიოში დაიწყო პროგრამების გამოცხადება, პირველ ეროვნულ არხზე.

ერთ დღეს ისევ შინ დაბრუნდა.

კარგად გათხოვდა.

ახლა კაფე ჰქონდა, ცენტრში.

ქალი – იქ, მაგიდასთან – ოდნავ წინ გადაიხარა. კაცი აღარ ტიროდა. მას ჯიბიდან დიდი ცხვირსახოცი ამოეღო და თვალები შეემშრალებინა.

– მაპატიეთ, თქვა მან.

შემდეგ საუბარი აღარ გაუგრძელებიათ.

თითქოს მართლაც აღარაფერი ჰქონდათ გასარკვევი.

უცებ ქალი გადაიხარა კაცისკენ და უთხრა:

– ცოტა სულელური რამ უნდა გკითხოთ.

კაცმა მას შეხედა.

ქალი ძალიან სერიოზული ჩანდა.

– ჩემთან დაწვებოდით?

კაცი არ განძრეულა, უსიტყვოდ უყურებდა,

ქალს ერთი წამით შეეშინდა, იქნებ არაფერი უთქვამს, იქნებ ის ფრაზა მხოლოდ გაიფიქრა, და ხმამღლა წარმოთქმა კი ვერ მოახერხა. ამიტომაც ისევ გაიმეორა, ნელა.

– ჩემთან დაწვებოდით?

კაცმა გაიღიმა.

– მე ბებერი ვარ -, თქვა მან.

– მეც.

– . . .

– . . .

– ვწუხვარ, მაგრამ ბებრები ვართ, თქვა ისევ კაცმა.

ქალი მიხვდა, რომ ამაზე არ უფიქრია და რომ სათქმელი აღარაფერი ჰქონდა. მაშინ თავში სხვა აზრმა გაუელვა და თქვა:

– მე გიჟი არა ვარ.

– არა აქვს მნიშვნელობა, გიჟი ხართ თუ არა. მართლა. ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს. საქმე ეს არ არის.

ქალი ცოტა ხანს გაჩერდა, ჩაფიქრდა და მერე თქვა:

– ნუ ღელავთ, სასტუმროში შეგვიძლია წასვლა, თქვენ თვითონ აირჩიეთ. ისეთი სასტუმრო, სადაც არავინ იცის, ვინ ვართ.

მაშინ კაცს მოეჩვენა, რომ რაღაცას მიხვდა.

– თქვენ გინდათ, რომ სასტუმროში წავიდეთ? — ჰკითხა მან.

– დიახ, მინდა. სასტუმროში წამიყვანეთ.

– სასტუმროს ოთახი – ნელა წარმოთქვა კაცმა.

ეს ისე თქვა, თითქოს თუ ხმამაღლა იტყოდა, მისი წარმოდგენაც გაუადვილდებოდა, მას დაინახავდა, იმასაც მიხვდებოდა, იქ სიკვდილი მოეწონებოდა თუ არა.

ქალმა უთხრა, რომ მას საფრთხე არ ემუქრებოდა.

– არც მეშინია, თქვა მან.

„მე აღარასოდეს შემეშინდება“, გაიფიქრა.

ქალს გაეცინა, რადგან კაცი ჩუმად იყო და ეს თანხმობის ნიშნად მოეჩვენა.

ჩანთაში რაღაც მოძებნა, შემდეგ საფულე ამოიღო, მაგიდაზე დადო და კაცისაკენ გააცურა.

– აი, გადაიხადეთ. იცით, არ მომწონს ქალები, რომლებიც კაფეში იხდიან, მაგრამ თქვენ მე დაგპატიჟეთ და ახლა მე უნდა გადავიხადო. გარეთ რომ გავალთ, დამიბრუნეთ.

კაცმა საფულე აიღო.

ქალმა წარმოიდგინა მოხუცი კაცი, რომელიც ატლასის შავი საფულიდან ფულს იხდიდა.

●

ქალაქი ტაქსით გაიარეს, რომელიც ახალი ჩანდა და სკამებზე ისევ ცელოფანი ჰქონდა გადაკრული. ქალი მთელი გზა ფანჯრიდან იყურებოდა. ამ მხარეში ადრე არ ყოფილა.

იმ სასტუმროს წინ ჩამოვიდნენ, რომელსაც „კალიფორნია“ ერქვა. აბრა შენობის მთელ ოთხ სართულს ვერტიკალურად მიყვებოდა. დიდი წითელი ასოები სათითაოდ ინთებოდა; წარწერა

დასრულდებოდა თუ არა, ცოტა ხანს ციმციმებდა, მერე მთლიანად ქრებოდა და პირველი ასოდან ხელახლა იწყებოდა. კ. კა. კალ. კალი. კალიფ. კალიფო. კალიფორ. კალიფორნ. კალიფორნი. კალიფორნია. კალიფორნია. კალიფორნია. კალიფორნია. სიბნელე.

ცოტა ხანს იქ გაჩერდნენ, ერთმანეთის გვერდით, რათა სასტუმროსთვის გარედან შეეხედათ. შემდეგ ქალმა თქვა „წავიდეთ“ - და შესასვლელისკენ გაემართა. კაცი მას მიჰყვა.

მისაღებში მორიგემ საბუთებს დახედა და იკითხა, ერთსაწოლიანი ოთახი ხომ არ უნდოდათ. ხმაში არანაირი ინტონაცია არ ჰქონდა.

– ის, რაც არის, უპასუხა ქალმა.

ის ოთახი აიღეს, მესამე სართულზე, რომელიც ქუჩას გადაჰყურებდა. მისაღების მორიგემ მოუბოდიშა, რომ ლიფტი არ იყო და ჩემოდნების ატანა შესთავაზა.

– ჩემოდნები არ გვაქვს, დავკარგეთ, თქვა ქალმა.

კაცმა გაიღიმა. კარგი კაცი იყო. დაინახა, როგორ გაუჩინარდნენ ისინი მაღლა, კიბეზე და მათზე ცუდად არ უფიქრია.

ოთახში შევიდნენ და არცერთ მათგანს შუქის ანთება არ უცდია. გარედან შემოსული აბრის სინათლე კედლებსა და საგნებს წითლად, თვალისმომჭრელად ანათებდა. ქალმა ჩანთა სკამზე დადო და ფანჯარას მიუახლოვდა. გამჭვირვალე ფარდები გადასწია და რამდენიმე წუთი ქვემოთ იხედებოდა, ქუჩაში. მანქანები კანტი-კუნტად დადიოდნენ, აუჩქარებლად. მოპირდაპირე სახლში განათებული ფანჯრები მოჩანდა, მათ მიღმა პატარა ოჯახური სამყაროს ცხოვრება გრძელდებოდა, მხიარული და ტრაგიკული – ჩვეულებრივი. ქალი შემობრუნდა, შალი მოიძრო და მაგიდაზე დადო. კაცი იცდიდა, შუა ოთახში იდგა. ფიქრობდა, რა ექნა, საწოლზე ჩამომჯდარიყო თუ სასტუმროს ოთახზე რაღაც ეთქვა, მაგალითად, რომ ის სულაც არ იყო ცუდი. ქალმა დაინახა, როგორ იდგა კაცი იქ, ლაბადაში და მოეჩვენა, რომ ყველა დროის ფილმის იმ გმირს ჰგავდა, რომელიც მარტო იყო. მას მიუახლოვდა, ლაბადა შეუხსნა, მხრებზე ჩამოუცურა. ის ძირს დაეცა. ძალიან ახლოს იყვნენ. ერთმანეთს თვალებში შეხედეს და ეს მათ ცხოვრებაში მეორედ მოხდა. შემდეგ კაცი ძალიან ნელა ქალის მხარეს გადაიხარა, გადაწყვიტა მისთვის ტუჩებში ეკოცნა. ქალი არ განძრეულა და ხმადაბლა თქვა: ნუ იქნებით სასაცილო. კაცი გაშეშდა და ასევე დარჩა, ცოტა წინ გადახრილი, დარწმუნებული იყო, რომ ეს ყველაფრის დასასრული იყო. მაგრამ ქალმა ნელ-ნელა მკლავები ასწია, ერთი ნაბიჯი წინ გადადგა და მას მოეხვია, ჯერ ნაზად, შემდეგ კი მთელი ძალით მიეკრა, თავი მხარზე დაადო, მისი დაძაბული სხეული კაცის სხეულს ეძებდა. კაცს თვალები არ დაუხუჭავს, ხედავდა მის წინ როგორ ციმციმებდა ფანჯარა. ქალის სხეულს გრძნობდა, რომელიც მას ეკვროდა, მისი მსუბუქი ხელები თმაზე ეხებოდა. თვალები დახუჭა. ქალს მკლავები შემოხვია და მთელი თავისი მოხუცის ძალით თავისკენ მიიზიდა.

როდესაც ქალმა გახდა დაიწყო, ღიმილით უთხრა:

– დიდ რამეს ნუ ელით.

როდესაც ის ქალს დააწვა, ღიმილით უთხრა:

– თქვენ ძალიან ლამაზი ხართ.

●

მეზობელი ოთახიდან რადიოს სუსტი ხმა გამოდიოდა. დიდ საწოლში ზურგზე დაწოლილი სრულიად შიშველი კაცი ჭერს უყურებდა და ფიქრობდა, თავბრუ დაღლილობის გამო ესხმოდა თუ ღვინისგან. მის გვერდით გაუნძრევლად იწვა ქალი, თვალებდახუჭული, მისკენ გადმობრუნებული, თავი ბალიშზე ედო. ერთმანეთისთვის ხელი ჩაეჭიდათ. კაცს უნდოდა, კიდევ მოესმინა, როგორ ლაპარაკობდა ქალი, მაგრამ ისიც ესმოდა, რომ სათქმელი აღარაფერი იყო და რომ იმ წუთში ნებისმიერი სიტყვა სასაცილო იქნებოდა. ამიტომ ჩუმად იყო, ძილს

ნებდებოდა, ძილი ფიქრებს ურევდა და იმ საღამოს ბუნდოვანი მოგონება თან მიჰქონდა. გარეთ იდუმალი ღამე უსასრულო დროში ინთქმებოდა. გაიფიქრა, რომ ქალის მადლიერი უნდა ყოფილიყო, იმიტომ, რომ იქამდე ხელჩაკიდებული მიიყვანა, ნაბიჯ-ნაბიჯ, როგორც დედამ შვილი. იცოდა, ეს როგორ გაეკეთებინა, აუჩქარებლად. ახლა ის, რაც რჩებოდა, ძნელი აღარ უნდა ყოფილიყო.

ქალს ხელზე ხელი მოუჭირა და ქალმაც უპასუხა. კაცს უნდოდა მისკენ გადაბრუნებულიყო და მისთვის შეეხედა, მაგრამ მხოლოდ ხელი გაითავისუფლა და ქალს ზურგი შეაქცია. კაცს მოეჩვენა, რომ ქალი სწორედ ამას ელოდა მისგან. ეს ის მოძრაობა იყო, რომელიც ქალს ფიქრის საშუალებას მისცემდა, იმ ბოლო მოძრაობის გადასაწყვეტად მას მარტო დატოვებდა. იგრძნო, როგორ ერეოდა ძილი. მერე ისევ რაღაც აზრმა გაურბინა, შეწუხდა, რომ ასე შიშველს ნახავდნენ და ყველა მას დაუწყებდა ყურებას. მაგრამ ქალისთვის ამის თქმა ვერ გაბედა. მისკენ თავი ოდნავ შეაბრუნა, ისე, რომ ქალის დანახვას ვერ შეძლებდა და უთხრა:

– მინდა, იცოდეთ, ჩემი სახელია პედრო კანტოსი.

ქალმა ის ნელა გაიმეორა

– პედრო კანტოსი.

– დიახ. თქვა კაცმა.

შემდეგ თავი ისევ ბალიშზე დადო და თვალები დახუჭა.

ნინა ცოტა ხანს გონებაში ამ სახელს იმეორებდა. უკიდეგანო შორეთში მისრიალებდა, მინის პატარა ბურთულასავით. გადახრილ ლანგარზე.

შებრუნდა, რომ თავისი ჩანთისთვის შეეხედა, რომელიც სკამზე იდო, კართან ახლოს. გაიფიქრა, ამდგარიყო და მოეტანა, მაგრამ ეს არ გაუკეთებია. ასე დარჩა, საწოლში. ფიქრობდა ბილეთების ჯიხურზე, კაფეს მიმტანზე, ტაქსიზე, ცელოფანგადაფარებულ სკამებზე. ისევ პედრო კანტოსი დაინახა, ის ტიროდა, ხელები კი ლაბადის ჯიბეებში ჩაეწყო. მერე ის ისევ დაინახა, მას რომ ეფერებოდა და სუნთქვას ვერ ბედავდა. „ეს დღე არასდროს დამავიწყდება“ - უთხრა საკუთარ თავს.

შემდეგ გადაბრუნდა, პედრო კანტოსისკენ მიიწია და ის გააკეთა, რისთვისაც ცოცხლობდა. მის მხრებთან მოიხარა, მუხლები ზემოთ, მკერდისკენ ასწია, ტერფები გაასწორა, ფეხები მჭიდროდ მიტყუპული იგრძნო, ორი ბარძაყი ნაზად მიკვროდა ერთმანეთს, ორი მუხლი – ერთმანეთის გვერდიგვერდ ორი ფინჯანივით დაეწყო. სიცარიელით დაშორებული კოჭები. ცოტა მხრებში მოიხარა და ხელები ფეხებს შორის ჩააცურა. დაიხედა. დაინახა ბებერი გოგონა. გაიღიმა. ნიჟარის არსება და ნიჟარა.

მაშინ გაიფიქრა, რომ რადგან ცხოვრების არსი გაუგებარია, ჩვენ, ალბათ, მას ერთადერთი სურვილით გავივლით, რომ იმ ჯოჯოხეთში დავბრუნდეთ, რომელმაც შეგვქმნა და იმის გვერდით ვიცხოვროთ, ვინც ერთხელ ამ ჯოჯოხეთიდან გვიხსნა. საკუთარ თავს ჰკითხა, საიდან მოდიოდა საშინელისადმი ასეთი აბსურდული ერთგულება, მაგრამ მიხვდა, რომ პასუხი არ ჰქონდა. მხოლოდ ის ესმოდა, რომ არაფერია იმ ინსტიქტზე უფრო ძლიერი, რომ იქ დაბრუნდე, სადაც ნაკუწებად გაქციეს, იმ წამში, რომელსაც წლების განმავლობაში სულ უბრუნდებოდი. მხოლოდ იმაზე ფიქრობდე, რომ ის, ვინც ერთხელ გადაგარჩინა, ამის გაკეთებას ყოველთვის შეძლებს. გრძელ ჯოჯოხეთშიც, რომელიც ზუსტად იმას ჰგავს, საიდანაც მოდიხარ. მაგრამ რომელიც მოულოდნელად მოწყალე აღმოჩნდა. და უსისხლო.

აბრა გარეთ წითელ, მოციმციმე შუქს აფრქვევდა. ცეცხლმოკიდებული სახლის ალს წააგავდა.

ნინამ შუბლი პედრო კანტოსის ზურგს მიადო. თვალები დახუჭა და დაიძინა.

იტალიურიდან თარგმნა

მაია ჯავახიძემ

გეორგ ზიმელი

გეორგ ზიმელი პირველია, ვინც ადამიანის შინაგანი სამყარო საზოგადოებრივი მეცნიერების ფაქტად აქცია, ხოლო სოციოლოგია - „დღევანდელი დღის“ შემსწავლელ დისციპლინად. მის უმთავრეს ინტერესს ადამიანის ყოველდღიურობის ანალიზი და ამ გზით „დროის სულის“ მოხელთება წარმოადგენდა. ზიმელი პირველი იყო მათ შორის, ვინც დაიწყო ფიქრი ფულისა და მოხმარების ფსიქო-სოციალური გავლენების შესასახებ, შეეცადა ამ კუთხით გაეანალიზებინა მოდა და ტურიზმი, ეპოვა კავშირი სიყვარულსა და დროის აღქმას შორის. ამ მოვლენათა ცენტრში მკვლევარისთვის დიდი ქალაქი - მეტროპოლისი - დგას, სადაც მარადიულად იკვეთებიან ცხოვრებისეული ნაკადები.

გეორგ ზიმელი (1858-1918) ბერლინში დაიბადა. როგორც იურგენ ჰაბერმასი თავის ესეში „ზიმელი, როგორც დროის დიაგნოსტიკოსი“ (1986) აღნიშნავს, იგი საუკუნის ბოლოს, ე .წ. ფინ დე სიეცლე-ს პირმშოა, ბურჟუაზიული განათლების, კანტის, ჰეგელის, შილერისა და გოეთეს ინტლექტუალური ეპოქის უმცროსი თანამედროვე. მაგრამ ეს ის პერიოდიცაა, როდესაც ეს თაობა ნელ-ნელა ადგილს უთმობს ნიცშესა და შოპენჰაუერს. ზიმელთან ჯერ კიდევ შეიგრძნობა წარსულის სუნთქვა, თუმცა სიახლის ჰორიზონტებიც მოჩანს. ჰაბერმასი გამოკვეთს ზიმელის განსაკუთრებულ წვლილს მომდევნო თაობების ფილოსოფიურ აზროვნებაში, და მას შემაკავშირებელ, გარდამავალ რგოლად მოიაზრებს. ზიმელის ნაშრომებით პირდაპირ თუ არაპირდაპირ საზრდოობენ ისეთი სოციალოგები და ფილოსოფოსები, როგორებიც არიან მაქს ვებერი, ტეოდორ ადორნო და სხვ.

ჰაბერმასი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ზიმელის მიერ რეაბილიტირებულ ესეისტურ ფორმაზე, რომელიც სამეცნიერო აზროვნების შეუცვლელი ინსტრუმენტი გახდა. როგორც ადორნო აღნიშნავს, ეს არის შუალედური ფორმა ესსესა და მეცნიერებას შორის, რომლის წყალობითაც მეცნიერების დოქტრინულ ლოგიკაში ცოცხალი საზროვნო ნაკადები იჭრება. ადორნო მიიიჩნევს, რომ ესსეს ფორმა ღირებულია იმდენად, რამდენადაც იგი ავტორისთვის ერთგვარი გათავისუფლების ფორმაა: მკვლევარი არ მიინერს აღმოჩენის შედეგებს, როგორც ეს მეცნირებაში ხდება. ხელოვნებისა და მეცნიერებისგან განსხვავებით, ესსში იკითხება ბავშვური აღფრთოვანება სხვათა ნამუშევრით, რასაც ავტორი ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე გვიზიარებს, მიუხედვად იმისა, რომ იგი შიშის ზარს სცემს ნებისმიერ სტრუქტურირებულ გონებას.

ზიმელი „სიცოცლხის ფილოსოფიის“ ერთერთი გამორჩეული წარმომადგენელია. იგი უპი-

რატესად კულტურის ფილოსოფიის საკითხებზე მუშაობს. მას ეკუთვნის ცნობილი ნაშრომი „კულტურის ტრაგედია“, სადაც იგი კულტურის დინამიკას სულის დინამიკას უკავშირებს და არა უშუალოდ ფორმის განვითარებას. მეცნიერი აღწერს კულტურის თანამედროვე ვითარებას, როცა სული პარადოქსული შეკითხვის წინაშე: დგება: არის თუ არა სული საკუთარ სამფლობელოში კვლავ ბატონ-პატრონი, რამდენად შესწევს შინაგან და გარეგან ცხოვრებებს შორის სიმაღლის, მნიშვნელობისა და რიტმის ჰარმონიზების ძალა.

ცხოვრებას ზიმელი მოიაზრებს ჩამოყალიბების შემოქმედებითი პროცესის სახით, რომელიც არ დაიყვანება რაციონალურ შემეცნებამდე. მისი წვდომა მხოლოდ შინაგანი განცდით, ინტუიტიურადაა შესაძლებელი. ზიმელის ხედვით, სწორედ ამგვარი ცხოვრების განცდა განსხეულდება კულტურის სხვადასხვა ფორმებად. ავტორისთვის განსაკუთრებით საიანტერსოა ცხოვრების ინდივიდუალური გამოხატვის ფორმები. იგი არაერთ ესსეს უძღვნის კულტურული პროცესის ისეთ განუმეორებელ ისტორიულ ფიგურებს, როგორიცაა გოეთე, რემბრანტი, კანტი, შოპენჰაური და სხვ.

გეორგ ზიმელის შემეცნებით-კულტუროლოგიური შეხედულებები არც ქართული მოდერისტებისთვის დარჩენილა ყურადღების მიღმა. გრიგოლ რობაქიძე გერმანული „ძალის კულტისა“ და სულიერი კრიზისის რეფლექსირებისას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ზიმელის სოციალურ დაკვირვებებს: „სოციალურ-ფსიქიკური მოვლენების ღრმა და ფაქიზი ანალიტიკოსი გეორგ ზიმელი თავის კარგად გააზრებულ კვლევებში არაერთხელ მიგვითითებდა მთლიანი ცხოვრების ინდუსტრიალიზაციის საფრთხეებზე, რომელსაც ახალ გერმანიაში არ ახლავს პარალელურად სულის შინაგანი განვითარება“. „ომი და კულტურის“ ქართველი ავტორისთვის ღირებულია ზიმელის, როგორც ინტელექტუალის მორალური პოზიციაც. როგორც გრიგოლ რობაქიძე წერს, „1914 წლის 7 ნოემბერს ცნობილმა გერმანელმა მოაზროვნემ გეორგ ზიმელმა სტრასბურგში წარმოთქვა სიტყვა „გერმანიის ბედის“ შესახებ“. ეს სიტყვა, გრიგოლ რობაქიძის თვალთახედვით, მნიშვნელოვანია გერმანიის სულიერი კრიზისის დასახასიათებლად. სოციალური მოვლენების ნამდვილად გაწაფული ანალიტიკოსი, გეორგ ზიმელი, ამ მსოფლიო ხანძრის დროსაც კი არ ღალატობს „ინტელექტუალურ სინდისს“. კულტურის და სახელოვნებო მოვლენების წვდომისას, ქართველი მწერალი ხშირად მიმართავს ზიმელისეულ ხედვებს.

ზიმელი ფორმალური სოციოლოგის ფუძემდებელია. ზიმელის ნაშრომებმა დიდი გავლენა მოახდინა ბურჟუაზიული სოციოლოგის განვითარებაზე გარმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. სოციოლოგიის საგნად მას ადამიანთა ურთიერთობის ის ფორმები მიაჩნია, რომლებიც არ ექვემდებარებიან დროისა და ეპოქის საზღვრებს. 1900 წელს გამოვიდა მისი „ფულის ფილოსოფია“, სადაც გაანალიზებულია ფულის სოციო-ფსიქოლოგიური გავლენა ადამიანებს შორის უპიროვნო დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე, რაც, სამწუხაროდ ,აუცილებელ პირობად გვევლინება პირადი თავისუფლების ნიშნით განვითარებული საზოგადოებისათვის.

მეტროპოლისი და სულიერი ცხოვრება

თანამედროვეობის ყველაზე სერიოზული პრობლემები სათავეს იღებს ინდივიდის მისწრაფებისგან, შეინარჩუნოს ავტონომიურობა და თვითმყოფადობა საზოგადოების ძალადობის, ისტორიული ტრადიციის, გარედან მოხვეული ცხოვრებისეული სტილისა და კულტურის მოზღვავების პირობებში. ასეთია ჩვენი ბუნებასთან ბრძოლის უკანასკნელი ფორმა, იმ ბრძოლისა, რომელსაც პირველყოფილი ადამიანი თავის დროზე ფიზიკური გადარჩენისთვის აწარმოებდა. მე-18-ე საუკუნე ამაყობს იმით, რომ შეძლო ადამიანის გათავისუფლება ისტორიული მარწუხებისაგან სახელმწიფო, რელიგურ, მორალურ თუ ყოფით სფეროებში და გზა გაუკვალა მას ღირსეული განვითარებისკენ. თავისუფლებასთან ერთად მე-19 საუკუნემ ადამიანის ინდივიდუალობაც იქადაგა (რაც შრომის განაწილებასთანაა დაკავშირებული) და საყოველთაო ღირებულებად აქცია. წინ წამოწია მისი მიღწევები და მისი განსაკუთრებულობა, მაგრამ, ამასთან ერთად, ადამიანი კიდევ უფრო დამოკიდებული გახადა სხვა ადამიანებებსა და მათ საქმიანობაზე. იმ დროს, როცა ნიცშე მიიჩნევდა, რომ ერთმანეთთან შეუპოვარი ბრძოლა კაცობრიობის სრულფასოვანი განვითარების საწინდარია, სოციალიზმი სრულიად საპირისპიროს ქადაგებდა

და მთელი ძალით თრგუნავდა კონკურენციას. თუმცა, ორივე შემთხვევაში, მიზანი ერთი იყო, კერძოდ კი, სურვილი, წინ აღდგომოდა სოციოტექნოლოგიური პროგრესის მიერ ადამიანის ნიველირების, მისი შთანთქმის პერსპექტივას. როცა თანამედროვე ცხოვრების კონკრეტულ შედეგებსა და ადამიანზე მათი ზეგავლენის შესახებ ვსაუბრობთ, ანუ, როცა ხდება კულტურის სხეულზე დაკვირვება მის სულთან მიმართებაში — იმ ჭრილში, რომლითაც ახლა მე განვიხილავ მეტროპოლისს — აუცილებელია, თვალი გავადევნოთ, თუ როგორ ამყარებს ეს სოციალური სტრუქტურა კავშირს ცხოვრების ინდივიდიუალურ და ზეინდივიდუალურ განზომილებებს შორის. ანუ, საჭიროა გამოვიკვლიოთ ის ადაპტაციები, რომელთაც პიროვნება გადის იმისთვის, რომ მოერგოს მის გარეთ გაბატონებულ ძალებს.

მეტროპოლისის ადამიანის ფსიქოლოგია მთლიანად ემოციური ცხოვრების ინტენსიფიკაციაზეა აგებული, რაც გარეგნი და შინაგანი სტიმულების (შთაბეჭდილებების) მუდმივი გაძლიერებითა და ურთიერთჩანაცვლებითაა გამოწვეული. ადამიანი მოვლენის აღქმისას განსხვავებულობის პრინციპით ხელმძღვანელობს: მისი გონება აღიძვრება მხოლოდ მაშინ, როდესაც ფიქსირდება კონტრასტი არსებულ შთაბეჭდილებასა და მის წინამორბედს შორის. თანაბარ რიტმში მიმდინარე შთაბეჭდილებები, რომელთა შორის დიდი სხვაობა არ იკვეთება, გონებრივი ენერგიის ნაკლებ დანახარჯს მოითხოვს, მაშინ, როცა სწრაფად ცვლადი სურათები ერთი თვალის შევლებით უნდა მოიცვას და მოულოდნელ, აგრესიულ იერ-შთაბეჭდილებებზე სწრაფი რეაგირება მოახდინოს. თავისი გადამკვეთი ქუჩებით, ეკონომიკის ტემპითა და მრავალფეროვანი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებით, დიდი ქალაქი, მეტროპოლისის ანალოგიურად, სწორედ ამგვარ ფსიქოლოგიურ წინაპირობას ქმნის. იგი ქმნის სულიერი ცხოვრების სენსორულ საფუძველს და გაცნობიერების ხარისხს, რითაც ჩვენ, როგორც განსხვავებებზე დამოკიდებული ქმნილებები, აღვიქვამთ კონტრასტს დიდ ქალაქსა და პატარა ქალაქის ცხოვრებას შორის, რომელიც სულიერი და მენტალური ცხოვრების ზანტი, ბუნებრივი და თანაბარი რიტმით ხასითდება. ამის მიზეზი უნდა იყოს ის, რომ დიდ ქალაქებში სულიერი ცხოვრების ინტელექტუალური ფორმაა გაბატონებული, განსხვავებით პატარა ქალაქებისგან, სადაც ადამიანი უფრო გრძნობებსა და ემოციურ ურთიერთობებს ემყარება. აღქმის ეს ტიპი გონების არაცნობიერ შრეებშია დავანებული და უცვლელ წეს—ჩვეულებათა მშვიდ გარემოში ვითარდება. ინტელექტი კი პირიქით, გონების ზედა, მკაფიო ფენებში სახლობს, იმ ფენებში, რომელთაც შინაგან ძალებს შორის ყველაზე დიდი ადაპტაციის უნარი გააჩნიათ. ამ ტიპის ცნობიერებას არ სჭირდება შეძვრა და შინაგანი რყევები ცვლილებებსა და კომპლექსურ მოვლენებში გასარკვევად, როგორც ეს კონსერვატორულ მგრძნობელობას ჩვევია, მხოლოდ ძლიერი რყევების შედეგად რომ ახერხებს, ფეხი აუწყოს გარეგან მოვლენათა ცვალებად რიტმს. ამგვარად, ქალაქის მცხოვრები იქმნის (და ამის ათასობით მოდიფიკაცია არსებობს), დამცავ მექანიზმებს მისი არსებობისთვის საფრთხის შემცველი გარემოს წინააღმდეგ: გარემოზე იგი რეაგირებს არა გრძნობით, არამედ ცალსახად რაციონალურად. სწორედ ამ ტიპის რეაგირებას მიანიჭა განვითარებულმა ცნობიერებამ ჰეგემონობა. ასე და ამგვარად, მოვლენებზე რეაგირება გადაელოცა ყველაზე ნაკლებად მგრძნობიარე ფსიქიკურ ორგანოს, რომელიც ძალიან შორს დგას ადამიანის სიღრმეებისგან.

რაციონალურობა, როგორც დიდი ქალაქის ძალდობის წინააღმდეგ ადამიანის სუბიექტური ცხოვრების ერთგვარი დამცავი მექანიზმი, სხვადასხვა განშტოებებად იყოფა, რომლებიც ხანდახან ისევ აღწევენ ერთიანობას. დიდი ქალაქები ოდითგანვე ფულად

ურთიერთობათა ცენტრებს წარმოადგენდნენ. ქალაქისთვის დამახასიათებელი მრავალმხრივობისა და აქ კონცენტრირებული სავაჭრო ურთიერთობის წყალობით, ფულს, ანუ გაცვლა—გამოცვლის მედიუმს, უზარმაზარი მნიშვნელობა მიენიჭა, რაც მანამდე, ვაჭრობის მასშტაბის სიმცირის გამო, წარმოუდგენელი იყო. სინამდვილეში ფულადი სისტემები და რაციონალურობის განვითარება ძალიან ახლოს დგას ერთმანეთთან: ორივეს ახასიათებს კონკრეტული საქმიანი დამოკიდებულება ადამიანებისა და ნივთებისადმი, რაც ფორმალური სამართლიანობისა და სისასტიკის შერწყმაში მდგომარეობს. ადამიანი, რომელიც მხოლოდ რაციონალური განსჯით ხელმძღვანელობს, გულრილია ყველაფრისადმი, რაც ინდივიდუალურია, რადგან ინდივიდუალურობამ შეიძლება მასში ისეთი დამოკიდებულება ან რეაქცია გამოიწვიოს, რომელიც მხოლოდ ლოგიკის მეშვეობით ვერ დაიძლევა. ზუსტად ასევე, ფულადი მიდგომა უარყოფს ინდივიდუალურობას. ფულს აინტერესებს მხოლოდ ის, რაც საერთოა ყველასთვის, მაგალითად, გაცვლითი ღირებულება, რადგან მისი წყალობით ყველა ინდივიდუალური თვისება და განსხვავებულობა მხოლოდ რაოდენობრივ კატეგორიამდე დაიყვანება. ადამიანებს შორის სულერი ურთიერთობა ინდივიდუალურობას ეყრდნობა, რაციონალური დამოკიდებულება კი ადამიანს უყურებს როგორც ციფრს, როგორც არსობრივად უმნიშვნელო ელემენტს, მისი ღირებულება კი მხოლოდ მისგან მოსალოდნელი დათვლადი პროდუქტით განისაზღვრება. ზუტად ამ პრიზმაში აღიქვამს დიდი ქალაქის მცხოვრები თავის მომწოდებლებსა და კლიენტებს, თავის მსახურებსა და ხშირად, თავის წრის ხალხსაც. სრულიად განსხვავებულია ადამიანთა ურთიერთობები პატარა საზოგადოებაში. აქ ერთმანეთის ინდივიდუალური მხარეების ცოდნა ემოციურ ელფერს აძლევს ურთიერთობას და სცდება მხოლოდ შესრულებულ სამუშაოსა და გადახდილ გადასახადს. ამ ტიპის პატარა წრეებში, ფსიქო—ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის, რომ საქონელი იწარმოება კონკრეტულად იმ ადამიანისთვის, ვინც დაუკვეთა. ანუ, მყიდველი და გამყიდველი პირადად იცნობენ ერთმანეთს. დიდ ქალაქში პირიქით, თანამედროვე მეწარმე ამზადებს მხოლოდ და მხოლოდ ბაზრისთვის. ანუ, სრულიად უცნობი, თვალით უნახავი მყიდველისთვის. ამის შედეგად, ორივე მხარის ინტერესი ცალსახად საქმიანი ხდება. მათი რაციონალურად გამოთვლილი ეკონომიკური ეგოიზმი გამორიცხავს პირადი ურთიერთობით გამოწვეულ რაიმე შერბილებას და ეს ყველაფერი მჭიდრო კავშირშია დიდი ქალაქის ფულად ურთიერთობებთან. იგი თრგუნავს ნებისმიერ მცდელობას, შექმნან საქონელი ადამიანისთვის და აწარმოონ უშუალო გაცვლა-გამოცვლა. ამავე მიზეზით, ყოველდღიურად მცირდება გარკვეული ჯგუფისთვის წარმოებული საქონლის რაოდენობაც. ძნელია თქმა, ამ ფაქტორებიდან რომელია პირველადი და რომელი მეორადი: სულიერ-ინტელექტუალურმა განწყობამ იმოქმედა დიდ ქალაქში ფინანსურ წყობაზე თუ პირიქით, ამ უკანასკნელმა განაპირობა პირველი. ცხადი მხოლოდ ისაა, რომ ორივე შემთხვევაში ქალაქური გარემო აღმოჩნდა ნაყოფიერი ნიადაგი. ჩემი აზრის განსამტკიცებლად სულიერი კულტურის უდიდესი ისტორიკოსის სიტყვებს მოვიშველიებ: ,,ინგლისის მთელი ისტორიის მანძილზე ლონდონი არასოდეს ყოფილა ინგლისის გული, ის ხშირად იყო ტვინი და ყოველთვის—სალარო.“

ერთი შეხედვით, ეს უმნიშვნელო და ყველაზე პერიფერიული ცხოვრებისეული პროცესი ადამიანის სულიერი ცხოვრების ტენდენციებზე მეტყველებს. თანამედროვე გონი სულ უფრო და უფრო ემსგავსება გამომთვლელ მანქანას. პრაქტიკული საქმიანობის დროს ფულადი ურთიერთობებით ნაკარნახევი გამოთვლის სიზუსტე საბუ-

ნებისმეტყველო მეცნიერების იდეალს უახლოვდება, სადაც სამყარო მათემატიკურ ამოცანადაა დასახული, მისი თითეული ნაწილის ამოხსნა კი მათემატიკურ ფორმულის მეშვეობით ხდება. ასეთმა მიდგომამ ადამიანთა ყოველდღიურობა ერთ დიდი აწონ—დაწონად, გათვლად და დანომრვად ფაქტად აქცია. ხარისხობრივი მაჩვენებელი რაოდენობრივ მაჩვენებლამდე დავიდა; ფულის მათამატიკურმა ხასიათმა გააჩინა სიზუსტე ცხოვრების ელემენტებს შორის; სიცხადე შეიძინა ტოლფასობისა და არატოლფასობის განსაზღვრის პროცესმაც. იგივე გავრცელდა შეთანხმებასა და დაგეგმარებაზეც. ამ სიზუსტის გამოვლინებაა ჯიბის საათის გავრცელება. ამ მოვლენის მიზეზად და შედეგად მეტროპოლისის მიერ შექმნილი გარემოებები გვევლინება. ტიპიური დიდი ქალაქის მაცხოვრებლის ურთიერთობები და საზრუნავი იმდენად მრავალმხრივი და კომპლექსურია, მითუმეტეს, სხვადასხვა ინტერესების ადამიანთა აგლომერაციის ფონზე, რომ მათი კომუნიკაცია და საქმიანობა უზარმაზარ, ჩახლართულ და მრავალკომპონენტიან ორგანიზმად ყალიბდება. რომ არა პუნქტუალურობა და დანაპირების პატიოსნად შესრულების გარანტია, ქაოსით გამოწვეული ნგრევა კოლოსალურ მასშტაბებს მიაღწევდა. უცებ, მხოლოდ ერთი საათით, ბერლინის ყველა საათმა რომ არასწორი დრო აჩვენოს, მთელი მისი ეკონომიკა და კომერციული ცხოვრება რელსებიდან გადაუხვევს. ამას ემატება კიდევ ერთი, ნაკლებად თვალშისაცემი ფაქტორიც — დიდი დისტანციები, რამაც, შესაძლოა, შეხვედრებზე დაგვიანება, მათი ჩაშლაც კი გამოიწვიოს და აუნაზღაურებელი დროითი დანაკარგის წინაშე დააყენოს ადამიანი. აქედან გამომდინარე, მეტროპოლისის ტექნიკური მოწყობა წარმოუდგენელია ყველა მისი აქტივობისა და მომიჯნავე საქმიანობის გათვალისწინების გარეშე. იგი მაქსიმალურად პუნქტუალურადაა ორგანიზებული და კოორდინირებული მყარად განსაზღვრულ დროით ჩარჩოში, რომელიც ყველა სუბიექტურ გარემოებაზე მაღლა დგას. აქაც ყურადღებას იქცევს დასკვნები, რომელიც ჩვენი მსჯელობის შედეგად გამოიკვეთა, კერძოდ კი ის, რომ რაც არ უნდა ზედაპირულ, უმნიშვნელო ცხოვრებისეულ ასპექტზე გვქონდეს საუბარი, იგი გარდაუვალ კავშირშია ადამიანის ცხოვრების სულიერ სიღრმეებთან. ყოველდღიურობის ყველაზე ბანალური ხდომილებებიც კი, საბოლოოდ, ცხოვრებისეულ საზრისსა და სიცოცხლის ფორმასთანაა გადაბმული.

პუნქტუალურობა, დათვლადობა და სიზუსტე — ანუ მეტროპოლური მასშტაბისთვის აუცილებელი მახასიათებლები — არა მხოლოდ მჭიდროდაა დაკავშირებული მის კაპიტალისტურ და ინტელექტუალურ ხასიათთან, არამედ ისინი თვით ცხოვრებაზეც ახდენენ გავლენას. ისინი იწვევენ ირაციონალური, ინტუიტიური, თავისუფალი ადამიანური იმპულსების აღმოფხვრას, იმ იმპულსებისა, რომლებიც ბუნებრივად აყალიბებენ ადამიანის შინაანი ცხოვრების ფორმას, ნაცვლად გარედან ნაკარნახევი ფორმისა, რომელიც, ჩეულებრივ, სქემატურობამდე ზუსტია. მართალია, ამგვარ ავტონომიურ ცხოვრებას, თავის სასიცოცხლო იმპულსებით, მეტროპოლისი სრულად არ გამორიცხავს, მაგრამ იგი ზოგადად მაინც ეწინააღმდეგება მას. ამ შუქზე გასაგები ხდება ისეთი ფიგურების მგზნებარე სიძულვილი მეტროპოლისის მიმართ, როგორიცაა რასკინი და ნიცშე — პიროვნებებისა, რომელთათვის სიცოცხლის ღირებულება არასქემატიზებულ ინდივიდუალურ გამოვლინებაში მდგომარეობს და იგი არ დაიყვანება ზუსტ ექვივალენტებამდე. მათი ეს სიძულვილი იმავე წყაროდან მოდის, საიდანაც სათავეს იღებს სიძულვილი ფულადი ეკონომიკასა და ცხოვრების ინტელექტუალიზაციისადმი.

ამ ფაქტორებმა, რომელთაც, ერთი მხრივ, ცხოვრების წამის სიზუსტემდე პუნქტუალური და სრულიად უპიროვ-

ნო სტრუქტურა წარმოშვეს, მეორე მხრივ, საგრძნობლად იმოქმედეს პიროვნულობაზე. ძნელად მოიძებნება ფიზიკური ფენომენი, რომელიც ისე ზედმიწევნით ახასიათებს დიდ ქალაქს, როგორც გულრილობა. პირველ რიგში, ეს არის შედეგი იმ სწრაფად მზარდი, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო ნერვული სტიმულაციებისა, რაც მეტროპოლისის ინტელექტუალობის გაძლიერებას დაედო საფუძვლად. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს გავლენა სულელმა და სულიერად მკვდარმა ადამიანმა განიცადოს. უგრძნობლობასა და ინდიფრენტულობას იწვევს წრეგადასული გრძნობისმიერი ცხოვრება, რადგან იგი მაქსიმალურად ასტიმულირებს ნერვულ სისტემას და საბოლოდ, ურეაქციობამდე მიჰყავს იგი. იგივე ხდება ნაკლებად საზიანო სტიმულების შემთხვევაშიც. მათი სწრაფად ცვალებადი და წინააღმდეგობრივი ხასიათი ნერვულ სისტემას ძლიერ საპასუხო რეაქციას აიძულებენ, რითაც საბოლოოდ არყევენ და ამოწურავენ მის უკანასკნელ რეზერვს. და რადგან გარემო არ იცვლება, რეზერვის ხალახალი შექმნა და დაგროვებაც შეუძლებელია. ქალაქის მკვიდრისთვის განცდა, რომ აღარ შესწევს ძალა, ენერგიის ადეკვატური ულუფით მოახდინოს რეაგირება მორიგ სტიმულზე, მისთვის იმედგაცრუების ჩვეულ ფორმად იქცევა, განსხვავებით უფრო მშვიდი და სტაბილური გარემოს ბინადართაგან.

გულგრილობის ამ ფიზიოლოგიურ მიზეზს ემატება კიდევ ერთი ფაქტორი, რაც ფულადი ეკონომიკისგან იღებს სათავეს. მეტროპოლისის ინდიფერენტულობას განაპირობებს საგნებს შორის განსხვავების მიმართ გულგრილობა. არა ის, რომ ამ განსხვავების აღქმა გამქრალია, როგორც გონების დაბინდვას ახასიათებს, არამედ იმ თვალაზრისით, რომ საგანთა ღირებულებითი რანჟირება არ ხდება და შესაბამისად, თავად ეს საგნები განიცდებიან როგორც უაზრო. გულგრილობაში ჩაძირული ადამიანისთვის ყველაფერი ერთგვაროვანი, ბრტყელი და უსახურია. არც ერთი მათგანი მეორეზე ღირებული არ არის. ამ ტიპის ფსიქიკური სურათი მთლიანად ფულადი ეკონომიკის სუბიექტური ანარეკლია: ფული იკავებს საგანთა მთელი მრავალფეროვნების ადგილს და საგანთა შორის ყველა თვისობრივ განსხვავებას მხოლოდ ერთი განსხვავების — „რამდენის“ სახით გამოხატავს. იმის გათვალისწინებით, რომ თავისი უსახურებისა და განურჩევლობიდან გამომდინარე, ფულს შეუძლია ყველა ღირებულების საყოველთაო გამომხატველი გახდეს, იგი სახიფათო ნიველირების ფაქტორად ყალიბდება. ეს უკანასკნელი აცარიელებს საგნის/მოვლენის არსს, მის უნიკალურობას, განსაკუთრებულ ღირებულებას ისე, რომ ეს პროცესი შეუქცევადი ხდება. ყველფარი ერთნაირი გრავიტაციით ტივივტივებს მუდმივად მოძრავ ფულად ნაკადში. აქ ყველა მათგანი ერთ დონეზეა განთავსებული და ერთმანეთისგან მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლით განირჩევა. მდიდარი კაცის დამოკიდებულება ფულით ნაყიდი ნივთების მიმართ ბევრწილად განისაზღვრება საზოგადოების დამოკიდებულებით ამ ნივთის მიმართ. ამიტომაა, რომ მეტროპოლისი კომერციული ურთიერთობების ცენტრია და მსყიდველუნარიანობა აქ სულ სხვაგვარი ასპექტებით ავლენს თავს, ვიდრე მარტივ ეკონომიკებში. ამ მხრივაც მეტროპოლისი ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის გულგრილობის აღმოსაცენებლად. ყველაფერი პიკამდე მიდის, შესაძენი ნივთების კონცენტრაცია ინდივიდის სტიმულებისა და ნერვული ენერგიის უკიდურეს გადახარჯვას იწვევს. საქონლის რაოდენობრივ ინტენსიფიკაციას ადაპტაციის განსაკუთრებულ ფენომენამდე მივყავართ: ეს არის გულგრილობა, რომლის დროსაც, ნერვული სისტემა თავის უკანასკნელ პოტენციალს იყენებს მეტროპოლისის ცხოვრების ფორმასა და შინაარსთან შესაგუებლად და საერთოდ უარს ამბობს საპასუხო რეაქციაზე. ჩვენ ვხედავთ, რომ ინდივიდის თავდაცვის

მცდელობა, რომელიც მთლიანად ობიექტური სამყაროს უარყოფის ხარჯზე მიიღწევა, საბოლოოდ და გარდაუვლად მთავრდება ადამიანის მიერ საკუთარი ღირებულების უარყოფით.

როცა ადამიანი ამ ტიპის პრობლემას აწყდება, თვითგადარჩენის სურვილი მას სოციალური ქცევის საკმაოდ უარყოფით მოდელს კარნახობს. დიდ ქალაქებში ადამიანებს შორის სულიერი ურთიერთობა შეგვიძლია განვსაზღვროთ სიტყვით ჩაკეტილი. მეტროპოლისში, სადაც მუდმივად უამრავ ადამიანთან გვიწევს ურთიერთობა, შინაგანი რეაქცია რომ ყველა ჯერზე ისეთივე იყოს, როგორც პატარა ქალაქში, სადაც ყოველი მეორე ჩვენი ნაცნობია და მის მიმართ დადებითად ვართ განწყობილნი, ადამიანი შინაგანად ატომებად დაიშლებოდა და წარმოუდგენელ სულიერ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ნაწილობრივ, ეს ფსიქოლოგიური გარემოება და ნაწილობრივ, ეჭვი მეტროპოლისის მცხოვრებლებლების მიმართ, რომლებთანაც მუდმივ, თუმცა წამიერ შეხებაში ვიმყოფებით, ჩვენგან ჩაკეტილობას მოითხოვს. სწორედ ამის გამოა, რომ არ ვიცნობთ წლების განმავლობაში ჩვენ გვერდით მცხოვრებ მეზობლებს. ამ მიზეზითაა, რომ პატარა ქალაქის მკვიდრნი გულცივ ადამიანად მიგვიჩნევენ. მართლაც, თუ არ მეშლება, ჩვენი გარეგნული ჩაკეტილობის შიგნით არის არა მხოლოდ ინდიფერენტულობა, არამედ უფრო ხშირად, მსუბუქი ზიზღი, ორმხრივი გაუცხოება, რომელიც ახლო კონტაქტისას შეიძლება უცებ სიძულვილსა და დაპირისპირებაშიც კი გადაიზარდოს. ამ ტიპის ურთიერთობის სტრუქტურა შედგება განსხვავებული ხანგრძლივობის, ზოგჯერ მოკლე, ზოგჯერ - ხანგრძლივი სიმპათიის, გულგრილობისა და ზიზღის ნაზავისაგან. ამ დროს გულგრილობის ხარისხი არც ისე მაღალია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. ჩვენი შინაგანი სამყარო მეტნაკლებად კონკრეტული შეგრძნებებით პასუხობს ადამიანებისგან მიღებულ ყოველ შთაბეჭდილებას, ამ შეგრძნებებათა გაუცნობიერებლობა და სწრაფი მონაცვლეობა კი არის მიზეზი, რომ ჩვენ მას გულგრილობად აღვიქვამთ. სინამდვილეში, ეს ინდიფერენტულობა ისეთივე არაბუნებრივია ადამიანისთვის, როგორც არამკითხეთა რჩევის მორევში თავით გადაშვება იქნებოდ. ქალაქური ცხოვრების ორივე საფრთხისგან ერთნაირად გვიცავს ანტიპატია, ანუ, ფარული ანტაგონიზმის გამოვლენის პირველი საფეხური, რაც უზრუნველყოფს გარკვეულ დისტანცირებას, განცალკევებას და რის გარეშეც ქალაქური ცხოვრების ატანა შეუძლებელი იქნებოდა. მისი მრავალფეროვნების მასშტაბი, მისი აღმოცენებისა და ქროების რიტმი, ფორმები, რომელიც ახასიათებს — ყველაფერი ეს, თავის გამარტივებულ მოტივებთან ერთად (ვიწრო გაგებით) ქალაქური ცხოვრების ერთ დიდ მთლიანობას ქმნის. ის, რაც დისოციაციად გვეჩვენება, სინამდვილეში არის სოციალური ურთიეთობისთვის აუცილებელი, საბაზო ფორმა.

მაგრამ ეს ჩაკეტილობა და ფარული ზიზღი მხოლოდ და მხოლოდ გარეგნული ფორმაა, ერთგვარი შეფუთვა დიდი ქალაქისთვის დამახასიათებელი უფრო ღრმა ფსიქიკური პროცესისა. საქმე იმაშია, რომ მეტროპოლისი ინდივიდს ისეთი მასშტაბის პირად თავისუფლებას ანიჭებს, რომლის მომსწრეც ადამიანი არც ერთ ისტორიულ ვითარებაში არ ყოფილა. მისი ფესვები სოციალური განვითარების ფუნდამენტურ პრინციპში უნდა ვეძიოთ, რაც მეტ-ნაკლებად განსაზღვრული ტენდენციის სახით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ: როგორც ისტორიიდან და თანამედროვეობიდანაც ვიცით, სოციალური მოწყობის საწყის ეტაპზე არსებობდა მცირერიცხოვანი ჯგუფი, სრულიად ჩაკეტილი უცხო ან განსხვავებული ანტაგონისტური სამოზობლო ჯგუფებისგან, თუმცა, ამ ჯგუფის შიგნით კავშირები იმდენად მჭიდროა, რომ ადამიანს თითქმის არ რჩება სივრცე საკუთარი თვისებების განსავითარებლად და ისეთი თავისუ-

ფალი ქმედების განსახორციელებლად, რომელზეც თავად იქნებოდა პასუხისმგებელი. ამ პრინციპით ყალიბდებოდა პოლიტიკური და ოჯახური ჯგუფები, პარტიები, რელიგიური ერთობები. ახალბედა ერთობების გადარჩენისთვის აუცილებელია მკაცრი შეზღუდვები და ცენტრისკენული ერთიანობა. ამიტომ, ინდივიდს არ ეძლევა არც თავისულების და არც თვითნებური შინაგანი განვითარების უფლება. ამ ეტაპიდან მოყოლებული, სოციალური ევოლუცია ორ სხვადასხვა, თუმცა, მეტნაკლებად ურთიერთშესაბამის განშტოებად იყოფა: ერთი მხრივ, როგორც კი ჯგუფი რიცხობრივად ან სივრცობირივად ფართოვდება, როცა იზრდება მისი მნიშვნელოვნება და ცხოვრებისეული შინაარსი, პარარელურად სუსტდება მისი შინაგანი ერთობა და სხვა ჯგუფებისგან გამყოფი საზღვრები. ჯგუფის შიგნით ურთიერთდამოკიდებულება რბილდება და უფრო ახლობლური ხდება. მეორე მხრივ, ადამიანი მოძრაობის მეტი თავისუფლებისკენ იწყებს მოძრაობას და სცილდება პირველად მოხაზულ მკაცრ ჩარჩოებს. იგი იძენს განსაკუთრებულობას და ინდივიდუალურობას, რაც, თავის მხრივ, გაზრდილი ჯგუფის შიგნით შრომის განაწილების შესაძლებლობას და აუცილებელობას ბადებს. ამ ფორმულის შესაბამისად ვითარდებოდნენ სახელმწიფოები და ქრისტიანობა, გილდიები, პოლიტიკური პარტიები და სხვა მრავალრიცხოვანი ჯგუფები. თუმცა, რა თქმა უნდა, არსებობდა რიგი გარემოებები და ძალები, რომლებიც ინდივიდზე მოქმედებდნენ და ცვლიდნენ ამ ზოგად სქემას. ჩემი აზრით, თუკი დავაკვირდებით ადამიანის განვითარებას მეტროპოლური ცხოვრების ჩარჩოში, იგივე ტენდენციას აღმოვაჩენთ.

ანტიკურობასა და შუასაუკუნეებში პატარა ქალაქი ისეთ საზღვრებს უწესებდა ადამიანის ინდივიდუალობის განვითარებას, გარესამყაროსთან ურთიერთობას, შინაგან დამოუკიდელობასა და განსხვავებულობას, რომ თანამედროვე ადამიანს მსგავს პირობებში სუნთქვაც კი გაუჭირდებოდა. დღესაც კი, როცა დიდი ქალაქის მცხოვრები პატარა ქალაქში აღმოჩნდება, აუცილებლად შეიგრძნობს ამ სივიწროვეს. რაც უფრო მჭიდროა ჩვენს ირგვლივ საცხოვრებელი არეალი და რაც უფრო შეზღუდულია ურთიერთობების საზღვრები, მით უფრო დიდი გზნებით ადევნებს თვალყურს ვიწრო საზოგადოება ინდივიდის მიღწევებს, საქმიანობასა და დამოკიდებულებებს, შესაბამისად, მით მეტად ცდილობს ინდივიდუალობა (რაოდენობრივი და ხარისხობრივი) გადალახოს დაწესებული საზოგადოებრივი საზღვრები. ანტიკური პოლისი ამ მხრივ პატარა ქალაქს ჰგავს. მუდმივი სასიცოცხლო საფრთხე ახლო და შორეული მტრის მხრიდან ხელს უწყობდა მოქალაქეთა შორის მჭიდრო პოლიტიკურ და სამხედრო ერთობას. იმდენად ძლიერი იყო მოქალაქეთა ურთიერთკონტროლი და ამ ერთიანობის ეჭვი ინდივიდს მიმართ, იმდენად დათრგუნული იყო მისი პირადი ცხოვრებაც, რომ ამის საპირწონედ მას ისღა დარჩენოდა, რომ საკუთარ სახლში დესპოტივით მოქცეულიყო. ათენური სისხლსავსე ცხოვრებისთვის დამახასიათებელი საოცარი აღტკინება და გზნება განპირობებული იყო იმით, რომ მცირე ზომის პოლისში თავმოყრილი მკაფიო ინდივიდუალობები ხელჩართულ ბრძოლაში იყვნენ ჩაბმულნი გარე და შინაგანან ზეწოლასთან, რომელიც მუდმივად ემუქრებოდა მათ ინდივიდუალობას. ეს იყო გარემო, სადაც სუსტები იჩაგრებოდნენ, ძლიერები კი თავის დასაცავად ყველაზე მძაფრ ფორმებს მიმართავდნენ. და სწორედ ამიტომ, ათენში მოხდა ის, რასაც ზუსტ განსაზღვრებას ვერ მოუძებნი, მას პირობითად შეგვიძლია ვუწოდოთ „ზოგადადამიანური თვისებების“ გაჩენა ადამიანის ინტელექტუალური განვითარების პროცესში. ამ კორელაციის ფაქტობრივი და ისტორიული სისწორე, რომელსაც აქ წარმოვადგენთ, მდგომარეობს იმაში, რომ ყველაზე ფართო და ზოგადი

ცხოვრებისეული ფორმები კავშირშია ყველაზე ინდივიდუალურ ფორმებთან. ცხოვრების ამ ორივე ფორმას აქვს საკუთარი პრეისტორია და მუდმივად ჩართულია ბრძოლაში პატარა ჯგუფებსა და ფორმირებებთან იმისათვის, რომ დაიცვას თავი თავი როგორც გარესამყაროს მასშტაბურობისაგან, ასევე შინაგანი სამყაროს მოძრაობისა და ინდივიდუალობისაგან. როგორც ფეოდალური წყობის დროს „თავისუფალი" ეწოდებოდა კაცს, რომელიც საყოველთაო კანონს, ანუ ფართო სოციალური ჯგუფის ზოგად კანონს ექვემდებარებოდა, არათავისუფალი კი ერქვა მას, ვინც ვიწრო ფეოდალურ ჯგუფებს უნდა დამორჩილებოდა, ზუსტად ასევე, დღეს დიდი ქალაქის მოქალაქე — შეგრძნებადი, ფაქიზი გაგებით — თვისუფალია იმ ტრივიალობებისა და ცრურწმენებისგან, რაც პატარა ქალაქს ახასიათებს. დიდ სოციალურ ჯგუფებში გაბატონებული ორმხრივი ჩაკეტილობისა და გულგრილობის ს ატმოსფერო არასოდეს ისე მძაფრად არ შეიგრძნობა, როგორც ჭყლეტაში, რადგან ფიზიკურ სხეულთა უშუალო სიახლოვე უფრო მეტად უსვამს ხაზს ადამიანებს შორის სულიერ დისტანციას. დიდი ქალაქის თავისუფლების უკუეფექტი იმაში მდგომარეობს, რომ არსად არ გრძნობ თავს ისე მარტოსულად და მიტოვებულად, როგორც ხალხმრავლობაში. აქედან ჩანს, რომ თავისუფლება ადამიანის სულიერ ცხოვრებაში არ რეალიზდება როგორც ცალსახად დადებითი, სასიამოვნო გამოცდილება.

მეტროპოლისის გარემოს სპეციფიკურობა განპირობებულია არა მხოლოდ ტერიტორიის და მოსახლეობის ზომით, როგორც ამას გვკარნახობს ისტორიული კორელაცია სოციალური ერთეულის ზომასა და პიროვნების შიდა და გარე თვისუფლების ხარისხთან. ეს განპიროებულია იმითაც, რომ მეტროპოლისი სცდება ხელშესახებ განზომილებას და კოსმოპოლიტიზმის კონცენტრირების ადგილი ხდება. მსგავსად სიმდიდრისა, რომელიც გარკვეული ეტაპიდან ძალიან დიდი ტემპით, თითქოს თავისთავად იწყებს ზრდას, ინდივიდის ჰორიზონტიც ფართოვდება. იგივე ითქმის დიდი ქალაქის ეკონომიკურ, პირად თუ სულიერ ურთიერთობებზე (სადაც ყველაფერი სარკესავით ირეკლება). გარკვეული გარდამტეხი წერტილის შემდეგ ისინი გეომეტრიული პროგრესიით იწყებენ ზრდას და ფართოვდებიან არა მხოლდ თვისობრივად ანალოგიური ფორმით, არამედ მათაგან გამომავალი ყოველი ძაფი გაფართოების უსასრულო შესაძლებლობას იკრებს. ამის მაგალითია ის, რომ ქალაქის ეკონომიკის, ტრანსპორტის ზრდასთან ერთად, ავტომატურად იზრდება მიწის ფასი და მისი მფლობელისთვის ბევრად მეტი ე.წ. ,,გამოუმუშავებელი" შემოსავალი მოაქვს. ამ თვალსაზრისით, ცხოვრების რიცხობრივი ასპექტები ხარისხობრივში გადაიზრდება. პატარა ქალაქის საცხოვრებელი გარემო საკუთარი თავით შემოიფარგლება. მეტროპოლისისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, რომ წარმოიქმნას ტალღები, რაც კიდევ უფრო მასშტაბურ, კიდევ უფრო განსხვავებულ ადგილობრივ და საერთაშორისო განვითარებას მისცემს ბიძგს. ამის მაგალითია ქალაქი ვაიმარი. დიდი ხნის მანძილზე მისი ცხოვრება ცალკეულ გამორჩეულ პიროვნებებზე იყო დამოკიდებული. მათ გაქრობასთან ერთად ქალაქიც გაქრა. დიდი ქალაქი ყველაზე გამორჩეული პირონებისგან დამოუკიდებლად არსებობს. ეს იმ თავისუფლების მეორე მხარეა, რომლითაც დიდი ქალაქის მცხოვრები სარგებლოს. მეტროპოლისის არსი და მნიშვნელობა არ შემოიფარგლება ფიზიკური საზღვრებით, იგი მდგომარეობს მის ფუნქციურ მაგნიტიზმში, რომელიც უკუქმედებს ქალაქზე და კიდევ უფრო მეტ წონას, მნიშვნელობას, პასუხისმგებლობას სძენს მას. ასევე, ადამიანიც არ შემოიფარგლება მხოლოდ საკუთარი სხეულითა და საქმიანობის ადგილით, არამედ იმ მნიშვნელოვანი გავლენების ერთიანობით, რაც მისი დრო—სივრცი-

დან გამოიფრქვევა. ქალაქიც გავლენათა ასეთივე ერთიანობას წარმოადგენს, თუმცაღა, სცილდება ამ გავლენათა სფეროს. სწორედ ეს არის ის რეალური მასშტაბი, რითაც მისი არსი გამოიხატება. აქედან გამომდინარეობს ისიც, რომ ინდივიდალური თავისუფლება, როგორც ამგვარი გაფართოების ლოგიკური დანამატი, არ უნდა გავიგოთ მხოლოდ როგორც თავისუფალი მოქმედებისა და ცრურწმენებისგან გათავისუფლბების გზა. თავისუფლების ნამდვილი არსი უნდა ვეძიოთ იმ ფაქტში, რომ თითოეული ადამიანის განსაკუთრებულობა და განუმეორებლობა რაღაც გზით პოულობს გამოხატულებას და ფორმას აძლევს დიდი ქალაქის ცხოვრებას. ის, რომ ჩვენ საკუთარი შინაგანი ბუნების მიხედვით ვცხოვრობთ — და ეს არის კიდეც თავისუფლება — ჩვენთვის ან სხვისთვის აღქმადი და დამაჯერებელი ხდება მხოლოდ სხვებისგან განსხვავების შემთხვევაში. ჩვენი ჩაუნაცვლებლობა იმის ნიშანია, რომ ჩვენი ცხოვრების ფორმა არ არის გარედან თავსმოხვეული.

ქალაქი შრომის განაწილების ყველაზე განვითარებული ცენტრია. იგი წარმოშობს ისეთ უკიდურესობას, როგორიცაა ,,მეთოთხმეტე კაცის'' პროფესია პარიზში: ეს არის ადამიანი, რომელიც სადილის დროს მზადაა შესაბამისად გამოწყობილი მივიდეს იქ, სადაც სადილად ცამეტი კაცი იკრიბება. მათი მიგნება შეიძლებოდა სახლის კარზე გაკეთებული აბრით. ქალაქის ზრდის პროპორციულად იზრდება შეთავაზებული სამუშაობის რიცხვი. იქმნება გარემო, სადაც საქმიან სფეროში მასშტაბი დიდ მიღწევებს უწყობს ხელს. თუმცა, მეორე მხრივ, ხალხის ამგვარი დაგროვება და ბრძოლა კლიენტის მოსაპოვებლად განსაკუთრებული პროფესიული უნარების განვითარებას მოითხოვს იმისთვის, რომ ადამინი იოლად არ ჩაანაცვლოს სხვამ.

გადამწყვეტი ქალაქურ ცხოვრებაში ის არის, რომ საარსებო სახსრების მოპოვების, ამ რესურსის მიღების წყარო ახლა არის არა ბუნება, როგორც ეს მანამდე იყო, არამედ ადამიანი. ეს გარემოება განაპირობებს არა მხოლოდ ჩვენ მიერ აღნიშნულ ვიწრო სპეციალიზციას, არამედ იმასაც, რომ მეწარმე იძულებულია შექმნას ახალი, განსაკუთრებული საჭიროებები. ეს ორი ტიპის აუცილებლობა — პროდუქტთან მიმართებაში ეს არის გამყიდველის სწრაფვა, იპოვოს ჯერ კიდევ ამოუწურავი შემოსავლის წყარო, ხოლო ადამიანთან მიმართებაში ესაა საქმიანი ფუნქციის ვიწრო სპეციალიზაცია, რომ იგი ვერ ჩაანაცვლონ — გარდაუვლად მოახდენს გავლენას შრომის დიფერენციაციაზე, მის დახვეწასა და გამრავალფეროვნებაზე, რაც საბოლოოდ საზოგადოების პიროვნულ გამრავალმფეროვნებამდეც მიგვიყვანს.

ეს ყველაფერი იწვევს სულიერი თვისებების უფრო ვიწრო დიფერეციაციას, რაც ქალაქის მასშტაბის პირდაპირპროპორციულია და ამას არაერთი ფაქტორი განაპირობებს. პირველ რიგში, ეს არის პიროვნული სტატუსის მოპოვების პრობლემა დიდი ქალაქის უზარმაზარი მასშტაბიდან გამომდინარე. როცა ღირებულებისა და ენერგიის რიცხობრივი მაჩვენებელი თავის მაქსიმუმს აღწევს, ხარისხობრივი მაჩვენებლები აქტუალური ხდება. და რადგან მგრძნობელობა განსხვავებულის მიმართ მომატებულია, ადამიანს ეძლევა შანსი საზოგადოების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდეს. საბოლოოდ, ამას მივყავართ უცნაურ ექსტრავაგანტულობამდე, სპეციფიკურ მეტროპოლურ ექსტავაგანტობამდე, როგორიცაა თვითგანმხოლოება, კაპრიზი, პრეტენზიულობა, რომლის არსიც მდგომარეობს არა ამა თუ იმ ქმედების შინაარსში, არამედ თავად „განსხვავებულობაში," როგორც არსებობის ფორმაში, რაც ადამიანს სხვებისგან გამოარჩევს და ყურადღების ცენტრში მოაქცევს. ბევრისთვის ეს თვითგანადარჩენის ერთადერთი ფორმაა, სხვისგან მოპოვებული ყურადღება ერთადერთი გზაა თვითშეფასების ამაღლებისა და სტა-

ტუსის შეგრძნების მისაღწევად.

ამ მხრივ საინტერესოა ერთი ნაკლებად თვალსაჩინო, თუმცა გავლენის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ფაქტორი: დიდ ქალქში შეხვედრები ბევრად ხანმოკლე და იშვიათია და სრულიად განსხვავდება ადამიანური ურთიერთობებისაგან პატარა ქალაქში. აქედან იღებს სათავეს სურვილი, რაც შეიძლება ზუსტად, მკაფიოდ და თვითმყოფადად წარმოაჩინო საკუთარი თავი. დიდ ქალაქში ეს მოვლენა ბევრად უფრო ხშირია, ვიდრე პატარა ქალაქში, სადაც ხანგრძლივი და ხშირი ნაცნობობის გამო, ნებისმიერი ადამიანის აღქმა არაორაზროვანია.

ვფიქრობ, ეს უნდა იყოს ყველაზე ღრმა მიზეზი იმისა, რის გამოც მეტროპოლისში ამხელა ყურდღება ეთმობა არსებობის ინდივიდუალური ფორმებისთვის ბრძოლას, იმისდა მიუხედავად, ეს ბრძოლა ყოველთვის სწორი და წარმატებულია თუ არა. თანამედროვე კულტურის განვითარება გამოირჩევა ობიექტური სულის გაბატონობით სუბიექტურ სულზე. ეს ტენდენცია ერთნაირად იგრძნობა ენასა და სამართალში, ტექნოლოგიებსა და ხელოვნებაში, მეცნიერებასა და საყოფაცხოვრებო ნივთებში. ყოველდღიურად ძლიერდება გარკვეული სული [ჩეისტ], რომელსაც ადამიანი ფეხს ვერ უწყობს და კიდევ უფრო ნაკლებად ეწევა სულიერი თვალსაზრისით. თუკი შევისწავლით წინა საუკუნის მრავალფეროვან კულტურას, რამაც ასახვა ჰპოვა იმდროინდელ ცოდნის, ინსტიტუციების და კომფორტის სფეროებში და შევადარებთ მას ამავე პერიოდის პიროვნულ პროგრესს — ყოველ შემთხვევაში მაღალ სოციალურ ფენაში— მათ შორის შემაშფოთებელ სხვაობას აღმოვაჩენთ. სულიერებასთან, სიფაქიზესთან, იდეალთან მიმართებაში პიროვნული კულტურის განვითარებამ განუზომელი რეგრესი განიცადა.

ეს განსხვავება შრომის განაწილების შედეგია. სწორედ ის აყენებს ადამიანის წინაშე ცალმხრივი განვითარებისა და მიღწევების მოთხოვნას. ამ პროცესის მწვერვალზე კი ადამიანს ხშირად უწევს საკუთარი პიროვნეული მთლიანობის უარყოფა. ნებისმიერ შემთხვევაში, ობიექტური კულტურის მოძალება სულ უფრო მეტ უკმაყოფილო ინდივიდს ბადებს. შესაძლოა, პრაქტიკული საქმიანობისა და ჩახლართული გრძნობების ფონზე ამის გაცნობიერება ბოლომდე ვერც მოხერეხდეს, მაგრამ სინამდვილეში, ადამიანი უკიდურესადაა დამცრობილი. იგი ერთი ციდა მარცვალია უზარმაზარი, პირთამდე სავსე ნივთიერი და ორგანიზაციული წესრიგისა, რომელიც მას თანდათანობით ხელიდან აცლის ყველაფერს — მათ შორის, პროგრესს, სულიერებასა და ღირებულებებს. ამ ძალთა გავლენით სუბიექტური არსებობა ობიექტურ განზომილებად ტრანსფორმირდება. მეტროპოლისი, რომელიც კარგა ხანია გასცდა ყოველგვარ პიროვნულ მასშტაბს, ამისთვის საუკეთესო ადგილია. აქ შენობებსა და საგანმანათლებლო ინსტიტუციებში, კომფორტის საოცრებებსა და ტექნიკის მიერ დაპყრობილ სივრეებში, სოციალურ ფორმაციებსა და კონკრეტულ სახელმწიფო ინსტიტუციებში, პიროვნების კულტურული დეპერსონალიზაციის ისეთ გრანდიოზულ მასშტაბებს ვაწყდებით, რომ ცხადია, ძალიან ძნელი იქნება მის წინაშე საკუთარი თავის შენარჩუნება. ერთი მხრივ, ცხოვრება ბევრად გამარტივდა ახალი ინტერესების, მოტივაციის, დროისა და ყურადღების კონცენტრაციის თვალსაზრისით, რომელიც ადამიანს საერთო დინებაში ითრევს და მისგან არავითარ ზედმეტ ძალისხმევას არ თხოულობს. თუმცა, მეორე მხრივ, ცხოვრება სულ უფრო და უფრო მეტად ივსება უპიროვნო კულტურული ელემენტებით, სამომხმარებლო საქონლით თუ ღირებულებებით, რომლებიც თრგუნავენ ადამიანის ინდივიდუალურ მისწრაფებებს. ამ ვითარებაში პერსონალური ელემენტის გადასარჩენად აუცილებელია შეიქმნას და გაზვიადდეს კიდეც ექსტრემალური, თვითმყოფადი,

ინდივიდუალური იმისათვის რომ ადამიანმა წარმოაჩინოს — თუნდაც საკუთარი თავის წინაშე — საკუთარი ინდივიდუალობა. სწორედ ობიექტური კულტურის ჰიპერტროფიით გამოწვეული ინდივიდუალური კულტურის ატროფია განაპირობებს ექსტრემალური ინდივიდუალიზმის მქადაგებელთა, მაგალითად, ნიცშეს, საშინელ სიძულვილს დიდი ქალაქის მიმართ. ამითვე აიხსნება ის სიყვარული, რომლითაც მათ დიდ ქალაქში ხვდებიან. ისინი ხომ დიდი ქალაქის მცხოვრებლებს მხსნელებად, უკმაყოფილებისგან გადამრჩენლებად ევლინებიან.

თუკი ქალაქის რაოდნობრივ ფაქტორთან დაკავშირებულ ინდივიდუალობის ამ ორ ფორმასს დავაკვირდებით — ერთი მხრივ, პიროვნულ თავისუფლებას, მეორე მხრივ კი ინდივიდუალურობას — და მათ ისტორიულ კონტექსტში განვიხილავთ, ცხადი გახდება, რომ სულის ისტორიული დინამიკის პროცესში მეტროპოლისი სრულიად ახალ მნიშვნელობასა და ღირებულებას ატარებს. მეთვრამეტე საუკუნემ ადამიანს მარწუხებში მოქცეულს მოუსწრო. წნეხი უკვე უაზრობამდე იყო მისული: პოლიტიკური, აგრარული, ამქრებისა და რელიგიური შეზღუდვები არაბუნებრიობასთან ერთად უსამართლო და უთანასწოროც იყო. ამ ვითარებაში გაისმა თავისუფლებისა და თანასწორობის ამოძახილი. გაჩნდა რწმენა, რომ სოციალურ და ინტელექტუალურ სფეროში მინიჭებული თავისუფლება ადამიანში კეთილშობილურ საწყისს აღმოაცენებდა, რაც მასში ბუნების მიერ იყო ჩადებული, შემდეგ კი სოციალური ცხოვრებისა და ისტორიული განვითარების შედეგად გაუკუღმართებული. ამ ლიბერალურ იდეალთან ერთად, მეცხრამეტე საუკუნეში — ერთი მხრივ, გოეთესა და რომანტიკოსების გავლენით, მეორე მხრივ შრომის განაწილების წყალობით — ახალი ტენდენცია იკვეთება: ისტორიული მარწუხებიდან გათავისუფლებულ ადამიანებს სურთ, რომ განირჩეოდნენ ერთმანეთისაგან. პიროვნებაში უკვე აღარ იყო მნიშვნელოვანი „ზოგადადამიანური," ახლა პირიქით, მის ღირებულებას მისი გამორჩეული თავისებურებანი განსაზღვრავდნენ. ერთიანობაში ადამიანის როლის განსაზღვრის კრიტერიუმების ცვლილებამ და მისგან გამოწვეულმა კონფლიქტმა განაპირობა ჩვენი დროის როგორც შინაგანი, ისე გარეგანი ისტორია. მეტოროპოლისის ფუნქციაა იქცეს ამ ორი მიმართულების, კონფლიქტისა და მათი მორიგების მცდელობის ადგილად. რადგან, როგორც აღმოჩნდა, მისი განსაკუთრებული პირობები სტიმულს აძლევენ და ხელს უწყობენ ორივე მათგანის განვითარებას. ამასთან, მეტროპოლისი განსაკუთრებით ნაყოფიერი ნიადაგია, რომელიც ამოუწურავ შესაძლებლობებს გვთავაზობს მნიშვნელობებისა და სულიერი ცხოვრების განვითარების თვალსაზრისით. დიდი ქალაქები ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ისტორიული სტრუქტურებია, სადაც დაპირისპირებული სიცოცხლისმიერი ნაკადები თანაბარი უფლებით თანაარსებობენ. ამიტომ, მიუხედავად ჩვენი სიმპათიისა თუ ანტიპათიისა მათი კონკრეტული გამოვლინებების მიმართ, ისინი სცდებიან სამართლიანი განსჯის სფეროს. და რადგან ეს ძალები მონაწილეობენ ყველაფერში — როგორც უჯრედი, რომელიც ისტორიის ფესვებშიცაა და მის მწვერვალზეც — იქ, სადაც ახლა ჩვენ ვიმყოფებით — ჩვენი ამოცანაა, კი არ ვიწუწუნოთ ან უპირობოდ მივიღოთ, არამედ გავიაზროთ და გავიგოთ ისინი.

ინგლისურიდან თარგმნა

ქეთევან ჯიშიაშვილმა

მაკა ჯოხაძე

როცა მკვლელობას გამარჯვება ჰქვია

დაბადების ადგილი შეიძლება სამშობლოდ არ იქცეს, მაგრამ გარემო, ლანდშაფტი, ირგვლივ მყოფი ადამიანები ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავენ პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესს. ყოველ შემთხვევაში, ჯორჯ ორუელთან ასე მგონია. ხასიათისა არ იყოს, დაბადების ადგილიც ბედისწერაა...

ინგლისელი მწერალი ორუელი ინდოეთში დაიბადა, მოტიხარაში, საშუალო შეძლების არისტოკრატიულ ოჯახში. სწავლა წმ. კვიპრიანეს სახელობის სკოლაში განაგრძო. ამ პერიოდში მან სახელობითი სტიპენდია მიიღო და იტონის სამეფო კოლეჯშიც ჩააბარა. ეს იყო ყველაზე პრესტიჟული კერძო სასწავლებელი ვაჟებისათვის. იტონის დამთავრების შემდეგ აღარც სტიპენდია ჰქონია და აღარც უნივერსიტეტში გაუგრძელებია სწავლა. და უცებ, სხვათათვის სრულიად მოულოდნელ ნაბიჯს დგამს. მუშაობას ბირმის პოლიციაში იწყებს. ორუელმა ბირმული ენა შეისწავლა და ინტენსიური, ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდა უბრალო მოსახლეობასთან.

არაფერი ქრება უკვალოდ, მით უფრო – ბავშვობისა და ყრმობის წლები. ვინ იცის, რამდენჯერ შეძრულა მოზარდის მგრძნობიარე გული მზით დამწვარი და სიღარიბით განაწამები ადამიანების უსამართლოდ დასჯის გამო. კიპლინგისაგან განსხვავებით, ორუელი, როგორც თეთრი რასის წარმომადგენელი, თავს ყოველთვის დამნაშავედ გრძნობდა ინდოელების წინაშე. იგი ნამდვილ შემოქმედად იყო დაბადებული, თანასწორობისა და თავისუფლების საყოველთაო იდეა რე-

ლიგიის რანგში ჰქონდა აყვეანილი და ისევე ეთაყვანებოდა, როგორც თაგორი და განდი.

პოლიციაში მუშაობის წლები დიდი ცხოვრებისეული სკოლა გამოდგა. მას ხომ იმ პერიოდში ორიათასი ადამიანის უსაფრთხოება ებარა. არა მგონია, ორუელის სამართლიან ბუნებას სხვაგან მთელი სიმძაფრით ასე დაენახა, გაეანალიზებინა კანონისა და სასჯელის ერთგვარი პირობითობა; ეგრძნო, რას ნიშნავს, როცა უსამართლოდ გსჯიან და გამკითხავი არავინაა; ეგრძნო, რომ არა მხოლოდ ბელადს შეუძლია უკარნახოს ხალხის მასას თავისი ინტერესები, არამედ ბრბოსაც შესწევს ძალა, საკუთარი სურვილებისამებრ მეთაური მძევლად აქციოს და აქეთ-იქით ატრიალოს.

ხუთი წელი იმუშავა პოლიციაში და რომ არა ციების საშინელი შემოტევები, ალბათ, მისი პასუხისმგებლობის მქონე ადამიანი კიდევ კარგახანს შერჩებოდა ამ ადგილს. დახმარებისა და სამართლიანობის გრძნობასთან ერთად იქნებ ორუელს თავისი ნამდვილი მოწოდებაც აიძულებდა, სხვამხრივაც, უფრო მასშტაბურად ემოქმედა. ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა მისი მოგონებებიდან ერთი ამონარიდი: „მქონდა რაღაც ბუნდოვანი, წარმოდგენისმაგვარი ჩემს სამწერლო მოწოდებაზე, მაგრამ უფრო იმიტომ წამოვედი, რომ აღარ შემეძლო მემსახურა იმპერიისათვის, რომლის მძარცველი ხასიათი ბოლომდე შევიცანი“.

რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა რამდენიმე წლის განმავლობაში ორეულის გატაცება ჯეკ ლონდონით. ორუელს განსაკუთრებით უყვარდა მისი წიგნი „ფსკერის ადამიანები“. იმდენად უყვარდა, რომ ბიოგრაფები ირწმუნებიან, სწორედ ამ წიგნის გავლენით გადაწყვიტა ფსკერის ცხოვრებით ეცხოვრაო. ამ ვარაუდს მწერლისავე სიტყვებით ამაგრებენ: „მე თავად მინდოდა ბოლომდე დაცემა და ფსკერის ადამიანად ქცევა, მსურდა, ვყოფილიყავი ერთ-ერთი მათგანი – განკიცხულთაგანი და მის გვერდთი ვმდგარიყავი ტირანიასთან ბრძოლაში“.

ამაში არის სიმართლის მარცვალი, მაგრამ საყვარელი მწერლის გავლენის გარეშეც შესანიშნავად დასტურდება, რომ ორუელის მთელი ცხოვრება, სამართლიანობისათვის თვითშეწირვამდე ბრძოლა გოლგოთის გზაა და დარწმუნებული ვარ, სწორედ ეს არის მისი ბუნების უმთავრესი ნიშანი, ტვიფარი თუ დამღა. ამ ყოველივეს ისიც მოწმობს, რომ მტკიცე გადაწყვეტილებით მიემგზავრება პარიზში, სადაც შეეძლო მშვიდად დარჩენილიყო იქ მცხოვრები დეიდის მეურვეობის ქვეშ... ულამაზეს ქალაქში – ხელოვნების მექაში, სრული თავისუფლებით დამტკბარიყო და ამ ფონზე წარმართულიყო მისი შემოქმედებითი ძიებები, ინტერესები, ექსპერიმენტები... ნაცვლად ამისა, ვულფივით პარიზის მუშათა კვარტალში დასახლდა და ერთ-ერთ ფეშენებელურ სასტუმროში ჭურჭლის მრეცხავად მოეწყო. ამავე წლებში იწყებს ანრი ბარბიუსის ჟურნალთან თანამშრომლობას, ზედიზედ ბეჭდავს მოთხრობებს, რომელთა მთავარი თემა და მოტივები სწორედ ე.წ. ფსკერის ადამიანებს ეხება; წერს უმუშევრებზე, მაწანწალებზე, მეძავებზე, ლოთებზე, ღატაკებზე.

ლიტერატურათმცოდნეთათვის ეს გავლენები და თემებია, მაგრამ ნამდვილი შემოქმედისათვის ასეთი ტიპების გვერდით ცხოვრების სურვილი თანდაყოლილი მწერლური (იქნებ ადამიანური?!) პატიოსნება უფრო მგონია, ზედმიწევნითი სიზუსტით შეისწავლო და განიცადო ის ფიქრები, ემოციები, ნაბიჯები, ქმედებები, რითაც ეს ფენა არსებობს და სულდგმულობს; არც შენი თავი მოატყუო და მკითხველსაც ზუსტად გადასცე, გული რომ მოულბო და ცხოვრება სხვა კუთხითაც დაანახო.

რა არის ეს, რა ჰქვია მწერლის ამ გარჯას, თუ არა ადამიანის სიყვარული. ცნობილი ფაქტია, რომ ერთხელ ორუელმა ქუჩაში დებოშიც კი ატეხა, რათა შობას ციხეში შეხვედროდა: ციხის ცხოვრების გამოცდილების უკმა-

რისობას მწვავედ განვიცდიდიო. რომ არა მოყვასის დიდი სიყვარული და მისი ბოლომდე გაგების მძაფრი სურვილი, ვინ იცის, რამდენი საბედისწერო ნაბიჯი აღარ გადაიდგმებოდა ორუელის ცხოვრებაში. ორუელს აღიზიანებდა მხოლოდ აბსტრაქტული, უპიროვნო ცნებები, თუ მას პრაქტიკული საქმეებიც არ უმაგრებდა ზურგს. ამის გარეშე ყოველგვარი დარიგება და მოწოდება ეგზალტირებულთა ლოზუნგებად რჩებოდა. ორუელი უკვე ხედავდა სიტყვისა და საქმის კატასტროფულ, ტოტალურ დაცილებას, რაც ბევრისთვის შეუმჩნევლად ფეხს იკიდებდა მთელ სამყაროში. ეს განსაკუთრებით კომუნისტების ნაბიჯებით ცხადდებოდა. არადა, სამყაროს თანასწორუფლებიანი მოწყობის არსი თეორიულად არაჩვეულებრივად სწორედ კომუნისტებს ჰქონდათ ჩამოყალიბებული, მაგრამ რეალობაში ისეთი ნაბიჯები გადადგეს, კომუნიზმიც ფაშიზმად აქციეს.

ეს ფატალური პროცესი ორუელმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა დაინახა და საკუთარი ხელწერის მქონე უძლიერეს ნაწარმოებებში გადმოსცა. საკმარისია გავიხსენოთ რომანი „1984“, რომელიც (კამიუს „შავი ჭირისა“ არ იყოს, ფაშიზმის სიმბოლოდ რომ აღიქმებოდა) საბჭოთა კავშირის ამსახველ წიგნმეტაფორად იყო მიჩნეული. ორუელი ერთგვარ გაფრთხილებას იძლეოდა, როდესაც აღნიშნავდა, რომ ტოტალიტარიზმის იდეა საყოველთაო, საერთო იდეაა და იგი, როგორც წესი, ინტელექტუალთა ტვინებში ცოცხალობს და ანთია. ცხადია, არც ისაა შემთხვევითი, რომ რომანში „1984“ მოქმედება ინგლისში მიმდინარეობს, რითაც ორუელმა კი არ მიანიშნა, არამედ პირდაპირ უთხრა სამყაროს – „ინგლისურენოვანი ერები არაფრით უკეთესნი არ არიან დანარჩენ ერებზე და ტოტალიტარიზმს თუ ბრძოლა არ გამოუცხადეს, მას ყველგან შეუძლია გამარჯვება“.

მწერლის თვალსაზრისისა თუ რწმენის საყოველთაობა იმანაც დაადასტურა, რომ რომანი „1984“, რომელიც თავდაპირველად დიდი გაჭირვებითა და სიფრთხილით ათასიანი ტირაჟით ძლივს დაიბეჭდა ამერიკაში, 1948 წელს, გარდაცვალებამდე სულ რაღაც წელიწადნახევრით ადრე, ავადმყოფმა ორუელმა უკვე შეიტყო ამ წიგნისადმი მკითხველთა გასაოცრად მზარდი ინტერესი. ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ რომანი მსოფლიოს სამოც ენაზე ითარგმნა და მილიონობით ტირაჟით გამოიცემა.

ინტერესი არ მოკლებია ორუელის მეორე წიგნსაც „ცხოველების ფერმა“, რადგან ბოლშევიკებმა იგავ-რომანში, აშკარად იცნეს საკუთარი თავი, საბჭოთა კავშირში ამ ნაწარმოებს წლების განმავლობაში ედო ტაბუ.

ამბოხებული ცხოველები იგივე ადამიანები არიან, რომლებიც სამართლიანობის სახელით რევოლუციას აწყობენ, მაგრამ ამის შედეგად არაფერიც არ იცვლება, გარდა იმისა, რომ ხელისუფლებაში მოსული ახალი ცხოველები ძალაუფლებით იწყებენ ტკბობას და, საბოლოო ჯამში, ისინიც ტირანებად ყალიბდებიან. ასე რომ, თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის ბრძოლის გზას ჯორჯ ორუელი უკვე აღარც რევოლუციებში ხედავდა.

„მოიპოვო ჭეშმარიტი თავისუფლება – ნიშნავს, შეხვიდე სულიერ სამყაროში. თავისუფლება სულის თავისუფლებაა... სულიერ სამყაროში შესასვლელად ადამიანმა თავისუფლების გმირობა უნდა ჩაიდინოს“, – წერდა ნიკოლოზ ბერდიაევი და ეს სიტყვები მეოცე საუკუნის მწერალთაგან თუ ვინმეს მიესადაგება, სწორედ ჯორჯ ორუელს.

განა „თავისუფლების გმირობა“ არ იყო ის, რომ 1936 წლის მიწურულს ორუელი ესპანეთში მიემგზავრება, რათა ესპანეთის რესპუბლიკა ფრანკოს რეჟიმისაგან იხსნას, იმ ფრანკოსაგან, რომელსაც ჰიტლერი და მუსოლინი, როგორც მათი იდეების გამტარებელს, როგორც ერთ-ერთ სერიოზულ თანამოაზრესა და თანამოთამაშეს, ისე უჭერდნენ მხარს. ორუელის სურვილმა ჩვენი ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე გა-

მახსენა, გარიბალდის რაზმში მოხალისედ რომ აპირებდა ჩაწერას. ორუელიც მოხალისე იყო, თავდაპირველად სამხედრო რეპორტაჟების გადმოსაცემად რომ ჩავიდა კატალონიაში.

ფაშიზმის გრძნობა, მისი პერსპექტივაში დანახვა, საოცარი სისავსითა და სიზუსტით ამ რეჟიმის შედეგების წინასწარჭვრეტა, ჩემი აზრით, ისე ვერავინ შეძლო, როგორც ჰერმან ჰესემ და ჯორჯ ორუელმა. თუმც იყვნენ ამ საკითხისადმი (თემისადმი) სხვაგვარად განწყობილი მწერლები, რომლებიც თვლიდნენ, რომ მოვალეობის გრძნობის გამო სხვის ომში ჩართვა „იდიოტური ნაბიჯია, ხოლო ფანტაზია იმის შესახებ, რომ ებრძოლო ფაშიზმს, დაიცვა დემოკრატია და ასე შემდეგ, ნამდვილი სისულელეა“. – ეს სიტყვები ორუელს პარიზში მისმა კეთილისმსურველმა ჰენრი მილერმა უთხრა, როცა გაიგო, რომ მწერალი ესპანეთში საფრანგეთის გავლით მიემგზავრებოდა.

გულდასაწყვეტია... შემდგომში თავგადაკლული ფაციფისტისაგან ირონიული შეფერილობის ეს დარიგება ადამიანურად იქნებ გასაგებიც იყოს, მაგრამ მწერლისაგან მაინც ძნელი მოსასმენია.

ფაშისტური გერმანიის მძვინვარების პერიოდში ერთ მხატვარს თურმე სრული სერიოზულობით განუცხადებია: მე მხატვარი ვარ და ვთვლი, თუ შთამომავლობისათვის რამდენიმე ყვავილის შეგროვებას და ტილოზე გადატანას მოვახერხებ, ჩემგან სრულიად საკმარისი იქნებაო.

დანემი შენიშნავს, რომ ამ დროს ფაშიზმის შავი აჩრდილი ეკიდა ევროპის ცაზე და ესპანეთი იღუპებოდაო. რა თქმა უნდა, მხატვარს გაცილებით მეტის გაკეთება შეეძლო, ვიდრე ყვავილების შეგროვება და მათი ტილოზე გადატანა იყოო...

მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ „მეტის შემძლე“ მხატვრებს – გუტუზოს, მუნკის, სალვადორ დალის გულისძგერასთან მიახლოვებული გულის ცემა მაინც უნდა ჰქონოდათ.

ერთხელ პორტუგალიის დიდმა პოეტმა ჟუნკეირომ უნამუნოს პირად საუბარში უთხრა, ესპანეთს პოეტები საერთოდ არ ჰყოლიაო. შემცბარმა უნამუნომ უპასუხა, თქვენ ალბათ პატრიოტებს გულისხმობთო. დიახ, პატრიოტიზმს ვგულისხმობ, რადგან ჩინოვნიკი, სახელმწიფო მოხელე, ბუღალტერი, თვით ფილოსოფოსიც კი შეიძლება არ იყოს პატრიოტი, მაგრამ პოეტი კი ყოვლად წარმოუდგენელია ამის გარეშე. მე დარწმუნებული ვარ თქვენი ქვეყანა მალე მოიშუშებს ომის ჭრილობებს, შექმნის სწორ, გონიერ ეკონომიკას, წელშიც გასწორდებით, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ესპანეთისათვის საბედისწერო წლებში თქვენ პოეტები არ გყოლიათ, რადგან მათი სასოწარმკვეთი ყვირილი კი არა, უბრალო წუწუნიც კი არ გამიგონიაო.

ყოველივე ამან გალაკტიონის „მღერენ რომანსეროებს, რა დროს რომანსეროა“ გამახსენა, ანდა „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია და სისხლიანი დგას ანგელოსი“... ამ სტრიქონების ათასნაირი ინტერპრეტაციაა შესაძლებელი ინტელექტუალთა მიერ, მაგრამ „სისხლიან ანგელოსში“ მაშინაც და ჩვენი ისტორიის უახლოეს პერიოდშიც, ესპანეთისა არ იყოს, ყოველთვის საქართველო იგულისხმებოდა და იგულისხმება.

მაშ ასე, 1936 წელს ორუელი ესპანეთში, კერძოდ, კატალონიაში ჩადის საგაზეთო წერილების დასაწერად. როგორც მისი ტემპერამენტისა და მსოფლშეგრძნების კაცისაგან იყო მოსალოდნელი, იგი მაშინვე ადგილობრივი მილიციის ქმედით რაზმებს უერთდება, რათა ფრონტის წინა ხაზზე მოხვდეს და უშუალოდ ჩაებას ბრძოლებში; როგორც მწერალმა, მან მთლიანად უნდა იგრძნოს და დაინახოს ომი შიგნიდან, ომი, როგორც სამყაროს გადამრჩენი თუ დამანგრეველი ფენომენი. ამ პერიოდში კატალონიას ისევ ანარქისტები აკონტროლებდნენ, რევოლუციური ტალღები ბოლომდე იყო აგორებული...

ჩასვლისთანავე თვალშისაცემია ესპანეთის ფერთა ერთგვარი სიმბოლიკა.

მთელს კატალონიაში ორად ორი ფერი დომინირებს – წითელი და შავი. ამ უეშმაკო ფერებში პირდაპირ იკითხება: შავი – მიწა და წითელი – სისხლი.

სწორედ ამ გამოცდილებითა და აქ ყოფნის შედეგად იწერება ორუელის ერთ-ერთი შესანიშნავი ნაწარმოები „პატივი კატალონიას“. არც კი ვიცი, რომელი ჟანრის კუთვნილებად შეიძლება გამოცხადდეს ეს თხზულება – სამხედრო თუ საველე რომანად? დოკუმენტურ პროზად? თუ ავტობიოგრაფიულ თხზულებად? მსგავსი განსაზღვრებები და ჩარჩოები უაღრესად პირობითი იქნებოდა, იმდენად მრავალმხრივი და განსაცვიფრებელი სიზუსტით დაწერილ ნაწარმოებთან გვაქვს საქმე. კითხვის პროცესში მთლიანად იკარგება დროისა და სივრცის პირობითობა და ჩნდება აბსოლუტური განცდა იმისა, რომ შენც ამ ომში მონაწილეობ.

აღარ მახსოვს, რომელ მწერალს უწერია, რომ კოლოჰოსტის მერე ლიტერატურა შეუძლებელი გახდაო. მაგრამ ორუელის ამ სასტიკ წიგნს სწორედ ეს უცნაურობა ახასიათებს – ომის კოშმარული პერიპეტიების გავლით იგი სწორედ შეუძლებლის ზღვარს გადალახავს და შესაძლებელს ხდის, დაგვანახოს: თვით გაუსაძლის პირობებში, ომის ამაზრზენ აბსურდში, ტალახში, სიცივეში, სიბინძურეში, შიმშილსა და სისასტიკეში როგორ შეიძლება გადარჩე არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ გადარჩე პიროვნებად და ღირსება შეინარჩუნო.

დღევანდელი მკითხველისათვის თითქოს რა უნდა იყოს იმაზე მოსაწყენი, რომ მთელი გვერდების მანძილზე ყოველგვარი ინტრიგის, სასიყვარულო, პიკანტური სცენების, ეროტიკის, პათოლოგიური სიტუაციების, ოკულტიზმისა და მისტიკის გარეშე დაწერილი ნაწარმოები იკითხო და... წამითაც არ მოგწყინდეს. სწორედ ამაშია ორუელის, როგორც მწერლის სიძლიერე, ამ რომანის ხიბლი და ანდამატი. სწორედ ამ მოუხელთებელი, თითქმის აუხსნელი ინტერესით იკითხება ორუელის ომის საგა – „პატივი კატალონიას“.

თავი რომ დავანებოთ მწერლის პოლიტიკურ შეხედულებებს, მის გაწბილებებსა თუ განხიბვლებს, ორუელს ერთი უცნაურობა სჭირს, ნებისმიერ სახიფათო სიტუაციაში იგი, როგორც რომანტიკოსი ისე ერთვება. ასე მოხდა კატალონიაშიც. „მოკავშირე“, რუსი „ძმების“ მიერ ინსპირირებულმა ესპანეთის სამოქალაქო ომმა კი იგი დიდ რეალისტად აქცია. ასეთია მისი ბუნება და ეს ბუნება ზედმიწევნითი სიზუსტით გამოიხატა ორუელის მრწამსში: „თუ მწერალი არ გრძნობს სიმართლეს იმისას, რაზეც წერს, მაშინ მკვდარია მისი შემოქმედებითი რაციო“. აი, სწორედ ეს სიმართლე, ეს შინაგანი პატიოსნება, სინდისი – ეს ღვთის ხმა ადამიანში აიძულებდა მწერალს სულიერი და ფიზიკური ძალების უკიდურესი დაძაბვითა და სრული მობილიზებით ეჩვენებინა ომი როგორც გარედან, ისე შიგნიდან. თითზე ჩამოსათვლელია იმ პერსონაჟთა გვარები, რომლებიც რომანში მონაწილეობენ, მაგრამ ისეთი განცდა გრჩება, რომ კითხვისას ჟორჟ კოპის, ნინის, ეილენის, ბობ სმაილის, უილიამსისა და კიდევ რამდენიმე პერსონის გვერდით ამ ომში ჩართულ თითოეულ ჯარისკაცს ხედავ, გესმის და გრძნობ მათ ხმებს, განცდებს, ემოციებს, მათ შეგრძნებებს, გულისცემას... არადა, ისინი ათასობით არიან.

წიგნის რიტმი თავიდან ისევე მშვიდად, ნელ-ნელა იკრებს ძალას, როგორც კატალონიიდან ნელი სვლით გასული მატარებელი არაგონის ზეგანზე. ომის პერიოდისათვის შესაფერისი ტემპით, საათში დაახლოებით ოცი კილომეტრის სისწრაფით რომ მიუყვება გზას.

ისიც სიმბოლურია, რომ წიგნის დასაწყისშივე, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ომის დასაწყისი, ახალი სიცოცხლე ჩნდება ინგლისელი უილიამსის ცოლის მიერ: „ნაზი, შავთვალება, ღრმადქალური არსება, რომელიც ისე გამოიყურებოდა, თითქოს მისი ცხოვრების საქმე აკვნის რწევა იყო, არადა

ფაქტია, რომ ვაჟკაცურად იბრძოდა კაცების გვერდით ივლისის ბრძოლებში. ამჯერად მას ჰყავდა ჩვილი, რომელიც ომის დაწყებიდან სულ რაღაც ათი თვის შემდეგ გაჩნდა და, ალბათ, რომელიმე ბარიკადის უკან მოევლინა ქვეყანას“.

ძნელი სათქმელია ორუელივით ეს „ნაზი არსებაც“ იდეისა და სამართლიანობის გამო იბრძოდა ამ გაგანია ომში თუ საკუთარი ოჯახის ინსტინქტური დაცვისა და განუყოფლობის მდედრული თავგანწირვა აიძულებდა, ქმრის გვერდით ყოფილიყო ტყვიების ქარცეცხლში. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ეს აბსურდული ომი სწორედ სიცოცხლის დაბადებით იწყება წიგნში. თითქოს ჩაძინებული, ვარდისფერი ჩვილის ანგელოზურმა ღიმილმა უნდა გადაფაროს, გაანეიტრალოს ის საშინელი ხმაური და ხილვები, სუნი და შეგრძნებები, გასული საუკუნის ოცდაათიანი, ორმოციანი წლების ომებისათვის რომ იყო დამახასიათებელი.

საკვირველი რამ არის ომი. ნებისმიერი ომი – „სამართლიანი“ თუ „უსამართლო“, დიდი ანგარიშით, პიროვნების გაუვნებელყოფას, განეიტრალებას, წაშლას ემსახურება. სულაც არ ვთვლი, რომ ჩემი მოსაზრება პაციფისტურია. ბრჭყალებში ჩასმული „სამართლიანი“ და „უსამართლო“ ომების არსიც კარგად მესმის და იმ ისტორიული მეფეების, გენიალური მხედართმთავრებისაც, რომელთა ტვინებსა და გულებშიც ერთდროულად იბადებოდა ქვეყნისა და საკუთარი ხალხის, საკუთარი სამშობლოს გადარჩენისათვის საჭირო ტაქტიკური თუ სტრატეგიული გეგმები და სვლები. ისიც კარგად ვიცი, რომ ქრისტიანობა ამგვარ თავდაცვით ომებს აკურთხებდა. როგორც მღვდელმთავარი ნიკოლოზ სერბი იტყოდა – „ჩვენ ამ ქვეყნად იმისთვის მოვდივართ, რომ მისგან თავი ვიხსნათ, ისევე, როგორც ადამიანები ომში თავის შესაქცევად კი არ მიდიან, არამედ იმიტომ, რომ მისგან თავი იხსნან“.

მე უფრო თანამედროვე ომებზე ვსაუბრობ, მათ ნაირნაირ სახეობებზე, მეოცე საუკუნიდან მოყოლებულ მსოფლიო ომებზე, საერთაშორისო ომებზე, ტერორიზმზე, რომელთა კულისებსმიღმა არსებული მაპროვოცირებელი თუ შემქმნელი ძალები არაჩვეულებრივად იყენებენ ეპოქალურ, ისტორიულ მონაკვეთებს და სწორედ სიტუაციებით, ისტორიული პერიოდებით ამართლებენ პიროვნების, ზოგადად, ადამიანურობის არაფრად ჩაგდებას, სულაც – გაქრობას, ცნობილი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ადამიანების საზარბაზნე ხორცად გამოყენებას. სწორედ ეს განსაზღვრავს თანამედროვე ომების ყველაზე დიდ ტრაგიზმს. მწერალს კი ისღა დარჩენია, როგორც პავიჩი იტყოდა, თვით ომის დროსაც კი არ შეწყვიტოს შენება, ესე იგი, წერა.

ომის ტრაგიკულობისა და აბსურდულობის გაგება იმდენად ომის ხმაურით – ჭურვების, ზარბაზნების, ქვემეხების, ავტომატების, ხელყუმბარების აფეთქებებით, კაკანითა თუ გამაყრუებელი ზალპებითა და ბათქა-ბუთქით, ერთი სიტყვით, მთელი სამხედრო არსენალის დაცლის თანმხლები ჭექა-ქუხილის, ელვა-ნათებების, დაჭრილი ადამიანების კვნესა-გოდებითა და მომაკვდავთა უკანასკნელი ამოსუნთქვით კი არაა შესაძლებელი, რამდენადაც ს ი ჩ უ მ ი თ. დიახ, ომის დამთავრების შემდგომ ჩამოვარდნილი სიჩუმით. ამ შემთხვევაში, არც მოგებული ომების თანმხლები ყიჟინა მავიწყდება და არც შინდარჩენილ ჭირისუფალთა სიხარულიანი, თვალცრემლიანი მიგებებები. მე უფრო ამ ხანმოკლე დღესასწაულების შემდგომ ჩამოვარდნილ ს ი ჩ უ მ ე ს ვგულისხმობ, მცირეოდენი პერიფრაზით ბრეხტის გამოთქმა რომ მოვიშველიოთ – ომი დამთავრდა, სიჩუმის გეშინოდეთ!

სიჩუმეში, დუმილის ამ სამარეში, დიდხანს რჩებიან გამარჯვებული თუ დამარცხებული ომის მონაწილე ადამიანები, ჯარისკაცები და ომში კი არა, სწორედ აქ, ამ სიჩუმეში წყდება მათი ყოფნა-არყოფნის ბედი. სწორედ საკუ-

თარ თავთან დარჩენის სიჩუმეში იმარ-ჯვებენ ან მარცხდებიან საბოლოოდ.

ამ თვალსაზრისით, პირადად ჩემ-თვის, ომი იგივე ციხეა, უბრალოდ პროცესები ერთში ღია ცისქვეშ მიმდი-ნარეობს, მეორეში კი – დახურულ სივ-რცეში. ერთს რკინის გისოსები იცავს, მეორეს ტყვიების განუწყვეტელი ჯერი. ერთში საკნების სულისშემხუთველ სივ-რცეში წვანან ტუსაღები, მეორეში, წვი-მასა თუ თოვლში, დარსა თუ ავდარში საკუთარი ხელით გათხრილ სანგრებ-ში იმალებიან ჯარისკაცები. ომშიც და ციხეშიც შიშის აჩრდილი სიკვდილივით დაძრწის. მისი ძრწოლა ჯარისკაცისა თუ პატიმრის ქვეცნობიერ სამყაროში დამწყვდეულ მხეცს ათავისუფლებს. ეს მხეცი მბრდღვინავი ლომივით თვით-გადარჩენის ინსტინქტს აღვიძებს და ადამიანს აიძულებს, მხოლოდ საკუთარ თავზე იზრუნოს. ამიტომ შენსკენ მო-მართული ყოველი აცდენილი მუშტი თუ ტყვია გამარჯვებაა, ხოლო შენგან მოკლულ, დასახიჩრებულ ადამიანს კი გამარჯვება ჰქვია.

ომიც და ციხეც ის ურჩხულია, რომ-ლის ბნელ სტომაქგამოვლილი უპიროვ-ნო ადამიანები სიჩუმის სანგრებში, სი-ჩუმის თავშესაფრებში იმალებიან და იმავე ინსტინქტებით გრძნობენ, რომ რაღაც უაღრესად მნიშვნელოვანი და უმთავრესი გაებნათ თუ დაეკარგათ. მაინც რა ჰქვია ამ დანაკარგს, რის გა-მოც სწორედ ჩამომდგარ სიჩუმეში ეწა-მებიან ტუსაღები და ჯარისკაცები? ათასი სახელი შეიძლება დაეძებნოს, მაგრამ, ვფიქრობ, ყველაზე მეტად შე-ურაცხყოფის განცდა შეეფერება მას, გრძნობა, რომელსაც მხოლოდ პიროვ-ნებები განიცდიან და სიჩუმის სამარეში სირცხვილის ალმურებად ეკიდება მათ სისხლსა და ღაწვებს. რა უცნაურია და რა ბუნებრივად მანუგეშებელიც ერთსა და იმავე დროს, რომ სირცხვილით, ამ ღვთითმომადლებული გრძნობით, რომ-ლის საბოლოო სახელიც სინანულია, ისევ ტუსაღები და ჯარისკაცები ის-ჯებიან, ისევ ჩაგრულები ისჯებიან და არა ჯალათები, ისევ შემსრულებლები და არა შემკვეთები. ეს ხომ იმას ნიშ-ნავს, რომ პირველნი სულიერად ჯერ ისევ ცოცხლობენ და გადარჩენის შან-სიც გააჩნიათ. ხოლო მეორენი, სული-ერად მკვდარნი, დაუმარხავი გვამები-ვით დაიარებიან დედამიწაზე.

ორუელმა საოცარი ომი დახატა, რომლის სისასტიკეში, „ხმაურსა და მძვინვარებაში“, აპოკალიფსურ ხილ-ვებსა თუ ქვემეხების გამაყრუებელ ჭექა-ქუხილში, შემაძრწუნებელ სიბნე-ლეში ელვისებურ ნათებებსა თუ ტალა-ხაზელილ თოვლში, მკბენარებით სავსე ბზედაგებულ ლოგინებსა თუ საცვლებ-ში, პაროლარეული დაბნეული გუშაგე-ბის ტყვიების ზუზუნში, ფრონტისპირა დაბომბილ სოფლებსა თუ მადრიდის წითელი დროშების ფრიალში წამითაც არ აბნევია თავგზა და წამითაც არ და-ვიწყებია ეს საცოდავი, უსმელ-უჭმელი ახალწვეულები. ბავშვები, სულ პატარა, გულადი 13-14 წლის ბიჭები, რომელ-თაც არაფერი უჭირდათ ისე, როგორც უძილობის გადატანა: „ჩემი სექციის საცოდავი ბავშვების გაღვიძების ერ-თადერთი გზა იყო ფეხებში ჩავლება და მიწურიდან გამოთრევა. მაგრამ რო-გორც კი ზურგს შეაქცევდი, მაშინვე ტოვებდნენ თავიანთ პოსტებს და ისევ მიწურში მიძვრებოდნენ. ის კი არა, სა-შინელი სიცივის მიუხედავად, სანგრის კედლებს ეყუდებოდნენ და ასე იძინებ-დნენ“.

ომში – ჯოჯოხეთის ამ მრუმე ფე-რებში ორუელის თვალი, რომელიმე ახლადგაკვირტული, ანდა კვირტიდან ახლადგამომხტარი ყვავილის თეთრ-ვარდისფერ წინწკლებს ისე მოულოდ-ნელად ამოზიდავს და მიმოაბნევს მი-დამოს, როგორც ჭაობის ბინძური ფსკერიდან მოულოდნელად ამოსკდე-ბიან ხოლმე ყველაზე უბინო, ქათქათა დუმფარები.

საერთოდ, ძალიან უცნაურია ამ წიგნის პეიზაჟი. ისეთი განცდა გრჩება, რომ მწერლის შეგრძნებები და თვალი კი არ აფიქსირებს მათ, არამედ თავად ცოცხალი ბუნების არსი, მერქანი, გუ-ლისგული რეაგირებს ადამიანთა სი-

სასტიკეზე, უგნურებაზე, სიმკაცრეზე, დაბნეულობასა და უმწეობაზე: „ცაში თითქმის არასოდეს დაფრინავდნენ ჩიტები. არა მგონია, ოდესმე მენახოს ქვეყანა ესოდენ მცირერიცხოვანი ფრინველით“... წავიკითხე თუ არა ეს სიტყვები, მაშინვე ჩვენი ქალაქი გამახსენდა, ე.წ. სამოქალაქო ომის მერე 4-5 წლის განმავლობაში თბილისის ცაზე მერცხლების გუნდი რომ აღარ გამოჩენილა.

„რატომღაც ყველა საუკეთესო მატადორი ფაშისტი აღმოჩნდა“. ეს ფრაზაც ორუელის აღმოჩენაა, რომლის ბუნდოვან გარკვეულობაშიც პირადად ჩემთვის, ესპანური გენეტიკისა თუ ხასიათის მნიშვნელოვანი შტრიხიც იკვეთება.

რაც შეეხება ესპანურ მენტალობას, მის ამსახველ მრავალ შთამბეჭდავ მაგალითს გვიჩვენებს მწერალი, რომელიც გაოგნებულია ამ ხალხის განუყრელი კეთილშობილებით, სულგრძელობითა და მათი „თავგზისამბნევი“ ხელგაშლილობით. ჟურნალისტები კი მათ ათასგვარ სიცრუეს მიაწერენ, მათ შორის, უცხოელების მიმართ შურის გრძნობასაც. ამ ცილისწამებით აღშფოთებული ორუელი ფრონტიდან დაბრუნებულ ესპანელთა ერთ ჯგუფს იგონებს, თუ როგორი აღფრთოვანებით ყვებოდნენ ჰუესკაში მათ გვერდით მებრძოლ ფრანგ ჯარისკაცებზე და დასძენდნენ – ძალიან მამაცები არიან, ჩვენზე ბევრად უფრო მამაცებიო. როცა ორუელმა ეს გააპროტესტა, ესპანელებმა მშვიდად აუხსნეს: „ფრანგები უკეთ ფლობენ ომის ხელოვნებას, უფრო განაფულები არიან ბომბების, ტყვიამფრქვევების და სხვა ამდაგვარის მოხმარებაში“-ო და მაინც: ფრანგების საომარი ხელოვნების ასეთი აღნიშვნა ფრიად საყურადღებო გახლდათ. ინგლისელი კაცი უმალ ხელს მოიჭრიდა, ვიდრე ასეთ რამეს იტყოდაო – დაასკვნის ორუელი.

ესპანური მენტალობის ცოცხალი ნიმუშია ორუელის მიერ მონათხრობი ერთი ასეთი ეპიზოდიც. ეს ის პერიოდია, როდესაც ომისა და პოლიტიკური ცვლილებების შედეგად გაჩენილი აბსურდის წყალობით ესპანეთში ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანები უკვე თავად ცხადდებიან ფაშისტებად, მოღალატეებად და მათზე ნადირობაა გამოცხადებული. სწორედ ასეთ სიტუაციებში იხატება ყველაზე მძაფრად ხალხის, როგორც ერის, როგორც ნაციის ღრმად დამარხული საუკეთესო თვისებები. ამ თვალსაზრისით ინგლისელ მწერალს მიაჩნდა, რომ ესპანელებს ისეთი კეთილშობილება და დიდსულოვნება მოსდგამთ, როგორიც არსებითად უკვე აღარ ახასიათებს მეოცე საუკუნეს. ამის საილუსტრაციოდ მათ ნომერში ჩატარებული ჩხრეკის მომენტი მოაქვს.

„პოლიციამ ჩხრეკა ოგპუ-სა და გესტაპოს სტილში ჩაატარა. გათენებისას კარზე ბრახუნი გაისმა, ოთახში ექვსი კაცი შემოვიდა, სინათლე აანთო და მაშინვე თავისებურად განლაგდა ოთახში, რაზეც, ცხადია, წინასწარ იყვნენ შეთანხმებულნი. ორივე ოთახი (ზედ მიბმული სააბაზანოთი) გაუგონარი გამოწვლილვით გაჩხრიკეს. კედლებს უკაკუნებდნენ, ნოხები აიღეს, იატაკი შეამოწმეს, თითებით მოსინჯეს ფარდები, ყველა უჯრა და ჩემოდანი დაცალეს...“ და ა.შ. ორუელი ზედმიწევნითი სკრუპულოზურობით აღწერს ორსაათიანი ჩხრეკის გულისგამაწვრილებელ დეტალებს და ეს ყველაფერი უცებ ასე მთავრდება: „მთელი ამ დროის განმავლობაში არცერთხელ არ გაუჩხრეკიათ საწოლი, რომელშიც ჩემი ცოლი იწვა და რომლის ქვეშაც ნახევარი დუჟინი თოფ-ავტომატი მაინც შეიძლებოდა ყოფილიყო გადამალული, რომ აღარაფერი ვთქვათ ტროცკისტული დოკუმენტების მთელ ბიბლიოთეკაზე ბალიშის ქვეშ. ამის მიუხედავად დეტექტივებს ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამთ საწოლისაკენ, მის ქვეშაც კი არ შეუხედავთ. ვერ დავიჯერებ, რომ ეს ოგპუ-ს რუტინის ჩვეულებრივი შტრიხია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პოლიციას თითქმის მთლიანად აკონტროლებდნენ კო-

მუნისტები და ეს კაცები ალბათ თვითონაც კომუნისტური პარტიის წევრები იყვნენ. მაგრამ ამასთანავე, ისინი ესპანელებიც იყვნენ და ქალის წამოგდება საწოლიდან მათთვის მეტისმეტად წარმოუდგენელი იქნებოდა. საქმის ეს ნაწილი უსიტყვოდ გამოტოვეს, რამაც მთელ ჩხრეკას აზრი დაუკარგა“.

ცალკე თემაა ომის სამხედრო არსენალის, ესპანეთის ომში ჩამორიგებული უვარგისი იარაღის აღწერა-დახასიათება, რომელსაც ისეთი გაბრაზებული ვნებიანობით აღწერს ორუელი, რომ მკითხველს სულაც არ გაუკვირდებოდა ფრანკოს წინააღმდეგ მებრძოლი ჯარისკაცები ერთიანად დეზერტირებად რომ ქცეულიყვნენ. ვინ იცის, რამდენი ასეთი გულანთებული ჭაბუკის სიცოცხლე შეიწირა ამ გაუმართავმა იარაღმა, ადამისდროინდელმა გრძელცხვირიანმა მაუზერებმა, დანესტიანებულმა ტყვიაწამალმა და თვითნაკეთმა ხელყუმბარებმა, რომელთა ზონარსაც მოქაჩავდი თუ არა, ყუმბარა ელვისუსწრაფესად უნდა გეტყორცნა და მოგეცილებინა თავიდან. „მიუკერძოებელი“ ბომბებიაო, ასე ხუმრობდნენ სიკვდილთან მოთამაშე ჯარისკაცები, რადგან ეს გაუმართავი იარაღი „იმასაც კლავს, ვისაც ესვრიან და იმასაც, ვინც ისვრისო“.

ორუელის მიერ დახატულმა ომმა სიცრუისა და ცილისწამებისაკენ მიდრეკილ ჟურნალისტთა „მოღვაწეობაც“ ასახა და მხართეძოზე წამოწოლილი იმ „ექსპერტების“ უტიფრობაც, რომლებსაც ომის ზურგშიც კი არ დაუდგამთ ფეხი და თავს უფლებას აძლევდნენ, მის პერიპეტიებსა თუ მიმდინარეობებზე „კომპეტენტურად“ ესაუბრათ.

დროის კონტექსტს ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი. ყოველთვის მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის დროულად ე.ი. დროზე წაკითხულ წიგნს. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ნამდვილი წიგნი ამა თუ იმ ეპოქაში აქტუალობას კარგავს. არა, ისინი ორუელის წიგნებივით მარადი წიგნებია. მაგრამ ორუელის გამოჩენას ქართულ სალიტერატურო სივრცეში, დროის თვალსაზრისითაც გააჩნია თავისი დიდი დატვირთვა.

ჩვენ, ქართველებმა, უკვე გადავიტანეთ ე.წ. ომები. ვგულისხმობ 90-იანი წლების სამოქალაქო და 2008 წლის პროვოცირებულ ომებს. ამიტომაც „პატივი კატალონიას“ არა მხოლოდ დიდი ინტერესით, არამედ განსაკუთრებული გულისძგერითაც იკითხება. და ერთგვარი სევდიანობითაც გიკვირს, რა ტყუპისცალებივით ჰგავს ერთმანეთს ესპანეთსა თუ საქართველოში განხორციელებული ომები.

„არაჩვეულებრივი ცხოვრებით ვცხოვრობდით, არაჩვეულებრივად ვომობდით, თუ ამას ომი შეიძლება დარქმეოდა. მთელი რაზმი ჭკუიდან გადაჰყავდა უმოქმედობას და გამუდმებით ითხოვდა, გაეგო, რატომ არ აძლევდნენ შეტევაზე გადასვლის უფლებას... ჟორჟ კოპი, რომელიც პერიოდულად ახორციელებდა შესამოწმებელ შემოვლებს, არაფერს გვიმალავდა: „ეს ომი არ არის, ეს არის კომიკური ოპერა შიგადაშიგ სიკვდილით“. სტაგნაციას არაგონის ფრონტზე, ფაქტობრივად, ჰქონდა პოლიტიკური მიზეზები, რომელთა შესახებაც იმხანად არაფერი ვიცოდი“.

როცა ამ მიზეზებში გაერკვა, უკვე საკმაოდ გვიანი იყო. ჯორჯ კოპი, ეს ზორბა, დანიელი მაიორი, რომელმაც ორუელის თქმით, „მთლიანად გაიღო მსხვერპლი“, რომ ესპანეთში ჩასულიყო და ფაშიზმის წინააღმდეგ ებრძოლა, სწორედ პოლიტიკური მიზეზებით ახლა ციხეში იყო გამომწყვდეული. ორუელის მხრივაც საკუთარი სიცოცხლის რისკზე შეგდებას ნიშნავდა ცოლთან ერთად მისი სატუსაღოში მონახულება და კოპის გამოსახსნელად მთელი რიგი ნაბიჯების გადადგმა, თუმც ამ მცდელობიდან მაინც არაფერი გამოვიდა.

საბოლოოდ, როგორც იქნა, თავადაც ეილინთან ერთად ძლივს მოახერხა ესპანეთიდან გაქცევა და საფრანგეთის გავლით სამშობლოში დაბრუნება.

საოცრად იწყება ორუელის რომანი „პატივი კატალონიას“. ბარსელონაში ინგლისელი მწერალი ოფიცრების მაგი-

დასთან მდგარ ოცდახუთი-ოცდაექვსი წლის მკვრივი აგებულების მხარბეჭიან იტალიელ ჭაბუკს მოკრავს თვალს. „ეს იყო სახე კაცისა, რომელიც მკვლელობასაც ჩაიდენდა და მეგობრისთვისაც დადებდა თავს. ამ სახეს მიაკუთვნებდი ანარქისტს, თუმცა იქნებ სულაც კომუნისტი იყო, მასში უშუალობაც იკითხებოდა და ულმობლობაც... მან ოთახი გადმოჭრა და მაგრად ჩამომართვა ხელი. რა უცნაურია სიყვარულის განცდა უცნობის მიმართ! თითქოს ჩვენმა – მისმა და ჩემმა – სულებმა მომენტალურად გადატყორცნეს ხიდი ენისა და ტრადიციის უფსკრულზე და უკიდურესად ახლოს შეხვდნენ ერთმანეთს. ვიმედოვნებდი, რომ იმასაც ისე მოვეწონე, როგორც მე მომივიდა თვალში. თუმცა ისიც ვიცოდი, რომ ჩემი პირველი შთაბეჭდილების შესანარჩუნებლად ეს კაცი აღარ უნდა მენახა“.

ინგლისელისა და იტალიელის ეს მისტიური შეხვედრა ესპანეთში მთელი სიმბოლოა სიყვარულისა და ადამიანთა შორის სულთა ერთობისა. როგორ უფრთხილდება თავისუფლებისმოყვარე სულთან შეხვედრას ორუელი. როგორ ეშინოდა განხიბვლებისა და გაწბილებების, რაც არაერთგზის იწვნია ომში და როგორც სახსოვარი, მისმა საძილე არტერიამ სულ რაღაც მილიმეტრის აცდენით გამჭოლი ტყვია ისე გაატარა კისერში. ხმის იოგი დაუზიანდა, მაგრამ საძილე არტერიამ გადაარჩინა ეს მარად ფხიზელი მეომარი და მწერალი.

როგორ დიდებულადაც იწყება, ისე დიდებულადვე მთავრდება ორუელის ომის საგა: დაღლილი, დაჭრილი განაწამები ორუელი ცოლთან ერთად ბრუნდება სამშობლოში.

„მერე გამოჩნდა ინგლისი, სამხრეთ ინგლისი, შესაძლოა, ყველაზე თანაბარი ლანდშაფტი დედამიწის ზურგზე. როცა ამ გზას გადიხარ და, განსაკუთრებით, როდესაც მშვიდად იკურნები სნეულებისაგან მატარებლის ბალიშებზე გადაწოლილი, ძნელი დასაჯერებელი ხდება, რომ ამქვეყნად სადმე რამე ხდება. მიწისძვრები იაპონიაში, შიმშილი ჩინეთში, რევოლუცია მექსიკაში? ნუ ღელავ: ხვალ დილით კართან ახალი რძე დაგხვდება, პარასკევს კი „ნიუ სტეიტსმენი“ გამოვა. ინდუსტრიული ქალაქები შორს დარჩა. კვამლსა და უბედურებას მიწის ზედაპირის ამოზნექილობა ფარავდა. აქ ისევ ინგლისი იყო, ბავშვობიდან ნაცნობი ინგლისი: ველური ყვავილებით გადასწორებული რკინიგზის ნარჩენები, ღრმა მდელოები, რომლებზეც ფიქრიანად დაბალახობენ დიდი, მანათობელი ცხენები, ნელა მიდინებული, ნაპირებზე ტირიფებჩამწკრივებული ნაკადები, თელადუმების მწვანე მკერდები, კოტეჯების ეზოებში მოყვავილე დეზურები, მერე კი – გარე ლონდონის მშვიდი უდაბურება, მღვრიე მდინარეზე მოცურავე ბარჟები, ნაცნობი ქუჩები, კრიკეტის მატჩების ან სამეფო ქორწინების მაუწყებელი პლაკატები, ცილინდრიანი კაცები, მტრედები ტრაფალგარსკვერზე, წითელი ავტობუსები, ლურჯი პოლისმენები – ყველაფერი, რასაც ინგლისის ღრმა, ღრმა ძილით სძინავს, რომლისგანაც, ვშიშობ, მხოლოდ ბომბების გრიალი თუ გამოგაღვიძებს“.

განა ღრმა ძილში ჩაძირული ეს ფერადოვანი ინგლისიც მთელი სამყაროს სიმბოლოდ არ იკითხება, რომლის ერები, ქვეყნები, სახელმწიფოები თუ ქალაქები გაუცხოებისა და გულგრილობის უფსკრულში ჩაძირულან, ერთმანეთის გასაჭირს ვეღარც ხედავენ და ვეღარც ხელს უმართავენ ერთმანეთს.

როგორც ყველა ნამდვილი მწერალი, ორუელიც წინასწარმეტყველი იყო და გვაფრთხილებდა, რომ ასე ჩაძინებული სამყარო დასაღუპადაა განწირული.

შესანიშნავია, რომ ორუელის წიგნი-გაფრთხილება – „პატივი კატალონიას“ უკვე ქართულადაც შეგვიძლია წავიკითხოთ.

ლია კუხიანიძე

ნაციონალური იდენტობის საფუძველი

ქვეყანა იმით კი არ არის უბედური, რომ ღარიბია, არამედ იმით, რომ მცოდნე, გონებაგახსნილი, გულანთებული კაცები არა ჰყავსო, აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძე და დრომ მასში მხოლოდ ის ცვლილება შეიტანა, რომ მიუხედავად მცოდნე, გონებაგახსნილი, გულანთებული კაცების არსებობისა, ქვეყანა მაინც არაა ბედნიერი და ამის ერთ-ერთი და, შეიძლება ითქვას, უმთავრესი მიზეზი სწორედ ამ მცოდნე, გონებაგხსნილი და გულანთებული კაცების საჭირო დროსა და საჭირო ადგილას არყოფნაა.

ზემოაღნიშნულ კაცთაგან ერთ-ერთზე, პაატა ჩხეიძეზე მინდა გითხრათ.

კონსერვატიზმის თეორიისა და ისტორიის სპეციალისტი, პროფესორი. ასე წარადგენენ ხოლმე მას აუდიტორიის წინაშე, მაგრამ უფრო მეტი, რაც მასზე შეიძლება ვთქვათ, უთქმელი რჩება, იმიტომ რომ ის უთქმელი რეგალიებსა და ხარისხებში არ გამოითქმის. მისი ცხოვრებისა და ნაღვაწის მცნობთათვის კი ის არის თავისი დიდი გვარის ღირსეული წარმომადგენელი, მამულიშვილი, რომლის ხელის მოწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ქვეყნის თავისუფლებისათვის შეწირულ რჩეულ, რეპრესირებულ ქართველთა ხელისმოწერის ტოლფასია, ისევე, როგორც მისი არჩევანი-კონსერვატორობა, არა მხოლოდ შესწავლისა და კვლევის საგანი, არამედ ის, რასაც თავად წერს, როცა ესპანური წარმოშობის ამერიკელ ფილოსოფოსსა და მწერალ ჯორჯ სანტაიანაზე გვესაუბრება: „კონსერვატიზმი განიხილება არა როგორც დოქტრინა ან კრედო, არამედ - განწყობა; განწყობა გაუფრთხილდე, შეინახო და გიყვარდეს ის, რაც ხელთ გაქვს“, რაც მარადიული ღირებულებების, ადამიანობისა და ზნეობის გადარჩენას გულისხმობს.

მაშინ, როცა 2011 წელს გამოიცა პაატა ჩხეიძისა და როსტომ ჩხეიძის ძალზე მნიშვნელოვანი ნაშრომი, „კონსერვატიზმის ისტორია პიტერ ვიერეკის თარგზე“, ცოტა ვინმე თუ იფიქრებდა საქართველოში, კონსერვატიზმის ისტორიას მსოფლიოში და, განსაკუთრებით ჩვენთან, ასეთი გაგრძელება ექნებოდა, თუ ახალი იაკობინელების მიერ რუდუნებით ნალოლიავებ და აგრესიულობით გავრცელებულ ნეოლიბერალურ ფაშიზმს, ვიღაცების მიერ უკვე მოძველებულად და დასავიწყებლად განწირული კონსერვატიზმი აღუდგებოდა წინ, დასტურად გერმანელი კონსერვატორ რევოლუციონერის არტურ მიულერ ვან დენ ბრუკის სიტყვებისა, „კონსერვატორის მხარეზე მარადისობაა“.

ზემოაღნიშნული წიგნი, რომლის ავტორი ცნობილი ამერიკელი მწერალი და ისტორიკოსი, დიდ კონსერვატორად წოდებული პიტერ ვიერეკია, მხოლოდ პოლიტიკური აზროვნების ისტორიით დაინტერესებულთათვის კი არა, ყველა იმ ქართველისთვისაა განკუთვნილი, „ძილშიც რომ არ სძინავს თავისი ქვეყნის უბედობით გულაღტკინებულსა“, რადგან წიგნს მთავარ ღირსებას სძენს ის, რომ მისი მეორე ნაწილი, მეათე თავი, „ქართული კონსერვატიზმი“, იწყება ქართული კონსერვატიზმის ისტორიული საწყისებიდან, ალექსანდრე ორბე-

ლიანისაგან (1802-1869) რომ მოდის და მთავრდება საერთო სიკეთის თეორიისა და საერთო ნიადაგის თეორიით. თუ რა გამოწვლილვითა და საკითხის ყოველმხრივი ცოდნითაა ნაშრომი შესრულებული, რამდენიმე ქვეთავის დასახელებაც კმარა, გრიგოლ ორბელიანი-პატრიოტული ნაკადის სათავეში, ალექსანდრე ორბელიანის „მამაშვილობის“ თეორია, მის გამგრძელებლად-ილია ჭავჭავაძის „ჩატეხილი ხიდის“ თეორია, ორსაუკუნოვანო პოლიტიკური იდეალი. პარლამენტური მონარქია, სოლომონ დოდაშვილი და პარლამენტური მონარქიზმის იდეა, პარლამენტური მონარქიზმის სათავე - ყუთლუ არსლანის კარავი (მე-12 საუკუნე), ფილადელფოს კიკნაძე და საიდუმლო ორგანიზაციის წესდება („აკტი გონიერი“), ადრეული ილია ჭავჭავაძე გოეთესა და ბაირონზე, გვიანდელი ილია ჭავჭავაძე გოეთესა და ბაირონზე, ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა ლიბერალობიდან კონსერვატორობამდე... ზვიად გამსახურდია და საქართველოს სულიერი მისია, რევოლუციის მანკიერი ბუნება, სახელმწიფო ცენტრალიზაცია-პოლიტიკური ჩიხი და ა.შ... დასწყისიდან ჩვენს დღეებამდე, რაც ნაშრომს დროის გასვლასთან ერთად, უდავოდ, მეტ ღირებულებასა და საჭიროებას სძენს.

თანამედროვეობის ბოლო ათწლეულის მსოფლიო პოლიტიკური მოვლენების გახსენებაც კმარა საიმისოდ, რომ თვალნათლივ დავინახოთ, სადამდე მიიყვანა დღევანდელობა ფსევდოლიბერალურმა და ფსევდოტოლერანტულმა ისტერიამ, ამის საუკეთესო მაგალითად კი კონსერვატორ-არისტოკრატიულ ფილოსოფოსად (როგორც მას მოიხსენიებენ) აღიარებული, თვალსაჩინო ინგლისელი მოაზროვნისა და განსაკუთრებული მოქალაქეობრივი გამბედაობით გამორჩეული სერ როჯერ სკრუტონის სახელიც კმარა, რომელსაც „ედმუნდ ბერკიდან მოყოლებულ ყველაზე სრულყოფილ კონსერვატორს“ უწოდებენ და რომლის განსხვავებულმა მოსაზრებამ ევროპის მიგრანტებზე, სოროსზე, სექსუალურ უმცირესობებსა (რომელიც ფილოსოფოსს ნორმად არ მიაჩნდა) და სხვა აქტუალურ საკითხებზე, მთელი ლიბერასტული საზოგადოება აღაშფოთა და მისგან დედოფლის მინიჭებული რაინდის ტიტულზე უარის თქმა მოითხოვა. 2017 წელს კი ფილოსოფოსის ხელმოწერამ ცნობილ მანიფესტზე, „ევროპა, რომელსაც შეიძლება ჩვენ ვენდოთ“, სილა გააწნა კაცობრიობის მარადიულ ღირებულებათა მტრებს და კიდევ ერთხელ აჩვენა, მსოფლიოში რა შორსაა წასული პოლიტიკური, კულტურული და ზნეობრივი კრიზისი.

პაატა ჩხეიძემ, რომელიც როსტომ ჩხეიძესთან ერთად მუდამ ცდილობდა, თავისი თარგმანებით ქართველი მკითხველი შეძლებისდაგვარად ფეხდაფეხ მიჰყოლოდა მსოფლიო ლიტერატურის მოვლენებს, არც ამჯერად უმტყუნა მის გამგებთა მოლოდინს და წიგნით „იგივე მარად“ ძალიან საინტერესო წერილები წარმოგვიდგინა კონსერვატორ პოლიტიკოსებზე, კონსერვატიულად განწყობილ მწერლებსა და მოაზროვნეებზე წერილების რკალში „პოლიტიკა და სხვა“ („პიროვნების მცველები (ლიბერალი და კონსერვატორი“), „ჯონ ადამსის „ახირებული“ აზრები“, „ფიშერ ეიმსი და დემოკრატიის საფრთხე“, „ჯეინ ოსტინის ინგლისელი ქალები“, „ჯორჯ სანტაიანა ლიბერალიზმის შესახებ“, „რწმენა მარადიული ღირებულებებისა“, ელიოტი და ორუელი და სხვა), ხოლო წერილების რკალში „ლიტერატურა და სხვა“ - ლიტერატურაზე და არა მარტო... (ოთარ ჩხეიძის „იტალიური დღიურები ბაირონისა“, რომანი ქვეყნის მდგომარეობაზე, ვინ მიდის ტაძრიდან, რეპლიკა პოსტმოდერნული კენჭის გამო და სხვა) და ამით კიდევ ერთხელ გვაგრძნობინა თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ თუ ლიტერატურულ პროცესთაგან განუყოფლობა.

...კონსერვატიზმი - ნაციონალური იდენტობის საკითხიაო, წერდა სერ როჯერ სკრუტონი და პაატა ჩხეიძეც თავისი წიგნებითა და საქმიანობით ადასტურებს და ახორციელებს იმ მარადიულ მისიას, ქართულმა მწერლობამ ოდითგანვე რომ იტვირთა.

პაატა ჩხეიძე

კონსერვატული კრედო და როჯერ სკრუტონი ერის შესახებ

კონსერვატიზმი საუკუნეთა მანძილზე ეძიებს სიმართლეს, რომელიც ღვთაებრივი სათავიდან მოედინება და ადამიანურ გამოცდილებას ერთვის. კონსერვატიზმი ყოველგვარ სიახლეს იმ საძირკველზე დააშენებს, რომელმაც დროის გამოცდას გაუძლო.

კონსერვატიზმისათვის მთავარია წესრიგი და ადამიანური ურთიერთობების ჰარმონიული განვითარება. ჩვენ ყველანი ვეკუთვნით მარადიულ კავშირს გარდაცვლილთა, ცოცხალთა და ჯერაარდაბადებულთა შორის.

კონსერვატიზმი აღიარებს, რომ ადამიანი ღმერთის გაჩენილია და, რომ ადამიანის სული გადადის ამ რეალობიდან მარადიულ ტრანსცენდენტულ მდგომარეობაში. ჩვენ ცოდვილი არსებანი ვართ ანუ მიდრეკილნი ვართ ცოდვისაკენ, მაგრამ სიკეთის ჩადენის უნარიც გვაქვს და ამიტომ მოველით შეწყალებას.

რადგან ადამიანი მერყევი ბუნებისაა და ხშირად ცდება, კონსერვატიზმი მოითხოვს მის შეზღუდვას, რათა გადაარჩინოს, როგორც ვნებების დაკმაყოფილების სურვილის, ასევე ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისაგან.

კონსერვატიზმი იცავს თვითეული პიროვნების თავისუფლებას, ღირსებას და მისი შესაძლებლობების სრულად განხორციელებას. კონსერვატიზმისათვის თავისუფლება მუდამ პასუხისმგებლობასთანაა შეკავშირებული. თავისუფლება ადამიანის ტრადიციის, ისტორიის, რელიგიის, ადათ-წესების ჩარჩოში ცხოვრებაა.

კონსერვატორი მიიჩნევს, რომ ქალი და კაცი თანასწორნი არიან როგორც კანონის წინაშე ასევე ღირსების თვალსაზრისით, მაგრამ განსხვავდებიან ბიოლოგიურად, ძალით და უნარებით.

კონსერვატიზმი იცავს პიროვნების უნიკალურობას და არ ათანასწორებს ადამიანებს განსხვავებათა ამოსაძირკვად.

კონსერვატორი უდიდეს პატივს სცემს ოჯახს, როგორც საზოგადიებისათვის აუცილებელ ქვაკუთხედს, კულტურის საძირკველს, ადამიანთა ურთიერთობის განმსაზღვრელს. საზოგადოების კულტურა მდიდრდება ადამიანთა მრავალფეროვანი ურთიერთობის საშუალებით, კერძო და სახელმწიფო ინსტიტუციების გამრავლებითა და გაძლიერებით.

კონსერვატიზმი აქეზებს დეცენტრალიზაციას და სუბსიდიარობას, რადგან იცის, რომ ადგილობრივი პრობლემების მოგვარება საუკეთესოდ შეუძლიათ ადგილზე, ადამიანებთან და პრობლემებთან ახლოს. კონსერვატიზმი აგულიანებს პიროვნულსა და ადგილობრივი თემების ინიციატივას, ადგილობრივ გადაწყვეტილებებს და ანგარიშგებას.

კონსერვატიზმი კულტურის განვითარებით უფროა დაინტერესებული ვიდრე პოლიტიკით, რადგან პოლიტიკური გარემო, თუმცა პირველადობას იჩემებს, მაინც სინამდვილეში მერყეევია, ცვალებადი და გარდამავალი. პირველადი და მარადიულია კულტურული ტრადიცია. კულტურული ტრადიცია უზრუნველჰყოფს პოლიტიკასა და ეკონომიკას ზნეობრივი და გონივრული საფუძვლებით და მის უარყოფას ხშირად მივყავართ უზნეო პოლიტიკამდე და მძარცველ ეკონომიკამდე.

კონსერვატორს სჯერა, რომ სიმართლე, სიკეთე და სილამაზე მარადიულადაა ურთერთგადაჯაჭვული და ამ სამი საზომით უნდა გაიზომოს ადამიანის ამქვეყნიური ყოფა, მარადიულში გადასვლამდე.

კონსერვატორებს სწამთ, რომ არსებობს მისაწვდომი ჭეშმარიტება და ადამიანის მოვალეობაა მისი ძიება მთელი სიცოცხლის მანძილზე.

კონსერვატორებს სწამთ, რომ ისეთი სიქველენი, როგორიცაა კეთილგონიერება, სამართლიანობა, მხნეობა და თავშეკავება უნდა იყოს დანერგილი როგორც პირად ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სიქველე და ფასეულობა აყალიბებს ადამიანის სულს.

კონსერვატორებს სწამთ, რომ სიყვარული უმაღლესი გრძნობაა ადამიანისათვის, ხოლო ცხოვრების მიზანი ღვთის სიყვარული და შეცნობაა, მისი მსახურება, შეყვარება მეზობლისა, თავდადება მოყვასისათვის.

ერისათვის მსახურება და მისი გადარჩენისათვის ზრუნვა კონსერვატორისათვის უმთავრესი სიქველეა.

სულ რამდენიმე წლის წინ გადაიცვალა ინგლისელი ფილოსოფოსი და მწერალი როჯერ სკრუტონი, რომელმაც მთელი სიცოცხლე კონსერვატიული იდეების ქადაგებასა და პოპულარიზაციას მიუძღვნა.

როჯერ სკრუტონი მიიჩნევდა, რომ ხშირად ერთმანეთში ურევენ ნაციონალიზმსა და ეროვნული ერთგულების გრძნობას, რომ თანამედროვე დემოკრატიები თავის არსებობას ეროვნულ ერთგულებას უმადლიან, ერთგულებას, რაც უნდა გაინაწილონ ხელისუფლებამ და ოპოზიციამ, ყველა პოლიტიკურმა პარტიამ, როგორც მთელმა.

სადაც ეროვნული გამოცდილება სუსტია ან არ არსებობს დემოკრატიამ ფესვი ვერ გაიდგა. იმიტომ, რომ ეროვნული ერთგულების გარეშე ოპოზიცია საფრთხეა მთავრობისათვის და პოლიტიკური უთანხმოება ვერ შექმნის საერთო ნიადაგს. და, მაინც, ყველგან თავს ესხმიან ერის იდეას - ან შეიძულებენ, როგორც სოციალური კავშირის ატავისტურ ფორმას, ან ომისა და კონფლიქტის მიზეზობას დასწამებენ, რათა დაამსხვრიონ და სხვა უფრო განმანათლებლური და უფრო უნივერსალური იურისდიქციის ფორმით შეცვალონ.

როჯერ სკრუტონი ღრმას წვდებოდა ევროპული კულტურისა და ცივილიზაციის განვითარების პროცესს და წუხდა, რომ თუმცა პარლამენტებსა და სამართლებრივ სისტემებს ჯერაც აქვთ ტერიტორიული დამოუკიდებლობა. ჯერაც შეესაბამებიან განსახლების ისტორიულ

ნიმუშებს, რაც ფრანგებს, გერმანელებს, ესპანელებს, ბრიტანელებს და იტალიელებს შეაძლებინებს თქვან „ჩვენ“ და იციან თუ ვის გულისხმობენ ამით. ჯერაც რჩება შესაძლებლობა საკანონმდებლო ძალებისა და აღმასრულებელი პროცედურების გაჯანსაღებისა, რამაც ევროპის ეროვნული სახელმწიფოები ჩამოაყალიბა. ამავე დროს დაძრულია პროცესი, რაც ჩამოართმევს შერჩენილ დამოუკიდებლობას ჩვენს პარლამენტებს და სასამართლოებს, რაც წაშლის საზღვრებს ჩვენს იურისდიქციებს შორის, გათქვეფს ევროპულ ერებს ისტორიულად უაზრო კოლექტივებში, რომელებიც არც ენით ერთიანდებიან, არც რელიგიით, არც წეს-ჩვეულებებით, არც შთამომავლობითი დამოუკიდებლობითა და კანონით. უნდა ავარჩიოთ: ან ამ ახალი პირობებისაკენ უნდა წავიდეთ, ან უკან, გამოცდილი და მშობლიური, ტერიტორიული დამოუკიდებლობისაკენ ეროვნული სახელმწიფოსი.

როჯერ სკრუტონი აკრიტიკებს მემარცხენე ლიბერალიზმს. იგი ამტკიცებს, რომ მემარცხენე-ლიბერალი მწერლები, უხალისოდ რომ აღიარებენ ერს სოციალურ სწრაფვად ან პოლიტიკურ მიზნად, ხანდახან განასხვავებენ ხოლმე ნაციონალიზმს „პატრიოტიზმისაგან“ - უძველესი სიქველისაგან, რომაელებიც რომ აქებდნენ და ნიკოლო მაკიაველიც, ვინც პირველმა შექმნა სეკულარული იურისდიქციის (ძველქართულად სჯულის), თანამედროვე ისტორია; პატრიოტიზმი, აცხადებდნენ ისინი, მოქალაქეთა ერთგულებაა და საძირკველი „რესპუბლიკური“ მთავრობისა; ნაციონალიზმი კი საერთო მტრობაა უცხოსადმი, შემოჭრილისადმი, „გარეშესადმი“. სკრუტონი ეთანხმებოდა ამ მოსაზრებას და მაინც, ამბობდა, რომ სწორად უნდა გავიგოთ, მაკიაველისა, მონტესკიესა და მილის რესპუბლიკური პატრიოტიზმი, როგორც ეროვნული ერთგულების ფორმაა, რომელიც აგრესიული ნაციონალიზმივით პათოლოგიური ფორმა კი არაა, არამედ ბუნებრივი სიყვარული ქვეყნისა, თანამემამულეთა და კულტურისა რაც მათ აერთიანებს.

როჯერ სკრუტონის აზრით, ერი გაცილებით უფრო ადრე წარმოშვა, ვიდრე განმანათლებლები მიიჩნევდნენ და მემარცხენე ლიბერალები ამტკიცებენ.

ერის წარმოშობის პირველი და აუცილებელი პირობა საერთო ტერიტორიაა, რომელზეც ერთი ტომია განსახლებული და ამ ტერიტორიისადმი მიკუთვნებულობა და ერთგულების გრძნობა გაუჩნდებათ.

„ერთ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხს ერთი ისტორია აქვს და შესაძლოა ერთი ენა და რელიგიაც ჰქონდეს. ევროპული ეროვნული სახელმწიფო გამოჩნდა მაშინ, როცა იდეა ადგილით განსაზღვრული თემისა გაძლიერდა სუვერენობითა და კანონით, სხვა სიტყვებით, განწესრიგდა ტერიტორიული სჯულით. ამიტომ, ეროვნული სახელმწიფო ბუნებრივი შთამომავალია ტერიტორიული მონარქიისა და ორივე შეკავშირებულია და ხშირად იყო შეკავშირებული, მას შემდეგ, რაც მონარქია გახდა მოსახერხებელი სიმბოლო თაობათა განმსჭვალავი ჯაჭვებისა, რაც ჩვენს ქვეყანასთან გვაკავშირებს.“ წერს როჯერ სკრუტონი. ეს ხალხი ერთ საერთო ენაზე ლაპარაკობს და საერთო რელიგია აქვთ.

სკრუტონი გვეუბნება, მრავალი განსწავლული კალამი დამაშვრალა ერისა და მისი წარმოშობის საკითხისა გამოო. თეორია, რომ ერი ბოლოდროინდელი გამონაგონია, შემოქმედებაა თანამედროვე ადმინისტრაციული სახელმწიფოსი, პირველად ალბათ ლორდმა ექტონმა გამოთქვა თავის მცირე, მაგრამ სახელგანთქმულ სტატიაში. მწერლებმა, პოლიტიკური სპექტრის ყოველი მხრიდან, თავისი ვერსიები მიაწერეს მის თვალსაზრისს. ვიეთნი ამტკიცებდნენ, რომ ერები ბიუროკრატიული გამოგონებაა და მათი წარმოშობა და მათი წინსვლა განუყოფელია მწერლობის განვითარებასთან.

რადიკალები ამ მოსაზრებას იმისათვის იყენებენ, რომ შთაგვაგონონ, ერები გარდამავალია და არავითარი ღვთაებრივი უფლება არ გააჩნიათ არსებობისათვისა თუ ბუნებრივი ლეგიტიმურობისათვისო. ამავე დროს კონსერვატორები საწინააღმდეგოს ამტკიცებენ, რომ ეროვნება მიღწევაა, „გამარჯვებით გასვლა“ წესრიგისაკენ, რომელიც უფრო სტაბილურიცაა და უფრო ღიაც ვიდრე

ძველი რწმენით გაერთიანებული თემები და ტომობრივი ატავიზმი, რაც ეროვნებამ შეცვალა.

როდესაც გვიმტკიცებენ, რომ ეროვნებანი ხელოვნური თემებია, უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს ორგვარი სოციალური წარმონაქმნი: ერთი, რომელიც გადაწყვეტილების შედეგია, ვთქვათ როგორც ორი კაცი შეკავშირდება და მეორე, რომელიც წარმოიშობა „უხილავი ხელისაგან“, გადაწყვეტილებით, რომელიც არანაირად არ ეხება ადამიანებს.

ინსტიტუციები, რომლებიც წარმოიშობა უხილავი ხელის მიერ თავისთავადია და ბუნებრივი, რაც აკლიათ იმ ინსტიტუციებს, რომლებიც სავსებით ნათლადაა დაგეგმილი. ერები თავისთავადი ქვეშედეგია სოციალური ურთიერთობებისა. მაშინაც კი, როცა გაცნობიერებულია ერის შექმნის გადაწყვეტილება, შედეგი მუდამ დამოკიდებულია უხილავ ხელზე.

ამას ვხედავთ ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე, რომლის სახეც დღეს არაფრით არაა ისეთი, როგორიც დამფუძნებელ მამებს განეზრახათ. და, მაინც, აშშ დღეს ყველაზე სიცოცხლისუნარიანი და პატრიოტული ერია თანამედროვე მსოფლიოში.

ახლა უკვე ვიცით, რომ ხალხს ვერ ექნებოდა საერთო ტერიტორია, სხვა მრავალი რამ რომ არ ჰქონოდა საერთო: ენა, ჩვეულებანი და რელიგია. აქედან მომდინარე, ყოველი ტერიტორიული იურისდიქცია დაუკავშირდება რთულსა და ურთიერთგადაჯაჭვულ ერგულებებს რწმენობრივი იქნება ის თუ დინასტიური. თუმცა კი, დიდ შესწორებებს შეიტანს იმ ერთგულებებში, კანონი პიროვნებებს ექცევა როგორც მტვირთველთ წესებისა და მოვალეობებისა. ის გადააკეთებს მათ ურთიერთობას აბსტრაქტულ პირობებად; ის აჩვენებს ხელშეკრულების უპირატესობას სტატუსებთან და განსაზღვრული ინტერესების უპირატესობას დაუწერელ კავშირებთან შედარებათ. ის მტრულადაა განწყობილი ყოველ ძალასა და უფლებასთან, რომელიც არ მოდის სამართლიდან. მოკლედ, გამორჩეულ პოლიტიკურ ფორმას აღბეჭდავს თემზე.

ამრიგადო, ამბობს როჯერ სკრუტონი, როცა გვიანადელ შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა ინგლისელი ერი, აუცილებელი გახდა, რომ ინგლისელებს თავისი საკუთარი ეკლესია ჰქონოდათ და რწმენა განსაზღვროდათ ინგლისელობისადმი მიკუთვნებულობით და არა ინგლისელთა რწმენისადმი მიკუთვნებულობით. როცა ჰენრი მერვემ ინგლისის ეკლესიის მეთაურად გამოაცხადა თავი, კანონიერ დოქტრინად გადათარგმნა ის, რაც უკვე ფაქტი იყოო.

ამავე დროს, ტერიტორიულ სჯულზე არ უნდა ვიფიქროთ მხოლოდ როგორც ჩვეულებრივ მოწესრიგებაზე, ერთგვარ მიმდინარესა და დაუწერელ შეთანხმებაზე, ისეთზე, როგორსაც სოციალურ კონტრაქტს მიაწერდნენ განმანათლებელი მოაზროვნები.

ტერიტორიული სჯული მოიცავს ჭეშმარიტ „ჩვენს“, არა ჯიგრულს, როგორცაა ნათესაობა, არა აღმატებულს როგორიცაა თაყვანისცემა, არამედ სწორედ იმ მიზეზებს, რომლებიც შეეფერება თანამედროვე მსოფლიოს და უცხოთა საზოგადოებას, სადაც, სამწუხაროდ, რწმენა შესუსტებულია ან მკვდარია, ეროვნული ტერიტორიების საზღვრები იშლება და საყოველთაო, გლობალურ ენაზე გადავდივართ.

ამრიგად, როჯერ სკრუტონი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ ერი შედეგია ტერიტორიული ერთგულებისა, საერთო ენისა, საერთო რელიგიისა და საერთო სჯულისა (სამართლის).

ამგვარად ეხმაურება იგი ქართველ მოაზროვნეებს, გიორგი მერჩულეს, რომელიც იტყოდა, „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების.“

- და ილია ჭავჭავაძეს, რომელიც იტყოდა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება.“

ხოლო თანამედროვე ქართველი მემარცხენე ლიბერალები კი მეთვრამეტე საუკუნის ბოლოდან ანუ რუსების შემოსვლიდან ვარაუდობენ ქართველი ერის დაბადებას, მაგრამ ეს სხვა თემაა . . .